ეროვნული მედია

სპორტი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 ოქტომბერი **სამშაბათი** 2011
№239 (13536) ფასი 80 თეთრი

დღეს, 21:00 „მიხეილ მესხი“: საქართველო-საბერძნეთი

ჩვენ ჩვენი უნდა დავამტკიცოთ!

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ბერძნებისთვის უმნიშვნელოვანესი ეს მატჩი ქართველებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია - ამბობს თემურ ქეცბაია

ნაკრების გადახალისებაზე ლაპარაკი კი თამაშის შემდეგ იყოსო

ბერძნებს მოგება უნდათ, თუმცა არც ფრეზე იქნებიან უარს

დღეს ევროპაში ხუთ კითხვას გაეცემა პასუხი

დღეს, როცა საქართველო ევრო 2012-ს ვაკის მატჩით ემშვიდობება, ბებერ კონტინენტზე ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კიდევ 5 საგზური გათამაშდება. 9-დან 4 ჯგუფი ჯერაც ელის გამარჯვებულს (მათ შორის, საქართველოს ჯგუფი), გაირკვევა საუკეთესო მეორეადგილოსანიც, რომელიც ავტომატურად მოიპოვებს პოლონეთ-უკრაინის საგზურს. ხუთიდან ერთ-ერთს ახლავე დაგისახელებთ - სასწაული უნდა მოხდეს, რომ დღეს რუსეთის ნაკრებმა საგზური ვერ გაინაღდოს. აი, დანარჩენ შემთხვევებში კი საინტერესო მატჩები გველის. დღესვე დადგინდება ის 8 ნაკრებიც, რომლებიც პლეი ოფში დარჩენილი 4 საგზურისთვის იბრძოლებენ. პლეი ოფის ერთი მონაწილე უკვე ცნობილია - ჩერნოგორია.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობა, როგორც თანამასპინძლებმა, პოლონეთმა და უკრაინამ მაშინ მოიპოვეს, როცა ევრო 2012-ის მასპინძელი ქვეყნები დასახელდა. ცნობილია 5 შესარჩევი ჯგუფის გამარჯვებულებიც: გერმანია, ესპანეთი, ჰოლანდია, იტალია და ინგლისი.

8

დღევანდელი მატჩების წინ

მოხარული ვარ, რომ იმ გუნდის ნევრი ვიყავი...

12

ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან



საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები. პრესკონფერენცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ ქეცბაია: ვეტერანებზე მერე ვილაპარაკოთ!

დღეს "მიხეილ მესხზე" საქართველოს ეროვნული ნაკრები საბერძნეთს უმასპინძლებს და ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლს დაასრულებს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე სამატჩო სამზადისზე ილაპარაკა.



- ერთი კვირაა, რაც ნაკრები ემზადება, ბიჭები ხვალინდელ მატჩს განსაკუთრებულად ელიან. ვფიქრობ, ისინი კარგად არიან მომზადებულები. არ აქვს მნიშვნელობა, ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი დავკარგეთ თუ არა, ყველა შეხვედრა მნიშვნელოვანია. ბერძნებს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებათ, ისევე, როგორც ჩვენ. შეიძლება, ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანიც იყოს მატჩი, რადგან უნდა დავამტკიცოთ, რომ კარგად თამაში შეგვიძლია.

- შესაძლოა, უკან გაბრუნებთ, მაგრამ ითქვა, თითქოს ნაკრების ხელმძღვანელობა გუნდის გადახალისებას აპირებს.

- არ მინდა ამაზე ლაპარაკი, ხვალ თამაშია და მერე რაც გინდათ, მკითხეთ.

- და მაინც, თქვენ გსურთ ვეტერანების დაცვა?

- რა გინდათ, გითხრათ, რომ შეხვედრის შემდეგ ნახევარ ნაკრებს აღარ მოვიწვევ? გითხარით, მატჩის შემდეგ ვილაპარაკოთ, ახლა ნაადრევია ამაზე მსჯელობა.

- მაშინ ვეტერანებზე ვილაპარაკოთ – ნაკრებს ის ხალხი აღარ სჭირდება, რომელზეც ახლა გუნდი დგას?

- წინ უმნიშვნელოვანესი შეხვედრაა და დღეს ამაზე ვილაპარაკოთ.

- სატურნირო თვალსაზრისით, ეს მაინც უმნიშვნელო მატჩია და ტაქტიკურ ცვლილებებს ხომ არ უნდა ველოდოთ?

- ბევრს არაფერს შევცვლით. მაგრამ, როგორ არის უმნიშვნელო, ბოლოდან მესამე ადგილს დავიკავებთ თუ მეორეს? არ ვიცი, მატჩი როგორ დასრულდება, მაგრამ მე მაინც ნარმატებულად ვთვლი ციკლში ნაკრების გამოსვლას, წინასთან შედარებით პროგრესი ნამდვილად იყო.

- რა მდგომარეობაა ამჟამად გუნდში?

- კმაყოფილი ვარ, მიმაჩნია, რომ ბიჭები კარგად მოემზადნენ და მობილიზებულები არიან, რათა გულშემატკივრები გაახარონ. ძალიან სერიოზული მეტოქე გვყავს, რომელმაც ჯგუფში მეორე ადგილი გაინაღდა და ახლა პირველის დაკავებას ცდილობს. ძნელი მატჩი გველის, მაგრამ იმედია, ქომაგებს გავახარებთ.

ამის შემდეგ ქეცბაია ჩვენს ბერძენ კოლეგებს მშობლიურ ენაზე ელაპარაკა:

- მკითხეს, რატომ ვეღარ გააგრძელეთ თამაში ისევე კარგად, როგორც დაიწყეთო. ვუთხარი, რომ თავიდან მეორე ნომრად ვთამაშობდით და ფავორიტად არავინ აღგვიქვამდა, მერე მოგება და პირველ ნომრად თამაში რომ დაგვჭირდა, გაგვიჭირდა, ამის ძალა არ აღმოგვაჩნდა. მაინც მიმაჩნია, რომ ბოლო წლებში ასეთი წარმატებული ციკლი არ გვქონია, საუკეთესო თამაში კი ლატვიასთან ვაჩვენეთ და არ გაგვიმართლა, სწორედ ამან გამოიწვია შემდგომ მატჩში ვერმოგება და ცუდი ატმოსფერო. ლატვიასთან რომ მოგვეგო, დარწმუნებული ვარ, მალტასთან არ გაგვიჭირდებოდა.

მაინც კმაყოფილი ვარ, რომ ჯგუფში ერთბურთიან სხვაობაზე მეტით არავის მოუგია და იოლი მეტოქე არ ვყოფილვართ. ჩვენ ყველას შანსი მივეცით და ვერავინ იტყვის, რომ თავის გამოჩენის საშუალება არ ჰქონდა. იმედია, მალე ახალი ხალხი დაგვემატება, სხვებიც გამოჩნდებიან და შემდეგ ციკლს ევრო 2016-ისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ. ევროპის ჩემპიონატზე 24 გუნდი გადის და იქნებ, ფინალურ ეტაპზე გასვლა მოვახერხოთ.

მერაბ მამულაშვილი

უინტრიგოობა ამდენი არ ღირს

საბედნიეროდ, საქართველოს ეროვნული ნაკრების ბანაკში გუშინდელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა და ჩვენი დანაკლისი მეტად აღარ გაზრდილა. **თემურ ქეცბაიამ** გუნდი "მიხეილ მესხზე" სრული დატვირთვით ავარჯიშა და, ერთი შეხედვით, ჩვენი ნაკრების წევრებს განწყობა და შემართება არ დაეწუნებათ.

ქეცბაია ძირითად 18 და სათადარიგო 7 ფეხბურთელს ამ შემადგენლობიდან შეარჩევს:

მეკარეები: **ნუკრი რევიშვილი** ("ანჟი", რუსეთი), **როინ კვასხვაძე** ("ზესტაფონი"), **კონსტანტინე სეფიაშვილი** ("გაგრა");

მცველები: **კახა კალაძე** ("ჯენოა", იტალია), **ზურაბ ხიზანიშვილი** ("ქაისერისფორი", თურქეთი), **ალექსანდრე ამისულაშვილი** ("კრასნოდარი", რუსეთი), **გია გრიგალავა** ("ვოლგა", რუსეთი), **გურამ კაშია** ("ვიტესი", ჰოლანდია), **აკაკი ხუბუტია** ("სამსუნსფორი", თურქეთი), **უჩა ლობჟანიძე** ("კრივბასი", უკრაინა), **ალექსანდრე კვახაძე** ("მეტალურგი");

ნახევარმცველები: **ლევან კობიაშვილი** ("ჰერტა", გერმანია), **ჯაბა კანკავა** ("კრივბასი", უკრაინა), **დავით თარგამაძე** ("ოლექსანდრია", უკრაინა), **ალექსანდრე გურული** ("კარპატი", უკრაინა), **შოთა გრიგალაშვილი** ("ზესტაფონი"), **ირაკლი მაისურაძე** ("მეტალურგი"), **ალექსანდრე კოშკაძე** ("დინამო"), **მურთაზ დაუშვილი** ("ზესტაფონი");

თავდამსხმელები: **ალექსანდრე იაშვილი** ("კარლსრუე", გერმანია), **ვლადიმერ დვალიშვილი** ("მაკაბი" ჰაიფა, ისრაელი), **ოთარ მარცვალაძე** ("კრასნოდარი", რუსეთი), **ლევან მჭედლიძე** ("ემპოლი", იტალია).

დღევანდელი საღამოს მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილსაც გაგახსენებთ – **ლევან კობიაშვილი** საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მეასე მატჩს ჩაატარებს!

შეგახსენებთ, ჯგუფში მეოთხე ადგილის დასაკავებლად მხოლოდ გამარჯვება გვჭირდება, საბერნეთს კი პირველობისა და ევროპის ჩემპიონატის საგზურის გასაფორმებლად ფრეც ჰყოფნის.

ბილეთის ფასს კი გვერდს ვერც ახლა ავუვლით – სტადიონზე მოხვედრის მინიმალური ღირებულება 10 ლარია, რაც, პირდაპირ ვთქვათ, უინტრიგო მატჩისთვის ნამეტანია!

სწორედ ამის გამო, სამწუხაროდ, ვეჭვობთ, ლევანს კუთვნილი აპლოდისმენტი მრავალათასიანმა პუბლიკამ მიუძღვნას...

შეხვედრა 21 საათზე დაიწყება და მას იტალიელი **დანიელე ორსატო** განსჯის, მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს შინ

ეროვნული ნაკრების ბანაკში ჩასულ ბერძენ ფანებს ბანერი ჩამოუკიდეთ

ეროვნული ნაკრები. მეტოქე. საბერძნეთი

სანტუშის თბილისური დაბადების დღე: ილბლიანი თუ დანავსული?

საბერძნეთის ეროვნული ნაკრები თბილისში გუშინ, ნაშუადღევს ჩამოფრინდა და სასტუმრო "რედისონში" დაბინავდა. მეტოქეს ჟურნალისტთა მრავალრიცხოვანი გუნდი ჩამოჰყვა – საბერძნეთისთვის უმნიშვნელოვანეს მატჩს თბილისიდან დაახლოებით 50 მედიელი გააშუქებს. ამას გარდა, "მიხეილ მესხზე" სტუმართა გუნდს 150-მდე ბერძენი გულშემატკივარი უქომაგებს, რომელთაგანაც ნაწილი თბილისში გუშინ ჩამოვიდა, ნაწილი კი – საქართველოში მომუშავე ბერძენია.

საბერძნეთის ეროვნული გუნდის თავკაც ფერნანდუ სანტუშის პრესკონფერენცია გუშინ საღამოს "მიხეილ მესხის" ახალ დარბაზში გაიმართა. პორტუგალიელმა სპეციალისტმა ჯერ ქართველ ჟურნალისტთა კით:ხვებს უპასუხა, შემდეგ კი ბერძენთა ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილა.

- თქვენი ტაქტიკა თბილისში ფრეზე ხომ არ იქნება ორიენტირებული?

- ჩვენი მიზანი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლაა, ამასთანავე, თითოეულ მატჩში მხოლოდ გამარჯვებას ვგეგმავთ და ასეა ახლაც. თბილისში საკმაოდ რთული შეხვედრა გველის, დიდი მობილიზება და ბრძოლა დაგვჭირდება იმისთვის, რომ აქ სასურველ შედეგს მივაღწიოთ. რაკი ფინალურ ეტაპზე გასასვლელად ფრეც გვყოფნის, უკმაყოფილო არც ამ შედეგით დავრჩებით.

- როგორ დაახასიათებთ საქართველოს ნაკრებს?

- საკმაოდ ძლიერი და დისციპლინირებული გუნდია, რაც თემურ ქეცბაიას დამსახურებაა. მან ბევრი იშრომა იმისთვის, რომ საქართველოს ნაკრები ანგარიშგასაწევ ძალად ექცია. ამ გუნდს ძლიერი მეტოქეების დამარცხება რომ შეუძლია, ეს წინა მატჩებშიც დაამტკიცა.

- იყო თუ არა ლოგიკური შედეგი საბერძნეთისა და საქართველოს ნაკრებების პირველ შეხვედრაში დაფიქსირებული ფრე?

- ალბათ, იყო, თუმცა ჩვენ გვაქვს იმის ამბიცია, რომ ახლა უკეთესი გუნდი გვყავს, ვიდრე ერთი წლის წინ.

სანტუშმა ბოლოს ბერძენ ჟურნალისტებს შეახსენა, დღეს ჩემი დაბადების დღეაო და მანაც და მასმედიის წარმომადგენლებმაც ერთმანეთს უსურვეს, მწვრთნელის საიუბილეო თარიღი ერთმანეთისთვის ევროპის ჩემპიონატზე გასვლით მიეღოცოთ.

საბერძნეთის ნაკრების ვარჯიში მედიისთვის თავიდან ბოლომდე ღია იყო, მაგრამ ალბათ სწორედ ამის გამო იყო, მოედანზე საინტერესო რომ არაფერი მომხდარა. წვრთნის ნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში ორად გაყოფილი ბერძნები ჩვეულებრივი "კვადრატით" ხალისობდნენ, ბოლოს კი ნახევარ მოედანზე ორკარა მხოლოდ რამდენიმე წუთით გააჩაღეს.

შეგახსენებთ, საბერძნეთის ნაკრებს თბილისში დისკვალიფიკაციის გამო **გიორგიოს სამარასი, იანის ზარადუკასი** და **ავრამ პაპადოპულოსი** ვერ დაეხმარებიან, ხოლო **ვასილის ტოროსიდისი** და **სოტირის ნინისი** ტრავმირებულნი არიან.

ლევან ჯანეზაშვილი

ფუტსალი

იბერია სტარში იმედიანად არიან

საქართველოს ჩემპიონ „იბერია სტარის" თაოსნობითა და მოწადინებით თბილისმა უეფას თასის (ფუტსალის ჩემპიონთა ლიგა) პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრებს უმასპინძლა. იბერიელებს ელიტრაუნდის თბილისში გამართვის პრეტენზიაც ჰქონდათ და იმის იმედიც, რომ ტურნირს უმაღლეს დონეზე უმასპინძლებდნენ – თბილისის სპორტის სასახლე საუკეთესოთა კატეგორიაში გადის, მისგან 50 მეტრში კი სასტუმრო "ჰოლიდეი-ინ" მდებარეობს, ანუ ინფრასტრუქტურის მხრივ მოსადაგებელი არავის ექნებოდა.

მაგრამ "იბერია სტარის" პრეზიდენტ **ვახტანგ წერეთლის** შიში გამართლდა – ელიტრაუნდის მიღებაში ისეთი კონკურენტები გვყავს, მეეჭვება, თბილისი მათ ამჯობინონო. მართლაც, ამ ეტაპზე ეს პატივი ოთხი ისეთი ქვეყნის ქალაქს ხვდა წილად, რომელთაც უეფაში გაცილებით მეტი წონა აქვთ, ვიდრე საქართველოს – ლისაბონს, ბარსელონას, ტრევიზოს და მოსკოვს.

და მაინც, უნდა ითქვას, რომ "იბერია სტარმა" ქართული საფეხბურთო ცხოვრება გამოაცოცხლა და მისი დამსახურებაა, ფუტსალის მიმართ ინტერესი რომ გაიზარდა.

არადა, როდესაც ვახტანგ წერეთელმა "იბერია სტარს" მოჰკიდა ხელი, მაშინ საქართველოში ფუტსალს არ ულხინდა. მისი მოსვლის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა, გუნდი უეფას თასის გათამაშების ერთადერთი მუდმივი მონაწილე და ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. შარშან კი „იბერია სტარს" ელიტრაუნდში გამარჯვებამდე და „ოთხთა ფინალამდე" მცირედი დააკლდა.

"გუნდში ჩემი მოსვლის შემდეგ "იბერია" ფინანსურად მოლონიერდა, ბრაზილიელი ლეგიონერები დავიმატეთ და საგრძნობლად გავძლიერდით. ახლა გვაქვს პრეტენზია, ვიყოთ ევროპაში საუკეთესო გუნდი. თბილისში გამართული ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში "სლოვ მატიკთან" მოგება, რა თქმა უნდა, უფრო გამახარებდა. მაგრამ სლოვაკებს ძლიერი გუნდი ჰყავთ და ყოველთვის ელიტრაუნდში არიან, ჩვენთვის კი მთავარი ის არის, რომ პირველ ადგილზე გავედით, რასაც „იბერიასთვის" დიდი მნიშვნელობა ჰქონდა" – ამბობს წერეთელი.

ბოლო წლებში "იბერია" წარმატებებს ბრაზილიელი ლეგიონერების წყალობით აღწევდა. წლეულსაც მნიშვნელოვანი ნამატი იყო – თბილისში გამართულ ტურნირამდე გუნდში ჩაირიცხნენ **ლუის ნეგაო** იაპონიის "ნაგოიადან" და **ედუ** ბაქოს "ნეფთჩიდან".

წერეთლის თქმით, ელიტრაუნდამდე საქართველოს ჩემპიონი კიდევ უფრო გაძლიერდება: *„ორ მოთამაშეს დავიმატებთ. ჯერ მათ გვარებს ვერ დავასახელებ, რადგან ორივე კლუბში თამაშობს. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ერთი ქართველი იქნება, მეორე კი - უცხოელი".*

"იბერია სტარის" კაპიტანი **გოგა ალთუნაშვილი** ელიტრაუნდის დაწყებამდე იმედიანადაა: *"მართალია, ბოლო შეხვედრა სლოვაკებთან ვერ მოვიგეთ, მაგრამ ჩვენთვის მთავარი მეორე ეტაპზე გასვლა იყო და მიზანს მივაღწიეთ.*

წინა სეზონის ჯგუფურ ეტაპზეც შვიდი ქულა გვქონდა, მაგრამ წლევანდელი "იბერია" შარშანდელზე ძლიერია. მაშინ, თუ გახსოვთ, ალმატიში "კაირატთან" ელიტრაუნდის ბოლო შეხვედრა ფრედ დავასრულეთ, მასპინძლების მსგავსად, შვიდი ქულა დავაგროვეთ, მაგრამ ფინალურ ოთხეულში მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობის გამო ვერ გავედით. ეს ყველაფერი მაფიქრებინებს, რომ წლეულს ელიტრაუნდში უფრო წარმატებით თამაში და ევროპის ოთხ საუკეთესო კლუბში მოხვედრა შეგვიძლია".

"იბერია სტარი" უეფას ფუტსალის თასის ელიტრაუნდში კვლავ ოთხგუნდა ჯგუფში იასპარეზებს, მატჩები 12-20 ნოემბერს გაიმართება, „ოთხთა ფინალში" კი ელიტრაუნდის ჯგუფებში გამარჯვებულები გავლენ.

ჯგუფური ეტაპის სხვა გამარჯვებულებთან ერთად, საქართველოს ჩემპიონი მეორე კალათაშია განთესილი - „ეინდჰოვენის" (ჰოლანდია), „ბარსელონას" (ესპანეთი), „შატელინოს" (ბელგია), „მარკას" (იტალია) და „ეკონომაცის" (სერბეთი) კომპანიაში

დღეს, 11 ოქტომბერს, თბილისის დროით 15:30 საათზე შვეიცარიულ ნიონში უეფას ფუტსალის თასის ელიტრაუნდის ნილისყრა გაიმართება და შევიტყობთ, ვისთან მოუწევს "იბერიას" „ოთხთა ფინალის" საგზურისთვის ბრძოლა, თუმცა უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ჩემპიონი მოსკოვის ჯგუფში ვერ მოხვდება. ცნობილ მიზეზთა გამო, უეფამ წინასწარ განაცხადა, რომ თუ "იბერია" ჯგუფში მოსკოვის "დინამოსთან" მოხვდება, მაშინ ქართულ გუნდს ავტომატურად მომდევნო ჯგუფში ჩასვამენ. შეგახსენებთ, რომ ანალოგიურ წესს უეფა დიდ ფეხბურთშიც იყენებს და საქართველოს და რუსეთის ნაკრებების ერთ ჯგუფში მოხვედრას ერიდება. ერთი სიტყვით, "იბერიას" ლისაბონში, ბარსელონასა ან ტრევიზოში მოუწევს გამგზავრება.

მერაბ მამულაშვილი

გაგრა

ანატოლი პისკოვეცი გაგრას ერთი თვით დაეშშვიდობა

რამდენიმე დღეა, „გაგრა" მთავარი მწვრთნელის, უკრაინელი ანატოლი პისკოვეცის გარეშე ვარჯიშობს. როგორც კლუბში აცხადებენ, ამის მიზეზი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაა. ვინაიდან ეროვნულ ჩემპიონატში გაგრელებს რამდენიმე ტურია, არ მოუგიათ და ცხრილში პირველი ადგილიდან მეათეზე ჩაინაცვლეს, დაირხა ხმები, რომ უკრაინელს გუნდი დაატოვებინეს.

ამბის გასარკვევად „ლელო" „გაგრას" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს მიხეილ აფხაზავას დაუკავშირდა.

- მინდა, ოფიციალურად განვაცხადო, რომ ანატოლი პისკოვეცი კლუბიდან არ წასულა. მას ჯერ კიდევ „ანორთოსისთან" თამაშის შემდეგ აწუხებდა გული, რის გამოც რამდენჯერმე ექიმთან მისვლაც დასჭირდა. ასაკოვანი კაცია, წნევამაც შეანუხა და სანაკრებო პაუზით ისარგებლა, გაემგზავრა კიევში, სადაც მკურნალობის სპეციალური კურსი დაენიშნა, უახლოეს მომავალში კი დაგვიბრუნდება.

- თუ ექიმები მუშაობის გაგრძელებას არ ურჩევენ, რას აპირებთ?

- ამას არ განვიხილავთ, გვჯერა, მალე დაძლევს ჯანმრთელობის პრობლემებს, მისი ბინა კი პატრონს ელოდება.

- ხმა დაირხა, „ტორპედოსთან" თამაშის წინ პისკოვეცს კლუბის ხელმძღვანელობამ ულტიმატუმი წაუყენა, თუ თამაშს ვერ მოიგებდა, „გაგრას" დატოვებდა. ჯანმრთელობის ამბავი მომიზეზება ხომ არ არის?

- არა, ეს ყველაფერი სისულელე და ჭორია! ანატოლი პისკოვეცი „გაგრას" ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელია, რომელმაც კლუბს ქვეყნის თასი მოაგებინა. უმაღლესში გადმოსვლის შემდეგ მასთან ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ და ამ ხნის განმავლობაში ის „გაგრაში" რჩება.

- მომდევნო ტურის შეხვედრაში ვინ უთავკაცებს „გაგრას" „ზესტაფონის" წინააღმდეგ?

- გუნდს ახლა მეორე მწვრთნელი ზვიად ჯელაძე და დუბლშემადგენლობის თავკაცი თემურ ჩხაიძე ავარჯიშებენ. შემდგომისთვის კი პისკოვეცის გამოჯანმრთელებას დაველოდებით. ვიმეორებ, ის რჩება „გაგრაში."

„გაგრას" პრეზიდენტ ***ბესო ჩიხრაძეს*** *კიევში დავუკავშირდით:*

- დღეს შევხვდი ანატოლის, ვისაუბრეთ. სანატორიუმში უნდა წავიდეს და იმკურნალოს, ამიტომ ერთი თვის განმავლობაში გუნდთან ერთად ვერ იქნება.

ანატოლი პისკოვეცი

- ვაითუ პისკოვეცმა ვეღარ შეძლოს მუშაობის გაგრძელება, მის შემცვლელს არ ეძებთ?

- გავიდეს ეს პერიოდი და თუ პისკოვეცი ვეღარ იმუშავებს, შემდეგ დავიწყებ ახალი მწვრთნელის ძიებას. რაც შეეხება ულტიმატუმს „ტორპედოს" თამაშამდე, მსგავსი არაფერი ყოფილა. ჩვენ ველოდებით მის გამოჯანმრთელებას, მანამდე კი გუნდს ზვიად ჯელაძე უთავკაცებს.

მაგდა კლდიაშვილი

ეროვნული ჩემპიონატი

ასი ათასი ჩემპიონს

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და ტოტალიზატორ europe-bet-ს შორის ხელშეკრულება გაფორმდა. მთავარი სიახლე ის არის, რაც ამ ღონისძიების წინა დღეს დაანონსდა – მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული ახალი სპონსორისგან პრიზად 100 ათას აშშ დოლარს მიიღებს. კონტრაქტს ხელი სფფ-ის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** და europe-bet-ის გენერალურმა დირექტორმა **გიორგი გედევანიშვილმა** მოაწერეს.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ფეხბურთის ფედერაცია ამ ტოტალიზატორთან აქტიურ თანამშრომლობას მომავალშიც აპირებს, შემდეგი სეზონებისთვის დაგეგმილია საპრიზო ფონდის გაზრდაც, ამავდროულად, თანხას არა მხოლოდ ჩემპიონი, არამედ პრიზიორებიც მიიღებენ. პრიზები დაწესდება საქართველოს თასის გათამაშებაშიც.

ლევან ჯანეზაშვილი

რეკლამის მენეჯერის
ვაკანსია „ლელოში"
E-mail:hr@kvirispalitra.com

ქართული ფეხბურთი

● დაბრუნება?

ლევან კუტალია გაგრა თუ ბაია?

2011 წლის იანვარში **ლევან კუტალია** ხორვატების მიერ დაარსებულ ბოსნიურ კლუბ მოსტარის „ზრინსკიში“ ჩაირიხა, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი და ორგზის ჩემპიონია.

მანამდე ლევანი სარაევოს "სლავიაში" თამაშობდა და 2008-09 წლების სეზონში ბოსნიის ჩემპიონატის საუკეთესო ლეგიონერებში მე-2 პოზიციაზე დასახელდა. მაგრამ 2010 წლის აპრილში "სლავია" თანაგუნდელებთან კონფლიქტის გამო დატოვა და მას შემდეგ 8 თვე უკლუბოდ იყო.

22 წლის ქართველ შემტევ ნახევარმცველს "ზრინსკიში" საპატიო, 17-ნომრიანი მაისურა გადაეცა - ერთ დროს ხომ ამ გუნდში ამავე ნომრით ლონდონის "ტოტენჰემის" ვარსკვლავი, **ლუკა მოდრიჩი** თამაშობდა. მოსტარელთა პრეზიდენტი **ანტე ვიდაჩაკი** ინტერვიუში ამბობდა, რომ კუტალიასთან კონტრაქტმა ძალიან გაახარა.

ორი თვის შემდეგ "ზრინსკის" მწვრთნელმა **სლავენ მუსამ** ახალწვეული შეაქო, რა ხანია, არ უთამაშია, მაგრამ ნიჭიერია და მაღალ დონეზე გამოსვლა შეუძლიაო.

"ზრინსკის" ვებგვერდის ცნობით, ქართველმა ახალ გუნდში ჩატარებული არცთუ ბევრი მატჩის მიუხედავად, მოსტარელი გულშემატკივრების იმედი გაამართლა და მათი პატივისცემა დაიმსახურა.

კუტალიას კლუბთან კონტრაქტი გაისად, დეკემბერში უმთავრდებოდა, ამ სეზონში ცხრა ტურიდან ხუთში ითამაშა და ერთი გოლი გაიტანა, თუმცა რამდენიმე დღის წინ "ზრინსკისთან" კონტრაქტი განყვიტა და თავისუფალი აგენტი გახდა. როგორც კუტალიამ გვითხრა, მიზეზი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა იყო: *"საკონტრაქტო თანხა საერთოდ არ გაუდახდიათ, ბოლო ორი თვე კი არც ხელფასი მიმიღია და არც პრემია. პრეზიდენტს დაველაპარაკე, ჩამოსული ფეხბურთელი უხელფასოდ ვერ ვიცხოვრებ-მეთქი და კონტრაქტის გაწყვეტა ზე შევთანხმდით".*

ახლა კუტალია საქართველოს ჩემპიონატში თამაშს იმედოვნებს, მოლაპარაკებას "გაგრასთან" და ზუგდიდის "ბაიასთან" ანარმოებს და, როგორც გვითხრა, ერთ კვირაში გადაწყდება, სად ითამაშებს - კლუბს ხომ ნებისმიერ დროს შეუძლია თავისუფალი აგენტის განაცხადში შეყვანა.

მერაბ მამულაშვილი

ლევან კუტალია

● ჩვენ და ბერძნები

1999 წლის 5 ივნისი. საქართველო-საბერძნეთი 1:2. თემურ ქეცბაია მეტოქეთა გარემოცვაში

წყენაც დაგვავიწყდება!

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურის წინ რამდენიმე ჯგუფშია გაურკვეველი სიტუაცია; გამონაკლისი არც ჩვენი ჯგუფია — სწორედ დღეს უნდა გაირკვეს პირველ და მეორეადგილსანთა ვინაობა. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებისთვის ვერც ეს ციკლი აღმოჩნდა წარმატების მომტანი და როგორც გუშინ აღვნიშნეთ, ახლა, ფაქტობრივად, ღირსების მატჩი გველოდება. შესაძლოა, სხვებისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდეს იმ ფაქტს, შესარჩევ ტურნირს მეოთხე ადგილზე დაამთავრებს თუ მეხუთეზე, მაგრამ საქართველოს ნაკრებისათვის დღევანდელი მატჩი მაინც განსაკუთრებული უნდა იყოს: ბოლოს და ბოლოს, ხუთმატჩიანი მოუგებელი სერიაც ხომ უნდა დასრულდეს და საერთოდაც, წარმატებით დაწყებული და მერე კატასტროფულად გაგრძელებული შესარჩევი ციკლის „ხმაურიანი“ დამთავრება ყველას გვჭირდება! ჰო, ყველას: ბოლოდროინდელი წარუმატებლობებით იმედგაცრუებულ ქართველ გულშემატკივარსაც, ნაკრების მთავარ მწვრთნელს **თემურ ქეცბაიასაც** და ჩვენი უპირველესი გუნდის თითოეულ ფეხბურთელსაც. გასაგებია, რომ ჩვენი დღევანდელი მეტოქე თბილისში არნახული მოტივაციით ჩამოდის: სანუკვარი ქულა და **ფერნანდუ სანტუშის** დამოძღვრილი საბერძნეთის ნაკრები 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ყოველგვარი პლეი ოფის გარეშე მოხვდება! ამას გარდა, თბილისური მატჩის შედეგს გულისფანცქალით დაელოდებიან ხორვატიაშიც - საბერძნეთის წაგების შემთხვევაში პირველი ადგილის დაკავების შანსი ხომ **სლავენ ბილიჩის** გუნდს უჩნდება. მოკლედ, ჩვენი „გადასაწყვეტია“, თუ რომელი გუნდი მოიპოვებს ევრო-2012-ის საგზურს და რომელი მოხვდება პლეი ოფში; თუმცა, ნებისმიერი ქართველი გულშემატკივარისათვისაც და, რაც მთავარია, საქართველოს ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელთათვის ნამდვილად სულერთი უნდა იყოს ჯგუფში ვინ გაიმარჯვებს; ამას გარდა, მეტოქეზე არანაკლები მოტივაცია ჩვენც უნდა გვქონდეს და მაქსიმალური თავდადებისა და მონდომების ხარჯზე მხოლოდ და მხოლოდ წარმატების მისაღწევად უნდა ვიბრძოლოთ. ისე, ქართველი ქომაგი ხანდახან ზედმეტად მომთხოვნია, მაგრამ „წყენის დავინყებაც“ მალე იცის: საკმარისია ერთი წარმატებული მატჩი და წინა იმედგაცრუებებიც აღარავის ახსოვს! თანაც უსიამოვნოზე-უსიამოვნო სტატისტიკაც, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შეიცვალოს: საქართველოს ნაკრებს დღევანდელი მეტოქე არასდროს დაუმარცხებია!

ისტორიული ქულა

თანამედროვე ფეხბურთში არცთუ ცოტაა ისეთი ნაკრებები, რომლებთანაც უარყოფითი ბალანსი გვაქვს, მაგრამ საბერძნეთთან - ამას კატასტროფულზე მეტი ჰქვია: აქამდე ჩატარებულ ექვსი მატჩიდან ხუთი წავაგეთ და მხოლოდ ერთადერთხელ მივაღწიეთ ფრეს (ბურთების სხვაობა 4-12). ვიდრე იმ ერთადერთ ქულას ავიღებდით, ბერძნებისთვის სულერთი იყო, შინ თამაშობდნენ თუ სტუმრად, მატჩი ამხანაგური იყო თუ ოფიციალური - ყველა შემთხვევაში ისინი იმარჯვებდნენ; კიდევ ერთი „უცნაური“ ფაქტი: ხუთივე შემთხვევაში საქართველოს ნაკრებს სხვადასხვა მწვრთნელი ჰყავდა, მაგრამ „ბერძნული სინდრომის“ დაძლევა ვერც ერთმა (**ალექსანდრე ჩივაძემ, ვლადიმერ გუცაევმა, იოჰან ბოსკამპმა, ალენ ჟირესმა, გაიოზ დარსაძემ**) ვერ შეძლო და აი, შარშან, როგორც იქნა, ნავსი გატყდა: საბერძნეთთან ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაში პირველად შევძელით ქულის მოპოვება! შეგახსენებთ, რომ 2010 წლის 3 სექტემბრის მატჩი იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ თემურ ქეცბაია თავის პირველ ოფიციალურ შეხვედრას ატარებდა. პირეოსულ მატჩამდე ქეცბაიას ხელმძღვანელობით მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ სამი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა წაუგებლად (ესტონეთს მოვუგეთ, კამერუნთან და მოლდოვასთან კი ფრედ ვითამაშეთ) და ეს სერია საბერძნეთთან ოფიციალური შეხვედრის შემდეგაც გაგრძელდა! შესარჩევი ციკლის წაუგებლად დაწყებაც კარგად გვენიშნა და ის ფაქტიც, რომ საქართველოს ნაკრებმა ის ქულა ალალად დაიმსახურა და ამის აღნიშვნა ბერძნების მთავარ მწვრთნელსაც არ დავიწყნია. საერთოდაც, ჩვენი ნაკრების თამაშში ბევრი პოზიტივი დავინახეთ: თავიდანვე აგრესიულად დავიწყეთ მატჩი და **ალექსანდრე იაშვილის** სწრაფი გოლიც ლოგიკური იყო; სასიამოვნო სანახავი იყო ჩვენი ფეხბურთელების მიერ სათამაშო დისციპლინის მკაცრი დაცვაც: დაცვიდან სწრაფად და ზუსტად „ამოგვქონდა“ ბურთი, მეტოქეებს მაქსიმალურად ვუზღუდავდით თავისუფალ სივრცეებს, უპირატესობას „ერთი შეხებით“ თამაშს ვანიჭებდით და ნებისმიერი მდგომარეობიდან თუ ნებისმიერი მანძილიდან კარში დარტყმებსაც არ ვერიდებოდით (**ზურაბ ხიზანიშვილის** ორი შორეული „გასროლა“ გეხსომებათ). სამწუხაროდ, ჩვენთვის სასურველი ანგარიში ბოლომდე ვერ შევინარჩუნეთ: ერთ ეპიზოდში **სალპინგიდისმა** თუ „დაგვინდო“ და უაღრესად ხელსაყრელი მომენტი გაანიავა, მეორე ტაიმში **სპიროპულოსმა** მაინც შეძლო გოლის გატანა. ფრე ლოგიკური შედეგი იყო-თქო, ვთქვით და არც ჩვენი მოგება იქნებოდა დიდი უსამართლობა: მატჩის მინურულს **ჯანო ანანიძეს** შეეძლო მატჩის გმირი გამხდარიყო, თუმცა ერთი სუპერმომენტი იმათაც გაანიავეს, როცა **მიტროღლუმ** უაღრესად ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შარშანდელი 3 სექტემბრის მატჩი თემურ ქეცბაიასათვის პირველი ოფიციალური შეხვედრა იყო, ისე როგორც მისი კოლეგისათვის: პორტუგალიელი სპეციალისტი ფერნანდუ სანტუში საბერძნეთის ნაკრების თავკაცად ერთი თვის დანიშნული იყო. სანტუშის დებიუტი 11 აგვისტოს, სერბეთთან ამხანაგურ მატჩში შედგა: ბერძნებმა ის მატჩი 1:0 მოიგეს და იქიდან მოყოლებული დღემდე საბერძნეთის ნაკრებს არც ერთი მატჩი არ წაუგია! არადა, ბევრი სკეპტიკურად აფასებდა სანტუშის სამწვრთნელო შესაძლებლობებს — ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საბერძნეთის ნაკრების თავკაცის პოსტზე მან ხომ **ოტო რეჰაგელი** შეცვალა; თუმცა, როგორც დრომ აჩვენა, ბერძნული ფეხბურთის ხელმძღვანელებს აბსოლუტურად გონივრული გადაწყვეტილება მიუღიათ - დღევანდელ ჩვენს მეტოქეს უკვე 15-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. ვნახოთ, რამდენ ხანს გასტანს ასეთი წარმატებული ასპარეზობა, - ხომ შეიძლება, რომ ბერძნებს სწორედ დღეს დაუცდეთ ფეხი, მით უფრო, რომ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს თემურ ქეცბაიასაც საკმარისზე მეტი მოტივაცია აქვს ბერძნებთან საპაექროდ, ხოლო ქართული ფეხბურთის მართლაც დამსახურებული ვეტერანი **ლევან კობიაშვილი** საქართველოს ნაკრებში მეასე მატჩს ჩაატარებს!

გია ტუხაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბხაზეთ-საქართველოს მატჩი

საბერძნეთი-საქართველო 2:1

08.05.96. იანინა. 30 000 მაყურებელი

0:1 გოგრიჭიანი (15), 1:1 ნიკოლაიდისი (67), 2:1 ნიკოლაიდისი (88)

საბერძნეთი: ატმაციდისი (46. მიხოპულოსი) - აპოსტალაკისი (46. კონსტანდინიდისი), კასაპისი (46. ფრანცეკოსი), უზუნიდისი, კალიცაკისი - ზაგორაკისი, ალექსანდრისი, გეორგიადისი. ნიკოლაიდისი - ცარტასი (46. ბატისტა/59. ნისოპულოსი), დონისი (46. ვრიზასი).

მწვრთნელი: კ. პოლიქრონიუ

საქართველო: ი. ზოიძე (22. ნ. ტოგონიძე) - გ. ღუდუშაური (46. გ. დემეტაძე), ნ. ლობჟანიძე, დ. კუდინოვი, გ. ჩიხრაძე - კ. გოგიჩაიშვილი, გ. ნემსაძე, რ. არველაძე, თ. ქეცბაია - გ. გოგრიჭიანი (55. ვ. გუჩუა), შ. არველაძე.

მწვრთნელი: ა. ჩივაძე

გაფრთხილება: აპოსტალაკისი, კონსტანტინიდისი; ქეცბაია, ლობჟანიძე, ტოგონიძე, გუჩუა.

არბიტრი: ლ. ზულფო (ალბანეთი)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

საბერძნეთი-საქართველო 3:0

14.09.98. ათენი. ოლიმპიური. 15 000 მაყურებელი

1:0 მახლასი (13), 2:0 ლიბეროპულოსი (15), 3:0 უზუნიდისი (36)

საბერძნეთი: ატმაციდისი - მარკოსი, დაბიზასი, უზუნიდისი, კალიცაკისი - პურსანიდისი, ზაგორაკისი, ფრანცეკოსი (77. ცარტასი), გეორგატოსი - მახლასი (85. მავროგენიდისი), ლიპეროპულოსი (70. იანაკოპულოსი).

მწვრთნელი: ა. იორდანესკუ

საქართველო: ნ. ტოგონიძე - კ. კალაძე, მ. შელია, გ. შუყლაძე, ლ. კობიაშვილი - მ. ყაველაშვილი (59. გ. გახოკიძე). გ. ნემსაძე, გ. ჯამარული, თ. ქეცბაია - გ. ქინქლაძე - შ. არველაძე.

მწვრთნელი: ვ. გუცაევი

გაფრთხილება: მარკოსი; კალაძე, ქეცბაია

არბიტრი: ა. უზუნოვი (ბულგარეთი)

საქართველო-საბერძნეთი 1:2

06.06.99. თბილისი. ეროვნული. 15 000 მაყურებელი

1:0 ქეცბაია (55), 1:1 ფრანცეკოსი (86), 1:2 მახლასი (89)

საქართველო: დ. გვარამაძე - ბ. ახვლედიანი (65. ზ. ხიზანიშვილი), დ. ჭიჭვეიშვილი (10. გ. დიდავა), ო. ხიზანეიშვილი, მ. წერეთელი - ლ. ცქიტიშვილი (56. რ. ალექსიძე), გ. ნემსაძე, გ. ჯამარული, ლ. კობიაშვილი - თ. ქეცბაია - მ. ამვეთია.

მწვრთნელი: ვ. დანიილი

საბერძნეთი: ატმაციდისი - მავროგენიდისი, უზუნიდისი, კასაპისი, ანატოლაკისი - პურსანიდისი, ზაგორაკისი (81. ფრანცეკოსი), კონსტანტინიდისი (46. ფრესოსი), გეორგატოსი (61. ანასტასიუ) - მახლასი, ნინიადისი.

მწვრთნელი: ი. ბოსკამპი

გაფრთხილება: წერეთელი, დიდავა, ნემსაძე; კასაპისი, ზაგორაკისი, ფრესოსი, პურსანიდისი.

არბიტრი: ვ. იანგი (შოტლანდია)

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

საქართველო-საბერძნეთი 1:3

26.03.2005. თბილისი. ლოკომოტივი. 25000 მაყურებელი

1:0 მ. ასათიანი (22), 1:1 კაპსისი (44), 1:2 ვრიზასი (45), 1:3 იანაკოპულოსი (54)

საქართველო: გ. ლომაია - კ. მჟავანაძე, ზ. ხიზანიშვილი, ო. ხიზანეიშვილი, კ. კალაძე - გ. გოგუა (46. ლ. ცქიტიშვილი), ლ. კობიაშვილი, მ. ასათიანი, დ. კვირკველია - გ. დემეტრაძე, შ. არველაძე (62. ა. იაშვილი).

მწვრთნელი: ა. ჟირესი

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი - სეიტარიდისი, კაპსისი, კაცურანისი, გუმასი - ბასინასი, ზაგორაკისი - ხარისტვასი, კარაგუნისი, იანაკოპულოსი - ვრიზასი.

მწვრთნელი: ო. რეჰაგელი

გაფრთხილება: მჟავანაძე, ხიზანიშვილი; გუმასი

არბიტრი: რ. როზეტი (იტალია)

საბერძნეთი-საქართველო 1:0

12.10.2005. ათენი. 3500 მაყურებელი

1:0 პაპადოპულოსი (17)

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი - სეიტარიდისი, კაპსისი, დელასი (64. ანატოლაკისი) გუმასი - ბასინასი, ზაგორაკისი (54. კაფესი) - კაცურანისი, პაპადოპულოსი, სალპიგიდისი - მანციოსი (46. ვრიზასი).

მწვრთნელი: ო. რეჰაგელი

საქართველო: ნ. რევიშვილი - კ. მჟავანაძე, ზ. ხიზანიშვილი, ლ. სალუქვაძე (46. რ. ნინამძღვრიშვილი), კ. კალაძე - გ. განუგრავა, ჯ. კანკავა - გ. გოგუა, დ. მუჯირი, ლ. კობიაშვილი - გ. დემეტრაძე (85. ბ. გოცირიძე).

მწვრთნელი: გ. დარსაძე

გაფრთხილება: ბასინასი, ვრიზასი; გოგუა, მუჯირი, კანკავა, ხიზანიშვილი, გოცირიძე.

არბიტრი: მ. ტრეფოლინი (იტალია)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

საბერძნეთი-საქართველო 1:1

03. 09. 2010. პირეოსი. გეორგიოს კარაისკაკისი. 5000 მაყურებელი

0:1 იაშვილი (3), 1:1 სპიროპულოსი (72)

საბერძნეთი: სიფაკისი-სეიტარიდისი (71. მიტროღლუ), პაპადოპულოსი, პაპასტატოპულოსი, სპიროპულოსი-ტოროსიდისი, კაცურანისი, კარაგუნისი, სამარასი (59. ნინისი)-სალპინგიდისი, გეკასი

მწვრთნელი: ფერნანდუ სანტუში

საქართველო: რევიშვილი-უ. ლობჟანიძე, ასათიანი, ამისულაშვილი, კალაძე-ხიზანიშვილი, კობიაშვილი-იაშვილი (54. ანანიძე), გოგუა (U87. მერებაშვილი), კვირკველია-დვალიშვილი (60. გელაშვილი)

მწვრთნელი: თემურ ქეცბაია

გაფრთხილება: სამარასი, კაცურანისი, პაპადოპულოსი; ლობჟანიძე, ხიზანიშვილი

არბიტრი: ჯ. გომესი (ესპანეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინგლისის ნაკრები



ფანებს ყველაფერი შეუძლიათ

ჩერნოგორიის ნაკრებმა, ევრო 2012-ის შესარჩევში, ინგლისელებს ანგარიში ბოლო წუთზე გაუთანაბრა, მაგრამ, როდესაც ურნალისტებმა „მანჩესტერ სიტისა" და ეროვნული გუნდის 24 წლის მეკარე **ჯო ჰარტს** ეს შეახსენეს, მან მხრები აიჩეჩა. ჰარტი დარწმუნებულია, რომ ინგლისის ნაკრები, ყველაფრის მიუხედავად, ევროპის ჩემპიონატზე ფანტასტიკურად გამოვა და როდესაც ამას ამბობს, სიტყვა ფანტასტიკურის პირველ მარცვალს, „ფანს" განსაკუთრებით უსვამს ხაზს - გოლკიპერს გულშემატკივრის იმედი აქვს.

დიახ, პარასკევს პოდგორიცაში ინგლისელებმა ვერ იყოჩაღეს - 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ 2:2 ითამაშეს. თან, **უეინ რუნი** მოედნიდან გააძევეს, რის გამოც მას პოლონეთსა და უკრაინაში სავარაუდოდ, ორი თამაშის გამოტოვება მოუწევს. მაგრამ ახსნა და გამართლება ყველაფერს აქვს. ჰარტი, მაგალითად, ასე ამბობს:

„ჩერნოგორიაში მოედანიც საზიზღარი იყო და ბურთიც, მაგრამ ჩვენი ფანები იყვნენ განსაკუთრებული. ამ ეტაპზე ჩვენ მშვენივრად ვთამაშობთ და ამ თამაშის ანგარიშში ასახვის გზებს ვეძებთ".

ისტლენდელი მეკარე პრემიერლიგაში სანაკრებო პაუზებითაც კმაყოფილია - სხვა გუნდების ბიჭებს ვხვდებიო. ინგლისში ყველამ კარგად იცის, რომ ადრე ეროვნულ გუნდში მოთამაშეებს შორის ურთიერთობა მთლად დალაგებული არ იყო. ეს ყველაზე მძაფრად „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ლივერპულის" ფეხბურთელთა ურთიერთობაში იგრძნობოდა. დღეს სხვა მდგომარეობაა, ყოველ შემთხვევაში, ჰარტი ასე ფიქრობს და ამბობს:

„ჩვენ ერთსულოვანი კოლექტივი გვყავს. ტრიბუნაზე ფანებიც ერთ მუშტად არიან შეკრულნი. მოკლედ, ყველანი ერთმანეთს ვეხმარებით და ასე შედეგს უეჭველად მივაღწევთ.

ვიმეორებ, ინგლისის ნაკრებში შესანიშნავი ვითარებაა. მე ყოველი შეკრების შემდეგ ერთი სული მაქვს, როდის გამომიძახებენ თავიდან, რადგან ბიჭების ნახვა მინდა".

ერთი გაძევების ფასი

ინგლისის ნაკრების თავკაცმა, **ფაბიო კაპელომ** „მანჩესტერ იუნაიტედის" 25 წლის ფორვარდი, **უეინ რუნი** გააფრთხილა, რომ მას, შესაძლოა, მთელი ევრო 2012-ის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე მოუხდეს ჯდომა. ჩერნოგორიასთან შეხვედრაში მიღებული წითელი ბარათის გამო, რუნის ფინალურ ეტაპზე ორი შეხვედრის (ასე ვარაუდობს ინგლისური მას-მედია) გამოტოვება მოუწევს, რის გამოც იტალიელი მწვრთნელი გუნდის თამაშის სათადარიგო ვარიანტს ამზადებს. სწორედ იმ ორ შეხვედრაში გამოჩნდება ყველაფერი. თუ ინგლისის ნაკრებს სათადარიგო გეგმა კარგად აათამაშებს და შედეგს მოუტანს, მაშინ, რუნის მესამე შეხვედრაშიც სკამზე მოუწევს ჯდომა.

ინგლისის ნაკრებს ნოემბერში, „უემბლიზე", ესპანეთის ნაკრებთან აქვს ამხანაგური შეხვედრა დაგეგმილი და უკვე ცნობილია, რომ ამ შეხვედრაში რუნი მონაწილეობას არ მიიღებს. როგორც მოგახსენეთ, კაპელო ახალ სტრატეგიაზე იწყებს მუშაობას, რასაც მსოფლიოს ჩემპიონებთან შეხვედრაშივე შეუდგება.

ინგლისელთა თავკაცმა თქვა: *„იმ ერთი ან ორი შეხვედრისთვის, რომლებშიც, წესით, რუნის მონაწილეობა უნდა მიეღო, მაგრამ ვერ ითამაშებს, საგანგებო სტრატეგიის შემუშავება მომიწევს. თუ დავინახავთ, რომ ახალმა სტრატეგიამ ივარგა და შედეგს ვაღწევთ, მაშინ უეინს ძირითად შემადგენლობაში დასაბრუნებლად დიდი მონადინება მოუხდება. რას იზამ, ჩემს სამწვრთნელო კარიერაში ბევრი კარგი ფეხბურთელი დამისვამს სათადარიგოთა სკამზე, ასე რომ, ამაში ჩემთვის სიახლე არაფერია".*

მოგეხსენებათ, ჩერნოგორიასთან შეხვედრაში გაძევებისთვის რუნის ერთი თამაშის გამოტოვება ავტომატურად მოუწევს, დანარჩენს კი უეფას სადისციპლინო კომისია დაუმატებს. კერძოდ, რამდენი თამაშით დასჯიან ევროპული ფეხბურთის შეფები ინგლისელ ვარსკვლავს, ამ კვირაში გაირკვა. რასაკვირველია, არ არის გამორიცხული, რომ დაინდონ კიდეც, ასე რომ, ინგლისელთა პანიკა ცოტა ნაადრევია. თუმცა, ასე მოხდება თუ ისე, „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება. კაპელო ამბობს:

„რუნის ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად წავიყვან. მეტიც, იმედი მაქვს, რომ უეფა მას მხოლოდ ერთი თამაშით დასჯის".

● მანჩესტერ იუნაიტედი

კლევერლის კონტრაქტი

22 წლის **ტომ კლევერლი** „მანჩესტერ იუნაიტედმა" კარგად თამაშისა და სწრაფი პროგრესის გამო ახალი კონტრაქტით დააჯილდოვა — ინგლისელი ნახევარმცველი „ოლდ ტრეფორდზე" 2015 წლის ზაფხულამდე დარჩება. ახალი ხელშეკრულების შესაბამისად, კლევერლის იმდენსავე ხელფასს გადაუხდიან, რამდენსაც უხდიან **კრის სმოლინგსა** და **ფილ ჯონსს**. „ბლექბერნის" ყოფილი მოთამაშის, ჯონსის გასამრჯელო კვირაში 40 ათასი ფუნტი გახლავთ.

გაზეთები წერენ, რომ „იუნაიტედის" ინიციატივა ნათლად მეტყველებს იმ პროგრესზე, რომელიც ნახევარმცველმა „უიგანიდან" დაბრუნების შემდეგ განიცადა. ცნობისათვის: ტომ კლევერლი 2009 წლიდან „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელია, მაგრამ მუდამ გაქირავებული იყო, ჯერ „ლესტერში", შემდეგ „უოტფორდში" და ბოლოს „უიგანში", სადაც ერთი წელიწადი ახალგაზრდა ესპანელი მწვრთნელის, **რობერტო მარტინეს** ხელმძღვანელობით ივარჯიშა და ითამაშა.

ამბობენ, რომ კლევერლის კარგმა თამაშმა ინგლისის ჩემპიონს ვეტერანი **პოლ სქოულზის** დანაკლისი ნანილობრივ აუნაზღაურა. მიმომხილველების მტკიცებით, არც „ინტერიდან" **ვესლი სნეიდერის** ტრანსფერის ჩაშლამ იმოქმედა ძლიერად — იმას, რისთვისაც სნეიდერი მოჰყავდათ, კლევერლი მეტ-ნაკლებად ასრულებს.

● ქველმოქმედება

ნიუკასლმა თავდამსხმელი იშოვა

მას მერე, რაც **ენდი ქეროლი** „ლივერპულს" მიჰყიდა, „ნიუკასლ იუნაიტედი" თავდამსხმელის ძიებაშია. „კაჭკაჭებმა" მთელი ქვეყანა „მოიფრინეს", სად არ იყვნენ, მაგრამ ხეირიანი ცენტრალური თავდამსხმელი ვერსად ნახეს, თუმცა... ამ დღეებში გუნდს ცოტა იმედი მიეცა — 22 წლის ქეროლის ადგილი დიდმა ვარსკვლავმა, 41 წლის **ალან შირერმა** დაიკავა.

ლაპარაკია „ნიუკასლ იუნაიტედისა" და „ლივერპულის" ვეტერანთა საქველმოქმედო შეხვედრაზე, რომელიც ნიუკასლის სტადიონ „კინგსტონ პარკზე" ჩატარდა. ეს თამაში 1997 წლის 10 მარტს, ამ გუნდებს შორის „ენფილდ როუდზე" გამართული დაუვიწყარი შეხვედრის მოგონებას მიეძღვნა. მაშინ „ლივერპულმა" 4:3 გაიმარჯვა. თავიდან მერსისაიდელები 3:0-ს იგებდნენ, თუმცა „კაჭკაჭებმა" 71-ე, 87-ე და 88-ე წუთებზე გატანილი გოლების წყალობით ანგარიში გაქვითეს. 90-ე წუთზე ლივერპულელმა **რობი ფაულერმა** მაინც გაიტანა გამარჯვების გოლი.

ვეტერანთა შეხვედრაშიც „ლივერპულმა" მოიგო — 4:1. შირერმა პენალტი ვერ გაიტანა. „წითლებს" **კევინ კიგანი** ხელმძღვანელობდა, „ნიუკასლს" კი **ფილ ტომპსონი**.

● სადისციპლინო საკითხი

ბრაიტონში ბელამი გამოლანძღეს



ინგლისური ფეხბურთის შეფები „ლივერპულის" უელსელი ვარსკვლავის, 32 წლის **კრეიგ ბელამის** შეურაცხყოფის საქმეს იძიებენ. ვერ გეტყვით რამდენად რასიზმია, მაგრამ, ოფიციალურად, ის, რაც ბრაიტონში მოხდა, როგორც ჩანს „რასიზმში" გადის. კერძოდ კი სექტემბერში, ფეხბურთის ასოციაციის თასის შეხვედრაში ბრაიტონელმა ფანებმა უელსელი ამოიჩემეს და ტრიბუნიდან „ცხვრების კურკლის მწმენდავი" უძახეს. საქმე ის გახლავთ, რომ უელსში მეცხვარეობა გახლავთ განვითარებული. იმ შეხვედრაში „ლივერპულმა" 2:1 გაიმარჯვა, ხოლო ბელამიმ ანგარიში გახსნა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ამ ინციდენტის შესახებ ორგანიზაციამ „გავაძევოთ ჩვენგან რასიზმი" შეატყობინა. მოგეხსენებათ, გაუწონასწორებელი ხასიათით ცნობილი ბელამი უელსელი პატრიოტი და თავისი ქვეყნის ნაკრების ყოფილი კაპიტანია. ახლა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია გამოიკვლევს, რა მოხდა ბრაიტონში და თუ აღმოაჩენს, რომ კლუბს რამენაირად შეეძლო მეტოქის ფეხბურთელის „ეროვნული შეურაცხყოფა" თავიდან აერიდებინა, მას დასჯის.

აღსანიშნავია, რომ ბელამის უელსელობის გამო პირველად არ აყენებენ შეურაცხყოფას. 2005 წელს, როდესაც ბელამი „სელტიკში" თამაშობდა, „ჰარტსის" მავანმა გულშემატკივარმა ფეხბურთელს ტრიბუნიდან „ჩია უელსელი ნაბიჭვარი" უძახა. სამართალდამცავებმა უზრდელი გულშემატკივრის ვინაობა გამოიკვლიეს და დამნაშავეს... 250 ფუნტი ჯარიმა დააკისრეს.

● ნაკრები კლუბის წინააღმდეგ

ფერგიმ უელბეკი არ გაუშვა

„მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცს **სტიუარტ პირსს** 20 წლის **დენი უელბეკი** არ გაუგზავნა. ლაპარაკი იყო ნორვეგიისა და ინგლისის ახალგაზრდულ გუნდებს შორის წუხელ გამართულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში მონაწილეობაზე.

საქმე ის გახლავთ, რომ პირსი ამ შეხვედრისთვის ერთი თავდამსხმელის ამარა იყო დარჩენილი: **ნეითან დელფუენსო** და **მარტინ უეგჰორნი** ხუთშაბათს, ისლანდიაში, 3:0 მოგებულ შეხვედრაში დაშავდნენ. ამიტომაც მოსინჯა ახალგაზრდათა თავკაცმა ბედი „ოლდ ტრეფორდზე", მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, იქიდან უარი მიიღო.

„ისლანდიაში ჩატარებული თამაშის შემდეგ სერ ალექსს დავურეკე, მაგრამ მან მითხრა, რომ დენის ჩერნოგორიიდან ლონდონში ჩაფრენისა და ლონდონის აეროპორტიდანვე ოსლოში გადაფრენის ძალიან ეშინია. ფერგიუსონი, რასაკვირველია, მართალი იყო და მისი პოზიცია ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია, მაგრამ მეც ხომ ვალდებული ვიყავი, ჩემი შანსი მომესინჯა".

შეგახსენებთ, რომ უელბეკი მონტენეგროში გამართულ „დიდი ნაკრების" შეხვედრაში მოედანზე **თეო უოლკოტის** მაგივრად 76-ე წუთზე შევიდა.

● მანჩესტერ სიტი

დიეგო კარლოსს ვერ შველის



ლეგენდარულმა **დიეგო მარადონამ** განაცხადა, რომ ის, სამწუხაროდ, ვერაფრით დაეხმარება თავის ძველ მეგობარსა და ფეხბურთელს, 27 წლის **კარლოს ტევესს**, რომელსაც „მანჩესტერ სიტიში" ნამდვილი კოშმარული ცხოვრება უდგას.

ამჟამად მარადონა დუბაის მდიდრულ კლუბს, „ალ ვასლს" უდგას სათავეში, თუმცა თავისი თანამემამულის ინგლისურ თავგადასავალს დაკვირვებით მისდევს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარადონამ „მანჩესტერ სიტის" ამბები იმიტომ იცის, რომ ამ გუნდში მისი სიძე, **სერხიო აგუერო** თამაშობს.

დიეგო, რომელიც ტევესს არგენტინის ნაკრების თავკაცობისას ხელმძღვანელობდა, ამბობს:

„ტევესი ძალიან მაღალი დონის და ძვირადღირებული ფეხბურთელია. ჩვენს კლუბს, ამ ეტაპზე, მისი ყიდვისა და ხელფასის გადახდის შესაძლებლობა არ აქვს".

სატრანსფერო ბაზრის გახსნის შემდეგ რა მოხდება, უცნობია, მაგრამ დღეს, ტევესის ფასი 50 მილიონ ფუნტს უდრის. შეგახსენებთ, რომ თავდამსხმელმა მიუნხენში გამართულ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში, მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** მოედანზე შესვლაზე უარი განუცხადა, რისთვისაც სასჯელს ელოდება. შესაძლოა კლუბიდან გააგდონ კიდეც.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

● დორტმუნდის ბორუსია

კლოპის პრობლემები

გიუნდოგანი ვერ შაჰინობს, ლევანდოვსკის სახე ჩამოსტირის, კაგავას გარდატეხის ასაკი აქვს...

დორტმუნდის „ბორუსიას“ 8 ტურის შემდეგ 13 ქულა აქვს და გერმანიის ჩემპიონის მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** მიიჩნევს, რომ ეს მისაღები შედეგია. მისი თქმით, მართალია, ეს არ არის ძალიან კარგი და მით უმეტეს ისეთი დასაწყისი, როგორიც ჩემპიონს შარშანდელი თამაშის ფონზე ეკადრებოდა, მაგრამ კლოპი პანიკის საფუძველსაც ვერ ხედავს – „ჰერტასთან“ მოსაგები შეხვედრა რომ მოგვეგო, ახლა 16 ქულა გვექნებოდა, ჩვენზე აუგს არავინ იტყოდა და მხოლოდ იმიტომ, რომ სამით ნაკლები ქულა გვაქვს, განგაშის ატეხვას არ ვაპირებო.

„საერთო ჯამში, ბევრი რამით კმაყოფილი ვარ. ვერ ვიტყვი, რომ ბიჭებს მონდომება აკლიათ. ისინი ახლაც ისევე არიან შემართულები, როგორც გასულ სეზონში იყვნენ. შესაბამისად, ვერაფრით დავეთანხმები იმ ექსპერტებს, რომლებიც ამბობენ, „დორტმუნდის“ ჩავარდნა მოსალოდნელი იყოო. ჯერ ერთი, ეს ჩავარდნა არ არის და კრიზისზე საუბარიც უადგილოა და ესეც რომ არ იყოს, ჩვენ სულ სხვა პრობლემები გვაქვს,“ - აცხადებს იურგენი „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

კლოპის აზრით, „ბორუსიას“ ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ის არის, რომ „ნიურნბერგიდან“ ნაყიდმა **ილქაი გიუნდოგანმა** „რეალში“ გადასული **ნური შაჰინი** ჯერ ვერ შეცვალა ისე, როგორც ამას იურგენი ელოდა: *„გიუნდოგანი ჩვენთან ჯერ კიდევ არ არის ისეთი დომინანტი, როგორიც „ნიურნბერგში“ იყო. მას გაცილებით მეტი შეუძლია და ამაში ასი პროცენტით დარწმუნებული რომ არ ვიყო, „ბორუსიაში“ ნამდვილად არ გადმოვიყვანდი. თუმცა ილქაი ჯერ მხოლოდ 20 წლისაა და დარწმუნებული ვარ, „დორტმუნდს“ ალლოს ძალიან მალე აუღებს.“*

სანამ „აუგსბურგთან“ შეხვედრაში ჰეთ-თრიკს შეასრულებდა, ჩვენი გერმანელი კოლეგები „ბორუსიას“ პოლონელ ფორვარდ **რობერტ ლევანდოვსკის** მაგრად აკრიტიკებდნენ. სექტემბერი „ბორუსიას“ მთავარმა თავდამსხმელმა **ლუკას ბარიოსმა** ლაზარეთში გაატარა და ფაქტია, რომ „პოლონელ ტორესად“ წოდებულმა ლევანდოვსკიმ ის ჯეროვნად ვერ შეცვალა.

კლოპი: *„ლევანდოვსკის პრობლემა ის არის, რომ ფეხბურთის თამაშის დროს ყოველთვის ისეთი სახე აქვს, თითქოს არაფერი უხარია და უდიდეს ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდის. დიახ, ვაღიარებ, რომ მართლა ასეთი გამომეტყველება აქვს. მას „მარსელთან“ მატჩის შემდეგაც ველაპარაკე და ვთხოვე, ცოტა უფრო ხალისიანი იყოს, რადგან ზუსტად ვიცი, რომ არ გრძნობს იმას, რასაც მისი სახე გვეუბნება ხოლმე. მე მისგან ბურთით, თუ უბურთოდ, მეტ მოძრაობას ველი. მინდა, რომ მეტი ჯარიმა მოიპოვოს. დარწმუნებული ვარ, რობერტი შესაძლებლობების მაქსიმუმს არ იყენებს. არადა, მართლა დიდი პოტენციალი გააჩნია.“*

44 წლის კლოპმა ხსენებულ ინტერვიუში ცენტრალური მცველი **ნევენ სუბოტიჩიც** აქო, რომელმაც „მარსელთან“ შეხვედრაში უპატიებელი შეცდომები დაუშვა, რის გამოც „აუგსბურგთან“ სათადარიგოთა სკამზე იჯდა. *„როცა ნევენი ჯანმრთელია, შეუძლია, გუნდისთვის ფასდაუდებელი მოთამაშე იყოს. ერთიორი შეცდომა ვის არ მოსვლია – მარსელში მომხდარის გამო მის შესაძლებლობებს ხაზი არ უნდა გადავუსვათ. ისე, მოედანზე ფეხი შარშანაც ხშირად უსრიალდებოდა ხოლმე,“* - ამბობს იურგენი.

მისი აზრით, პრობლემაა ისიც, რომ იაპონელ **შინჯი კაგავას** აშკარა ჩავარდნა დაეწყო. 22 წლის გამთამაშებელი, რომელმაც შარშან ამ დროს მთელი საფეხბურთო გერმანია აალაპარაკა, მერე კი სერიოზული ტრავმა მიიღო და მთელი მეორე წრე გაუცდა, თავის თავს აღარ ჰგავს. კლოპის აზრით, კაგავას ახლა კარიერის გარდატეხის ასაკი აქვს.

„ძალიან მინდა, რომ შინჯი სწრაფად ათამაშდეს ისე, როგორც შარშან თამაშობდა. ასეთი პერიოდი ნაუცბათევი აღმასვლის შემდეგ ყველა ახალგაზრდა მოთამაშეს აქვს ხოლმე და კაგავასაც ასე დაემართა. რაც მთავარია, ის შრომისმოყვარეა და ამიტომაც მჯერა, რომ მალე ძველებურად ათამაშდება,“ - აცხადებს კლოპი.

● ჰამბურგი

არნესენმა თავის თავზე აიღო!

...სანამ სასურველ კანდიდატს დაითანხმებს

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ **ტორსტენ ფინკმა** „ჰამბურგის“ ხელმძღვანელებს უარი შეუთვალა – მას „ბაზელის“ შეფები არ უშვებენ. თუმცა „ჰამბურგი“ იოლად დანებებას არ აპირებს – ფინკისთვის ბრძოლა გაგრძელდება და ჩვენი გერმანელი კოლეგების ვარაუდით, ჩრდილოგერმანული კლუბის ბოსები ტორსტენს მაინც ნაიყვანენ. მანამდე კი გუნდს, როგორც მოსალოდნელი იყო, სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** უნდა მიხედოს. ამ უკანასკნელს მწვრთნელის ლიცენზია აქვს და შესაბამისად, გერმანიის საფეხბურთო ლიგა მის კანდიდატურას ვერ დაბლოკავს ისე, როგორც **როდოლფო ესტებან კარდოსოს** კანდიდატურა დაბლოკა.

ჰამბურგის სპორტულმა დირექტორმა ფრანკ არნესენმა მთავარი მწვრთნელის ფუნქციები შეითავსა

„მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს მანამდე შევითავსებ, სანამ ისეთ სპეციალისტს არ ჩამოვიყვანთ, რომელიც ჩვენს მოთხოვნებს ასი პროცენტით დაკმაყოფილებს,“ - უთხრა არნესენმა „კიკერს“ და კითხვაზე, ნაპოვნი ჰყავს თუ არა უკვე სასურველი კანდიდატი, არ უპასუხა. „კიკერი“ კი ირწმუნება, რომ არნესენმა ახალი მწვრთნელის ძებნა უკვე დაასრულა და გარკვეული დრო სჭირდება იმას, რომ 43 წლის ფინკი მაინც დაითანხმოს. მანამდე, ფრანკის ასისტენტი კარდოსო იქნება და ამ წყვილის პირველი მისია „ფრაიბურგთან“ გასვლითი შეხვედრაა, რომელიც კვირას გაიმართება.

● ლევერკუზენი

დერდიოკს რიგი დაუდგა

ერენის ფანტასტიკურმა გოლმა ინგლისურ და იტალიურ კლუბებს ინტერესი აღუძრა

ერენდერდიოკისთვის ეს სეზონი ნორმალურად დაიწყო: „ლევერკუზენის“ მთავარი მწვრთნელი **რობინ დუტი** 23 წლის შვეიცარიელს თავიდან ძირითად შემადგენლობაში ათამაშებდა. მაგრამ იმის გამო, რომ ბევრი ვერაფერი გააკეთა, მოგვიანებით სათადარიგოთა სკამზე გადასვა. ბუნდესლიგის ნინატურში კი ერენმა „ვოლფსბურგთან“ მატჩში, რომელიც ლევერკუზენელებმა 3:1 მოიგეს, ისეთი გოლი გაიტანა, რომ საფეხბურთო გერმანია მთელი კვირა ამ გოლზე ლაპარაკობდა და დერდიოკსაც იმის იმედი მიეცა, რომ დუტი სასტარტოში დააბრუნებს. ულამაზესი მაკრატელათი გატანილმა გოლმა ახალგაზრდა შვეიცარიელს ერთი რამ უკვე მოუტანა: დერდიოკს მთხოვნელების რიგი დაუდგა.

ერენ დერდიოკის მაკრატელა

ჩვენი კოლეგების ინფორმაციით, ერენის გადაბირება უკვე რამდენიმე ინგლისურ და იტალიურ კლუბს უნდა. ბრიტანული გაზეთი „სანი“ წერს, რომ დერდიოკით „ტოტენჰემი“ და „ნიუკასლი“ ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულები და იანვრისთვის „ლევერკუზენს“ საკმაოდ კარგ შეთავაზებას უმზადებენ. იტალიური „გაძეტა დელო სპორტი“ კი იუწყება, რომ 23 წლის შვეიცარიელის ყიდვას „უდინეზეც“ ეცდება. ცნობილია, რომ დერდიოკზე „იუვენტუსის“, „ინტერის“ და „ნაპოლის“ ბოსებიც ფიქრობენ.

„ის ამბავი, რომ ერენს სკაუტები აკვირდებიან, ახალი არ არის და არც მიკვირს, რადგან შესანიშნავი ფეხბურთელია. ფაქტი ის არის, რომ ოფიციალური წინადადებით ჯერ არავის მოუმართავს. იმასაც დავამატებ, რომ ჩვენ დერდიოკის გაშვებაზე არ ვფიქრობთ,“ - ამბობს „ლევერკუზენის“ სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი**.

● მოსალოდნელი ტრანსფერი

ესპანური პრესა რეალის გიოტცეთი დაინტერესებაზე წერდა

რეალმა გიოტცეს დაუმიზნა!

ნეიმართან და ჰაზართან ერთად, მადრიდელებს მარიოც მოუნდათ

ესპანურმა სპორტულმა გაზეთმა „მარკამ“ გუშინდელ ნომერში პირველ გვერდზე 19 წლის უნიჭიერესი გერმანელი ფეხბურთელი, **მარიო გიოტცე** გამოჭიმა და დორტმუნდის „ბორუსიას“ ვუნდერკინდს, რომელსაც გერმანიის ნაკრებში უკვე ათი თამაში აქვს ჩატარებული, ორგვერდიანი სტატიაც მიუძღვნა. წერილში, მარიოს შესაძლებლობებთან ერთად, საუბარი იმაზეც იყო, რომ მადრიდის „რეალს“ „გიოტცინიოს“ ყიდვა უნდა.

„მარიო გიოტცე მესუთ იოზილთან ერთად, გერმანული ფეხბურთის უდიდესი ტალანტია. მეტიც: მას აქვს იმის პოტენციალი, რომ ლიონელ მესის დარი სუპერვარსკვლავი გახდეს,“ - წერდა „მარკა“ და სწორედ ეს გამოცემა ირწმუნება, რომ ზამთარში ან მომავალ ზაფხულს, „სამეფო გუნდი“ 19 წლის ბრაზილიელ **ნეიმართან** და „ლილის“ სუპერტალანტ **ედენ ჰაზართან** (20) ერთად, მარიო გიოტცესაც იყიდის. „რეალმა“ უკვე დაამტკიცა, რომ ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელები აინტერესებს და რომ მათ გადაბირებასაც იოლად ახერხებს: მადრიდში **სამი ხედირა** (შტუტგარტიდან), **მესუთ იოზილი** (ვერდერიდან) და **ნური შაჰინი** (დორტმუნდიდან) გადავიდნენ. ვინ იქნება შემდეგი - ნუთუ გიოტცე? ფაქტია, რომ მადრიდელებს ფული არ უჭირთ და მარიოს სანაცვლოდ ათეულობით მილიონებს უპრობლემოდ გადაიხდიან. თუკი იოზილში 17 მილიონი გაიღეს, შაჰინის სანაცვლოდ 10, ხოლო თავის დროზე **კრიშტიანო რონალდოში** სულაც 94 მილიონი გადაიხადეს, წესით, არც გიოტცეს მოთაფლვა უნდა გაუჭირდეთ.

აღსანიშნავია, რომ ზამთარში ან ზაფხულში, „რეალს“ სერიოზული კონკურენტები ეყოლება. უკვე ცნობილია, რომ მარიოს თვალი „მანჩესტერ იუნაიტედმა“, მილანის „ინტერმა“ და თვით „ბარსელონამაც“ დაადგეს. გიოტცინიოს ყიდვა, ცხადია, მიუნხენის „ბაიერნსაც“ უნდა.

● ბაიერნი

ჰიონესი: ლიგის ფინალზე ლაპარაკი აღრეა!

რეკორდმაისტერის პრეზიდენტს ეიფორია არ მოსწონს

„ბაიერნის“ პრეზიდენტ **ული ჰიონესს** არ მოსწონს ის, რომ ახალი სეზონის შესანიშნავად დაწყებამ მიუნხენში უდიდესი ეიფორია გამოინვია და რომ რეკორდმაისტერის გულშემატკივრები და ფეხბურთელები უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ გუნდი აუცილებლად უნდა გავიდეს ჩემპიონთა ლიგის ფინალში, რომელიც მიუნხენში გაიმართება.

„ჩვენი გუნდი ისედაც ყოველთვის მძიმე წნეხის ქვეშაა ხოლმე მოქცეული და აქედან გამომდინარე, აზრი არ აქვს ზენოლის ხელოვნურად დამძიმებას. ცხადია, ყველას გვინდა, რომ „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდეს, მაგრამ ეს არც ისე იოლია, როგორც ბევრს ჰგონია. ჩემთვის მთავარია, რომ ჯგუფიდან გავიდეთ, მერე კი, შეიძლება „ბარსელონას“ ან „რეალს“ შეეხვდეთ... კარგი იქნება, თუ ჩვენი ქომაგები და სხვათა შორის, ფეხბურთელებიც, მიწაზე დაეშვებიან,“ - განაცხადა ჰიონესმა „შპორტ აინსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ულიმ ისიც თქვა, რომ „ბაიერნსა“ და ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციას შორის ყველა გაუგებრობას ბოლო მოეღო და დაპირისპირებაზე საუბარი არასწორია. შეგახსენებთ, რომ მიუნხენური გრანდი და ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაცია ერთმანეთს **არიენ რობენის** ტრავმის გამო შარშან დაუპირისპირდნენ. ჰიონესის თქმით, ჰოლანდიელები უკვე „კარგად იქცევიან და შესაბამისად, პრობლემა ამოწურულია.“

ჰაიზერი: ჰლატინი ფიფას პრეზიდენტი გახდება

ამასობაში, **ფრანც ბეკენბაუერმა** „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** შეაქო და მას მომავალში ფიფას პრეზიდენტობა უწინასწარმეტყველა. *„მიშელი ძალიან კარგად მუშაობს. მე მისი თითქმის ყველა ნაბიჯი მომწონს და ვფიქრობ, რომ ფიფას მომავალი პრეზიდენტიც სწორედ პლატინი იქნება,“* - განაცხადა კაიზერ-ფრანცმა.

როგორც იცით, რამდენიმე დღის წინ „ბაიერნის“ პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** და ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ფიფას პრეზიდენტი **ზეპ ბლატერი** და პლატინი გააკრიტიკეს, რამაც ბეკენბაუერი გააკვირვა. *„ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რომ რუმენიგემ და ჰიონესმა პლატინი და ბლატერი საჯაროდ გააკრიტიკეს. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, თავიანთი მოსაზრებები მათთან პირისპირ საუბარში ეთქვათ. რუმენიგეს შეუძლია, ბლატერს და პლატინის პირისპირ ესაუბროს,“* - ამბობს ბეკენბაუერი.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● ბარსელონა

კატალონიელთა საკადრო პრობლემები

ბარსელონას სპორტული დირექტორი, ანდონი სუბისარეტა

მიუხედავად იმისა, რომ "ბარსელონა" წელსაც არნახულად ძლიერად გამოიყურება, სამწვრთნელო შტაბი მაინც მიიჩნევს, რომ შემადგენლობას კიდევ უფრო გაძლიერება არ ანყენდა. ესპანური პრესის ცნობით, კატალონიელებს უკვე ჰყავთ ამოღებული სამიზნეში კონკრეტული ფეხბურთელები. უპირველესად ლაპარაკია ბრაზილიური "ინტერნასიონალის" შემტევი ნახევარმცველის, 20 წლის **ოსკარის** შეძენაზე. გარდა ცენტრალური შუახაზელობისა მას თამაში მარჯვენა ფლანგზეც შეუძლია. ბრაზილიური პრესა თავის მხრივ წერს, რომ ნიჭიერ ფეხბურთელს "ბარსელონა" უკვე წელიწად-ნახევარია აკვირდება და მზადაა, "ინტერნასიონალს" ოფიციალური წინადადებით მიმართოს. ბრაზილიის ჩემპიონატში ოსკარმა წელს 17 შეხვედრაში 8 გოლის გატანა და 4 შედეგიანი გადაცემის შესრულება შეძლო, რაც მის ტალანტს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

გარდა ბრაზილიური ბაზრისა, კატალონიელები სხვა ქვეყნებში მოთამაშე ფეხბურთელებსაც აკვირდებიან. ისინი იანვრისთვის ალბათ 4 ფეხბურთელს მაინც შეიძენენ. Sports.es-ის ცნობით, "ბლაუგრანას" სპორტულმა დირექტორმა **ანდონი სუბისარეტამ ხოსეპ გვარდიოლასთან** ერთად მიმდინარე სეზონში გუნდის თამაშის ანალიზის დეტალური შედეგები დადო, სადაც აღნიშნულია, რომ "ბარსას" ყველაზე მეტად გაძლიერება დაცვაში სჭირდება, რადგან სწორედ ის უშვებს სხვა რგოლებზე მეტ შეცდომას. უახლოეს დღეებში ეს პიროვნებები პრეზიდენტ **სანდრო როსელთან** გამართავენ შეხვედრას, სადაც ყოველ კანდიდატურას განიხილავენ და კლუბის სამოქმედო გეგმას დეტალურად შეიმუშავებენ.

სიახლეა **ლიონელ მესის** თავს. იმავე Sports.es-ის ინფორმაციით, კომპანია "ადიდასმა" მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს ახალი ბუცებით ასპარეზობა შესთავაზა, რომელშიც სპეციალური ჩიპი იქნება ჩადგმული. არგენტინელმა გერმანელების შეთავაზებაზე უკვე საბოლოო თანხმობა განაცხადა. ახალი ბუცებით ის ნოემბრიდან ითამაშებს. ჩიპიდან ყოველი თამაშის შემდეგ დეტალურ ინფორმაციას ამოიღებენ, თუ რა მანძილი დაფარა ფეხბურთელმა, რამდენჯერ შეეხო ბურთს, რამდენი იყო მისი მაქსიმალური სისწრაფე და ასე შემდეგ. გეტყვით იმასაც, რომ სექტემბერში მესიმ ექსპერიმენტის სახით სწორედ ასეთი ჩიპიანი სპორტული ფეხსაცმლით ითამაშა არგენტინისა და ნიგერიის ნაკრებების შეხვედრაში, თუმცა მას მერე "ადიდასმა" გამოგონება კიდევ უფრო დახვეწა.

"ბარსას" ყოფილმა ლიდერმა, 39 წლის ლეგენდარულმა **რივალდომ**, ვინც ამჟამად "სან პაულუს" ღირსებას იცავს, გაზეთ "მარკასთან" ინტერვიუში ყოფილი კლუბის მიმართ კომპლიმენტები არ დაიშურა. მისი თქმით, გვარდიოლას გუნდის თამაშის ყურება მას უზარმაზარ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს: "დღევანდელი "ბარსელონა" ფანტასტიკური გუნდია. მათი ყურება ერთობ სასიამოვნოა. ნამდვილად არ დავიშურებდი ფულს, რომ ამ გუნდის თამაშის ბილეთი მეყიდა. ვერ გავრისკავ იმის თქმას, რომ ეს ყველა დროის საუკეთესო საფეხბურთო გუნდია, მაგრამ ისინი კლუბის ისტორიის განუმეორებელ ფურცელს რომ წერენ, ამაზე ალბათ არავინ შემედავება. ხანდახან უბრალოდ დაუჯერებელია ის ყველაფერი, რაც ამ ბიჭებს მოედანზე გამოსდით".

● სამეფო კლუბი

ჟოზე მოურინიოს ვაჟთან ერთად

მოუ თანამემამულეებს შემოსწყრა

მადრიდის "რეალის" მთავარი მწვრთნელ **ჟოზე მოურინიოს** განზრახული აქვს, ზამთარში **რიკარდო კარვალიო** გუნდიდან გაუშვასო - წერს ესპანური პრესა. პორტუგალიელმა ცენტრალურმა მცველმა "გალაქტიკოებში" კარიერა დიდებულად დაიწყო, მაგრამ წელს შედარებით სუსტად გამოიყურება. მართალია, რიკარდო 6 ტურში 4-ჯერ ძირითადში იყო, მაგრამ ჟოზე მისით მაინც უკმაყოფილოა. ყოველ შემთხვევაში ასეთი რამ წერია ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციაში. უკმაყოფილებას დაუმატეთ ის, რომ კარვალიოს კონტრაქტს ვადა 2012 წლის ივნისში ეწურება, გაითვალისწინეთ, რომ "რეალს" უკვე ჰყავს 19 წლის **რაფაელ ვარანი,** პლუს, მისით დაინტერესებული ორი კლუბი უკვე გამოიკვეთა და მიიღებთ მოტივაციას, თუ რატომ უნდა სამეფო კლუბს მასთან გამოთხოვება. რიკარდოს მთხოვნელთა შორის "ფენერბაჰჩე" და "ანჟი" სახელდებიან. ისინი მზად არიან გადაიხადონ ესპანელების მიერ მოთხოვნილი 8 მილიონი ევრო.

footballpress.net-ის ცნობით, კარვალიოს გარდა მოურინიოს მცირე ხნით, **ფაბიო კოენტრაოს** მოშორებაც უნდა. წყარო ამტკიცებს, რომ მწვრთნელსა და შეგირდს შორის სერიოზული კონფლიქტი მძვინვარებს და მოურინიოს სიტუაციის გამწვავების თავიდან ასარიდებლად იანვარში შეგირდის 6 თვით იჯარით გაშვება სურს.

სამეფო კლუბთან დაკავშირებულ მეტად საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს ინგლისური "დეილი მეილი". ტაბლოიდის მტკიცებით, "ჩელსი" ამ დღეებში "რეალს" 15 წლის ვუნდერკინდის **ხოსე ანხელ პოსოს** ტრანსფერის თაობაზე მიმართავს. "ლურჯები" მზად არიან თინეიჯერ თავდამსხმელში 500 ათასი ევრო გადაიხადონ. პოსოს რა ხანია აკვირდებიან "არსენალიც" და "მანჩესტერ სიტიც". თუმცა "ჩელსის" უპირატესობა ის არის, რომ მან მალაგის მკვიდრ ფეხბურთელს უკვე შესთავაზა პროფესიული კონტრაქტი, რომელსაც შეთანხმების შემთხვევაში ხოსე ანხელის არასრულწლოვნობის გამო მამა მოაწერს ხელს, ხოლო მის მშობლებს უკვე უშოვა სამსახური ლონდონში, სადაც ისინი სურვილის შემთხვევაში დასაქმდებიან.

"ასის" ცნობით, "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ ბავშვთა კლუბ "კანილიასს" სადაც მისი შვილიც დადის, 8 ათასი ევრო აჩუქა მას მერე, რაც **ჟოზე მარიო მოურინიომ** მშობელს აცნობა, რომ შეჯიბრებაზე მისი რამდენიმე თანაგუნდელი იმიტომ ვერ მოდიოდა, რომ მათ მგზავრობის ფული არ ჰქონდათ. ყველაფერი კი მას მერე დაიწყო, რაც პატარა მოუმ თანაგუნდელი ცრემლმორეულ დედასთან ერთად დაინახა და მათი მწუხარების მიზეზი შეიტყო. *"მოურინიოს მიერ გაკეთებული კეთილი ჟესტი მის ადამიანობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. სინიორ ჟოზეს წამითაც არ უყოყმანია, როცა გაიგო, რომ მისი შვილის მეგობრების მშობლებს ელემენტარული ფინანსური პრობლემები ჰქონდათ,"* – განუცხადა "ასს" "კანილიასის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, **მანუელ ალვარესმა**.

● მწვრთნელი


დიეგო მარადონას სამწვრთნელო ასპარეზზე ისევ პრობლემები აქვს

მარადონას არაბული გაჭირვება

დიეგო მარადონა არაბეთის გაერთიანებული საამიროების "ალ ვასლიში" რამდენიმე თვეა, რაც მუშაობს. ამ დღეებში მან სამწვრთნელო კარიერაში ყველაზე მნარედ არა (ჩემპიონატში დამარცხება აბა სად შეედრება გერმანიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის 1/4-ფინალში 0:4-ს), მაგრამ ნამდვილად ყველაზე დიდი ანგარიშით წააგო. მისმა გუნდმა „ერიასალათის თასზე "დუბაისთან" 5:0 დათმო, რის შემდეგაც სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე გულშემატკივრებს დიდი ბოდიში მოუხადა და აღუთქვა, რომ ეს მხოლოდ დროებითი ჩავარდნა იყო დიდი მიზნებისკენ სავალ გზაზე. განადგურების მიუხედავად, კლუბის ადმინისტრაციას არგენტინელი ლეგენდის კვალიფიკაციაში ეჭვი არ ეპარება. აი, რა განცხადება გამოქვეყნდა კლუბის ვებგვერდზე: *"ჩვენ წინ კიდევ გრძელი სეზონი გვაქვს, ეს კი მხოლოდ ერთი მატჩი იყო. მთავარ მწვრთნელს ბოლომდე ვენდობით. ის ისეთი კონკურენტუნარიანი გუნდის ასაშენებლად მუშაობს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობისთვის შეეძლება ბრძოლა".*

თავად მარადონა გადადგომაზე არც კი ფიქრობს. გთავაზობთ მის განცხადებასაც: *"იმედგაცრუებული და გაბრაზებული ვარ. წინა ორი გამარჯვების შემდეგ მეგონა, რომ სწორ გზაზე ვიდექით, მაგრამ... ახლა ვეღარაფერს ვიზამთ. მთავარია, შემდგომ შეხვედრებზე მოვახერხოთ კონცენტრირება და წარსულში ყურება არ დავიწყოთ. იმედი მაქვს, ეს წაგება ჩემი ფეხბურთელების საბრძოლო განწყობილებაზე არ იმოქმედებს. მათ ასეთი შეხვედრებიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ. ვაგებთ თუ ვიგებთ, ყოველ შეხვედრაში ჩვენ უფრო და უფრო ძლიერები ვხდებით".*

● ამბები

პოლერი ფეხბურთს დაუბრუნდა



ჩეხეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, 38 წლის გიგანტი **იან კოლერი** აქტიურ ფეხბურთს დაუბრუნდა და კარიერას "მონაკოს" მესამე გუნდში განაგრძობს, - გვამცნობს "ასოშიეიტედ პრესი". ჩეხმა ფეხბურთელმა კარიერის დასრულების შესახებ განცხადება 3 თვის წინ გააკეთა. კოლერი მონეგასკელთა ძირითადი გუნდის ღირსებას 2006/08 წლებში იცავდა, საიდანაც სათამაშოდ ის "კრილია სოვეტოვში" გადავიდა. კარიერა კი იანმა სამშობლოში ლოტას "სმეტანოვაში" დაასრულა.

ლიონი სტაბილურობაზე ზრუნავს

"ლიონის" პრეზიდენტმა **ჟან-მიშელ ოლამ** "ლე პროგრესს" განუცხადა, რომ უახლოეს დღეებში კლუბი ოთხ წამყვან ფეხბურთელს ახალ კონტრაქტებს შესთავაზებს. მუსიე ოლამ არ დაიზარა და ამ ფეხბურთელების ვინაობა გაგვაცნო: **ბაკარი კონე** (ცენტრალური მცველი, 23 წლის), **დეიან ლოვრენი** (ცენტრალური მცველი, 22 წლის), **კიმ კალსტრიომი** (ჩამშლელი ნახევარმცველი, 29 წლის) და **ედერსონი** (შემტევი ნახევარმცველი, 25 წლის). ეს უკანასკნელი დიდი ხანია ტრავმირებულია, მაგრამ ამ ნაბიჯით კლუბი მას უსაზღვრო ნდობას უცხადებს.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

● ევრო 2012 შესარჩევი ეტაპი

ევროპა, საკვალიფიკაციო ფინიშზე

დღეს კიდევ 5 საგზური დარიგდება

A ჯგუფი

დღეს

ყაზახეთი-ავსტრია 20:00
თურქეთი-აზერბაიჯანი 21:00
გერმანია-ბელგია 21:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. გერმანია	9	9	0	0	31-6	27
2. ბელგია	9	4	3	2	20-12	15
3. თურქეთი	9	4	2	3	12-11	14
4. ავსტრია	9	3	2	4	16-17	11
5. აზერბაიჯანი	9	2	1	6	10-25	7
6. ყაზახეთი	9	1	0	8	6-24	3

B ჯგუფი

დღეს

რუსეთი-ანდორა 21:45
ირლანდია-სომხეთი 21:45
მაკედონია-სლოვაკეთი 21:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რუსეთი	9	6	2	1	11-4	20
2. ირლანდია	9	5	3	1	13-6	18
3. სომხეთი	9	5	2	2	21-8	17
4. სლოვაკეთი	9	4	2	3	6-9	14
5. მაკედონია	9	2	1	6	7-13	7
6. ანდორა	9	0	0	9	1-19	0

C ჯგუფი

დღეს

იტალია-ჩრდ. ირლანდია 22:45
სლოვენია-სერბეთი 22:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იტალია	9	7	2	0	17-2	23
2. ესტონეთი	10	5	1	4	15-14	16
3. სერბეთი	9	4	3	2	13-11	15
4. სლოვენია	9	3	2	4	10-7	11
5. ჩრდ. ირლანდია	9	2	3	4	9-10	9
6. ფარერები	10	1	1	8	6-26	4

D ჯგუფი

დღეს

საფრანგეთი-ბოსნია 23:00
ალბანეთი-რუმინეთი 22:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საფრანგეთი	9	6	2	1	14-3	20
2. ბოსნია	9	6	1	2	16-7	19
3. რუმინეთი	9	3	4	2	12-8	13
4. ბელარუსი	10	3	4	3	8-7	12
5. ალბანეთი	9	2	2	5	6-13	8
6. ლუქსემბურგი	10	1	1	8	3-21	4

E ჯგუფი

დღეს

შვედეთი-ჰოლანდია 22:15
უნგრეთი-ფინეთი 22:00
მოლდოვა-სან მარინო 22:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჰოლანდია	9	9	0	0	35-5	27
2. შვედეთი	9	7	0	2	28-9	21
3. უნგრეთი	9	6	0	3	22-14	18
4. ფინეთი	9	3	0	6	16-16	9
5. მოლდოვა	9	2	0	7	8-16	6
6. სან-მარინო	9	0	0	9	0-49	0

G ჯგუფი

დღეს

ბულგარეთი-უელსი 22:05
შვეიცარია-ჩინოგორია 22:15

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ინგლისი	8	5	3	0	17-5	18
2. ჩრნოგორია	7	3	3	1	7-5	12
3. შვეიცარია	7	2	2	3	10-10	8
4. უელსი	7	2	0	5	5-10	6
5. ბულგარეთი	7	1	2	4	3-12	5

H ჯგუფი

დღეს

დანია-პორტუგალია 22:15
ნორვეგია-კვიპროსი 22:15

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პორტუგალია	7	5	1	1	20-9	16
2. დანია	7	5	1	1	13-5	16
3. ნორვეგია	7	4	1	2	7-6	13
4. ისლანდია	8	1	1	6	6-15	4
5. კვიპროსი	7	0	2	5	6-17	2

I ჯგუფი

დღეს

ესპანეთი-შოტლანდია 22:45
ლიტვა-ჩეხეთი 22:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ესპანეთი	7	7	0	0	23-5	21
2. შოტლანდია	7	3	2	2	8-7	11
3. ჩეხეთი	7	3	1	3	8-7	10
4. ლიტვა	7	1	2	4	3-9	5
5. ლიხტენშტაინი	8	1	1	6	3-17	4

კიევის ოლიმპიისკი, მომავალი ფინალის სარბიელი, რომელიც ახლახან ზარზეიმით გაიხსნა

შვედები ფონს იბრაჰიმოვიჩის გარეშე უნდა გავიდნენ

და აი, ეს დროც დადგა - 50-ზე მეტმა ევროპულმა ქვეყანამ უკან მოიტოვა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი, დარჩა მხოლოდ ბოლო ტური და ოთხი საპლეიოფო ორრაუნდიანი დაპირისპირება. ისევე, როგორც ადრე, ახლაც ყველა ქვეყანაში ოპტიმიზმით ხვდებოდნენ ახალ შესარჩევ ციკლს, მათ შორის საქართველოშიც, მაგრამ ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს კვლავ არ გაგვიმართლა, ჩვენ კვლავ იმედგაცრუება გველოდა. თუმცა, მოდი, ჩვენი შესარჩევი ჯგუფის მატჩები გვერდზე გადავდოთ (ამ ნომერში ისედაც არ აკლია საქართველო-საბერძნეთს ყურადღება) და დანარჩენ 8 ჯგუფს გადავავლოთ თვალი. გუშინ მოვლენების განვითარების თითქმის ყველა შესაძლო ვარიანტი ჩამოვწერეთ, დღეს კი ვნახოთ, როგორ ემზადებიან გუნდები გადამწყვეტი ორთაბრძოლებისთვის.

ევრო 2012-ის 9 საგზური ელის პატრონს, პრეტენდენტი კი 18-ია, თუმცა დღეს მხოლოდ 5 საგზურის მფლობელი უნდა გაირკვეს, დანარჩენ ოთხს კი ოთხი პლეი ოფი გამოავლენს. უკვე ცნობილია ერთი ნაკრები, რომელიც აუცილებლად ითამაშებს პლეი ოფში - ჩერნოგორია. ყოფილი იუგოსლავიის წევრ ქვეყანას აღარ აქვს შანსი საუკეთესო მეორეადგილოსანი გახდეს და არც მოცილე ჰყავს პლეი ოფის საგზურზე. მოკლედ, G (ინგლისის) ჯგუფში ყველაფერი ცხადია, სხვა ყველგან კი ბოლო ტურს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

დავიწყოთ იმ გუნდით, რომელიც ყველაზე დალხინებულია. წარმოიდგინეთ, რუსეთის ნაკრებს მეტოქესთან შინ ფრეც ჰყოფნის მიზნის მისაღწევად და ასეც რომ არ მოხდეს, მაინც დიდი შანსი აქვს გასვლის. მეტოქეს აღარ იკითხავთ? ანდორის ნაკრები! მოკლედ, რუსეთის ნაკრებს მხოლოდ ფორმალობაღა აშორებს ევრო 2012-ის საგზურს.

ანდორა 1998 წლიდან მონაწილეობს ევროპისა და მსოფლიოს შესარჩევ ციკლებში და მხოლოდ ერთხელ აქვს მოგებული - 2004 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში მათ მაკედონიას მოუგეს - 1:0. „ბარსელონას“ აღზრდილი **მარკ ბერნაუსის** გოლი კი ამ ციცქნა სახელმწიფოს ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაეწერა. ახლა ბერნაუსი, რომელიც ახალგაზრდულ დონეზე ესპანეთის ასაკობრივ ნაკრებებშიც გამოდიოდა, აღარ თამაშობს და რუსეთსაც აღარაფრის უნდა ეშინოდეს, სხვა პროფესიონალი ფეხბურთელი ანდორას უბრალოდ არ ჰყავს.

ამ გუნდების პირველ მატჩში რუსეთმა სტუმრად 2:0 გაიმარჯვა, გოლები კი **პაველ პოგრებნიაკმა** და **ანდრეი არშავინმა** გაიტანეს. სულ კი რუსეთის ნაკრები ხუთჯერ შეხვდა დღევანდელ მეტოქეს და ხუთივეჯერ მოუგო. ყველაფერი სლავთა სასარგებლოდ მეტყველებს, მაგრამ ამ გუნდების დაპირისპირებაში იყო ერთი ეპიზოდი, როცა რუსებს გვარიანი ნერვიულობა შეხვდათ ანდორელთა გამო. 2007 წლის ნოემბერში სიტუაცია ისეთი იყო, რომ რუსებს ანდორელებისთვის უნდა მოეგოთ. **დავიდ როდრიგოს** გუნდმა გვარიანად ანერვიულა **გუუს ჰიდინკისა** - მართალია, **დმიტრი სიჩევმა** 38-ე წუთზე გაიტანა, მაგრამ ამის შემდეგ გოლი არა და არ გადიოდა ანდორელთა კარში. ის კი არა, რუსებმა პენალტი ააცილეს, შემდეგ კი მათ არშავინი გაუძევეს...

დიკ ადვოკაატმა ამ თამაშისთვის ნაკრებში მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველი **რენატ იანბაევი** მიიწვია, თუმცა ის ვარჯიშზე მოსკოვური საცობების გამო, დროულად ვერ მივიდა. იანბაევმა „ანჟის“ მცველი **იური ჟირკოვი** უნდა შეცვალოს, რომელიც ტრავმირებულია. წინა მატჩში ყვითელი ბარათები მიიღეს და ახლა დისკვალიფიცირებულნი არიან **ალექსანდრ ანიუკოვი** და **კონსტანტინ ზირიანოვი**. ტრავმა მიიღო ზენიტელმა **ანდრეი შიროკოვმა** და ნაკრების ბაზა დატოვა. თამაში „ლუჟნიკიზეა“. მატჩის წინ ნაკრების ყოფილ კაპიტან **ვიქტორ ონოპკოს** უეფას ორდენს გადასცემენ - ონოპკომ 1992-2004 წლებში ასზე მეტჯერ მოირგო რუსეთის ნაკრების მაისურა.

დიკ ადვოკაატი: *„ჩვენი პირველი ამოცანა თამაშის სადავეების ხელში აღება და გოლის გატანაა. ყველამ ვიცით, რომ ანდორა თავისუფალ ზონებს არ ტოვებს და მთლიანად დაცვაზეა ორიენტირებული. მათთან თამაშის სპეციპიკაც სწორედ ესაა, ძნელია ეთამაშო გუნდს, რომელიც 11 კაცით თავს იცავს. მთავარი ორი რამაა - შედეგი და ის, რომ როგორმე არ უნდა მივიღოთ სულელური გაფრთხილებები. ანდორა ხომ უხეშად თამაშობს და ამით იწვევს მეტოქეებს. ჩვენ ამას უკვე გადავეყარეთ პირველ მატჩში, თუმცა ანდორელებს ამის გამო ვერ გავარკიტიკებ, მათ არსენალში ხომ მეტი არაფერია“.*

შვედეთის ნაკრებს შეუძლია ევრო 2012-ის საგზურის დღესვე მოპოვება. საამისოდ სკანდინავიელებმა ჰოლანდიას უნდა მოუგონ, გუნდს, რომელიც კარგა ხანია გასულია ფინალურ ეტაპზე და ნაკლებად მოტივირებულია. კაცმა რომ თქვას, შვედებს ურიგო სიტუაცია არ აქვთ, მათ შეუძლიათ გარისკონ და შეუტიონ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებს, რადგან პლეი ოფის საგზური „ჯიბეში აქვთ“. ამიტომაც მასპინძელთა 24 წლის მცველი **მიკაელ ლუსტიგი** დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი მოსაგებად გავა მოედანზე და შეუტევს. სხვათა შორის, შვედებს, შესაძლოა, ფრეც კი ეყოთ მიზნის მისაღწევად, მაგრამ **ერიკ ჰამრენის** გუნდში ფრეზე არავინ ფიქრობს: *„ფრის იმედად ვერ ვიქნებით, ჩვენ გვჭირდება გამარჯვება. გავალთ მოედანზე მხოლოდ მოსაგებად“*, - ამბობს ლუსტიგი.

თამაში „რასუნდაზე“ გაიმართება, სადაც შვედებს შურისძიებაზე ფიქრი მოუწევთ (ამსტერდამში „ფოროთოხლის-ფერებმა“ მათგან ქვა-ქვაზე არ დატოვეს - 4:1 მოუგეს). ამის გაკეთება კი სკანდინავიელებს უპირველესი ვარსკვლავის, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** გარეშე მოუწევთ - რომელმაც ფინეთის ნაკრებთან ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიცირებულია. ჰოლანდიელებს არ ეყოლებათ **არიენ რობენი** და **ვესლი სნეიდერი**.

H ჯგუფში მთავარი დაპირისპირებაა - დანიის ნაკრები პორტუგალიას მასპინძლობს. ორივე გუნდს 16-16 ქულა აქვს. პორტუგალიელებს სტუმრად ფრეც აწყობთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშონ. თუმცა წაგების შემთხვევაშიც რჩებათ საგზურის მოპოვების შანსი (როგორც საუკეთესო მეორადგილოსანს), თუ არადა, პლეი-ოფში მაინც მოხვდებიან (ძალზე მცირეა იმის საფრთხე, რომ მე-2 ადგილი დაკარგონ). საამისოდ, პორტუგალიას მხოლოდ ჰოლანდიელთა კარგი თამაში სჭირდება - **ვან მარვიიკის** გუნდმა არ უნდა წააგოს შვედეთში.

პაულუ ბენტუ აცხადებს, რომ ფრეზე თამაში მისი გუნდის სტილი არაა და პორტუგალია დანიაშიც მოსაგებად გავა. *„არასოდეს დამიგეგმავს ფრე. ეს იგივეა, წაგება დაგეგმო. ვიცი, რომ 1 ქულაც საკმარისია და საბოლოოდ თუ ასე მოხდა, ბედნიერი ვიქნები, მაგრამ ჩემი გუნდი „პარკენზე“ აუცილებლად მოსაგებად გავა. ჩვენ გვსურს ჯგუფში ასპარეზობა მე-6 გამარჯვებით დავასრულოთ“*. ბენტუმ ამ შესარჩევი ციკლის დასაწყისში ჩაიბარა ნაკრები და ბოლო წლებში ყველაზე კარგი შედეგებიც აჩვენა, თუმცა მწვრთნელს აფიქრებს დაცვის ხაზი, რომელიც ბევრ შეცდომას უშვებს - პარასკევს ისლანდიელებმა მათ 3 გოლი გაუტანეს.

ხელებდაკრეფილი არც მეტოქეა - „აიაქსის“ დანიელი ნახევარმცველი **კრისტიან ერიქსენი** ამბობს: *„ჩვენ არ გვინდა პლეი ოფში თამაში, საამისოდ კი უნდა მოვუგოთ პორტუგალიას“*.

მორტენ ოლსენმა ტრავმირებული **დანიელ აგერი ანდრეას ბიელანდით** შეცვალა. დაცვაში კი მთავარი იმედი 23 წლის **სიმონ კიაერია**, რომელსაც, ალბათ, **კრიშტიანო რონალდოს** განეიტრალება მოუწევს.

შოტლანდიის ნაკრებს კი იმ პლეი ოფის საგზური ენატრება, რომლისგანაც თავის არიდებაც პორტუგალიელებსა და დანიელებს სურთ. შოტლანდიას ერთობ რთული ამოცანა აქვს გადასაჭრელი - ბოლო ტურში ესპანეთს სტუმრობს. ერთადერთი, რაც სკოტების სასარგებლოდ მეტყველებს, ისაა, რომ ესპანელებს ამ მატჩისთვის საატურნირო ინტრიგა აღარ შემორჩათ. მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონებს არც პრაღაში სჭირდებოდათ თავის გამოდება, მაგრამ ჩეხებს 2:0 მოუგეს და არც შინ აპირებენ თავის შერცხვენას და უნიკალური მიღწევის (ჯერჯერობით, ყველა თამაში მოიგეს) გაფუჭებას.

თამაში ალიკანტეშია, ვალენსიის მხარის საპორტო ქალაქის სტადიონზე, სადაც პრიმერადან გავარდნილი „ერკულესი“ თამაშობს. აი, რას ამბობს 27 წლის **დარენ ფლეტჩერი**: *„პირველ მატჩში, რომელიც 2:3 წავაგეთ, ესპანელებს ძალიან კარგად ვეთამაშეთ. ისინი მსოფლიოში საუკეთესოები არიან. ამიტომ კარგად ვიცით, რა ძალას ვეჭიდებით, თუმცა ჩვენს გენში შიში არ არის, სანამ ბრძოლის შანსი არსებობს, ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდე“*, - განაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავმა.

შოტლანდიას **მიხალ ბილეკის** ჩეხეთი ერთი ქულით ჩამორჩება. ანუ ბრიტანელებს სჭირდებათ ჩეხ კონკურენტებზე უარესი შედეგით არ დასრულონ ტურნირი. ჩეხეთის მეტოქე ლიტვის ნაკრებია.

გერმანიისა და ბელგიის ნაკრებთა დაპირისპირებას ამ უკანასკნელთათვის აქვს აზრი. *„სამშაბათს ჩვენ ნაკრებს დიდი მატჩი აქვს. გერმანელებს ქულათა მაქსიმუმი აქვთ, მაგრამ ჩვენ ჩვენი მცირე შანსის გვჯერა“*, - ამბობს ბელგიელთა თავკაცი **ჟორჟ ლეეკენსი**.

ბუნებრივია, ჩვენ ყველა საინტერესო მატჩზე ვერ დავწერდით. სატურნირო თვალსაზრისით კიდევ რამდენიმე შეხვედრას აქვს დიდი მნიშვნელობა. მაგალითად, თურქეთისა და აზერბაიჯანის დაპირისპირებას, ირლანდია-სომხეთს, სლოვენია-სერბეთს, საფრანგეთი-ბოსნიას და სხვებს.

P.S. *ესწონეთის ნაკრები ერთადერთია, რომელიც ბოლო ტურში არ თამაშობს და ევროპის ჩემპიონატზე თამაშის შანსი რჩება. ამასთან, ინგლისის ნაკრები ერთადერთი გუნდია, რომელმაც ევრო 2012-ის საგზური უკვე მოიპოვა, მაგრამ ბოლო ტურში არ თამაშობს.*

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალიის ნაკრები

აძურა გამარჯვების მოლოდინში

იტალია უცხოელს ისევ ვერ ეგუება

დღეს, იტალიის ეროვნული ნაკრები ჩრდილოეთ ირლანდიის უმთავრეს გუნდს უმასპინძლებს და ამით, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპსაც დაასრულებს. უკანასკნელი შეხვედრა საატურნირო ინტრიგას მოკლებულია, მაგრამ აპენინელ ჟურნალისტებში მაინც ცხოველ ინტერესს იწვევს. ყველას აინტერესებს, როგორ დაასრულებს ციკლს „სკუადრა აძურა" და ვის დააყენებს ძირითად შემადგენლობაში **ჩეზარე პრანდელი**. ცალკე სალაპარაკო თემაა **პაბლო ოსვალდო**, რომელიც თავის დებიუტს ელოდება იტალიის ნაკრებში და ერთი სული აქვს, როდის გავა მინდორზე. ჯერ პრანდელის გადავცეთ სიტყვა, შემდეგ კი ოსვალდოს თემასაც მივუბრუნდებით:

„შესარჩევი ეტაპი აუცილებლად გამარჯვებით უნდა დავასრულოთ და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ. მთლიანობაში, განვლილი ბატალიებით კმაყოფილი ვარ და ვფიქრობ, რომ შესარჩევის პირველი შეხვედრიდან დღემდე უდიდესი პროგრესი განვიცადეთ. დღეს, იტალიის ნაკრები გაცილებით უფრო ახლოა იმ გუნდთან, რომელიც მე მსურდა, რომ მეხილა. უკვე ტოლსწორად ვეპაექრებით თანამედროვეობის საუკეთესო გუნდებს, მაგალითად ესპანეთს და გერმანიას. რაც შეეხება ჩრდილოეთ ირლანდიასთან პაექრობას, შემადგენლობაში ცვლილებები იქნება, რათა სხვა ფეხბურთელებსაც დავაკვირდე და სხვადასხვა ვარიანტი გამოვცადო".

ჩეზარე პრანდელიმ იმ გეგმების შესახებაც ისაუბრა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე აქვს განერილი: „არაერთ ამხანაგურ პაექრობას გავმართავთ და ვეცდებით, რომ შემადგენლობა კიდევ უფრო შევათამაშოთ. ბურთის კიდევ უკეთესად კონტროლია საჭირო და ამ კომპონენტზე გამუდმებით ვმუშაობთ. ამასთან, სერია A-ს თითოეული ტურის თითოეულ პაექრობას ყურადღებით შევისწავლით და შევეცდებით, რომ ახალი ფეხბურთელები აღმოვაჩინოთ. მთავარია, რომ ევროფორუმზე დაბალანსებული შემადგენლობით გავემგზავროთ, რომელიც ტურნირს ფიზიკურად კარგად მომზადებული შეხვდება".

ზემოთ დაგპირდით, რომ ოსვალდოს თემას მივუბრუნდებოდით და ეს საქმე აუცილებლად უნდა გავაკეთოთ. არგენტინელმა თავდამსხმელმა პირველად მიიღო მიწვევა იტალიის ეროვნულ ნაკრებში, დათანხმდა და სერბეთში „აძურასთან" ერთად გაემგზავრა. მართალია, შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ სავარაუდოდ, მისი დებიუტი სწორედ დღევანდელ პაექრობაში შედგება. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ოსვალდოს გაიტალიელებას აპენინებზე ცუდად შევხვდნენ და ეს თემა დღეს პრესაშიც ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია. ერთ-ერთ წინა ნომერში გაგაცანით, თუ როგორ გააკრიტიკა **ჩეზარე მალდინიმ** მისი სეხნია და დასძინა, არ მესმის რატომ იძახებს არგენტინელს, როდესაც მასზე უკეთესო ფორვარდები თავზე საყრელად გვყავსო. პრანდელიმ მალდინის ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ როდესაც ნახევარი ქვეყანა გადაგიდგება, გინდა, არ გინდა, კომენტარი მაინც უნდა გააკეთო. პრანდელიმ თავისი სათქმელი უკვე თქვა, მაგრამ სანამ სიტყვას გადავცემდეთ, ოსვალდოს გაიტალიელების კიდევ ერთ მოწინააღმდეგეს, **მარჩელო ლიპის** მოვუსმინოთ:

„ჩეზარე პრანდელის „აძურა" ძალიან მომწონს და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს გუნდი უმაღლეს მიზნებს მიაღწევს. რაც შეეხება იტალიის ნაკრებში პაბლო ოსვალდოს გამოძახებას, ჩემი აზრით, პრანდელის საქმეებში არ უნდა ჩევრიოთ და მას სრული თავისუფლება უნდა მივცეთ. თუმცა, პირადად მე, პაბლოს არ გამოვიძახებდი, რადგან ის იტალიელ თავდამსხმელებს არაფრით, ჯობია. შესაძლოა ვინმემ კამორანეზის გამოძახება გამახსენოს, მაგრამ შეგახსენებთ, რომ მაურომ „აძურაში" გამოძახება მხოლოდ მას შემდეგ დაიმსახურა, რაც წლები გაატარა იტალიაში და კალჩოსთან სრული ადაპტაცია გაიარა".

ლიპიმ ერთობ მოულოდნელი განცხადება გააკეთა, რითიც შესაძლოა გულშემატკივართა გულების მოგებასაც ცდილობს. ტიფოზებმა შეძლეს და ჩააღწიეს სერბეთში, სადაც ოსვალდოს სპეციალური ბანერი გამოუკიდეს წარწერით: „არ გერჩით, მაგრამ სხვა ხარ"... ამით, ტიფოზებმა ერთგვარი ტაქტი დაიცვეს, მაგრამ მეორე მხრივ, ოსვალდოს გაიტალიელებასთან დაკავშირებით მკაფიო უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს. საერთოდ, იტალიაში ასეთ ფაქტებს საკმაოდ მტკივნეულად იღებენ - მათ ჯერ კიდევ ვერ მიიღეს **ტიაგო მოტა** და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ინტერის" შუახაზელმა სლოვენიის ეროვნულ ნაკრებთან გამარჯვების გოლი გაიტანა. ამასთან, მოტა ხშირად იმეორებს, რომ წინაპრები აპენინელები ჰყავს და თავსაც იტალიელად მიიჩნევს, თუმცა საქმეს არც ეს შველის. ცალკე სალაპარაკო თემაა **კრისტიან ლედესმა**, რომელმაც თავისი სადებიუტო შეხვედრა იტალიის ნაკრებში პირწმინდად ჩააგდო - მიზეზად კი შემდეგი განაცხადა: ასეთი ობსტრუქციის ფონზე წარმატებით თამაში შეუძლებელიაო. რა ბედი ელის „აძურაში" პაბლო ოსვალდოს, რთული სათქმელია - თუმცა, პრანდელი ოპტიმისტურ კომენტარს აკეთებს:

„ოსვალდო შესანიშნავი ფეხბურთელია, კარგი საგოლე ალღო აქვს და უბურთოდაც ბევრს მოძრაობს. ამასთან, ჯერ მხოლოდ 25 წლის არის და კიდევ დიდხანს ითამაშებს უმაღლეს დონეზე. რაც შეეხება მის წარმომავლობას, ამაზე საუბარი XXI საუკუნეში უბრალოდ სასაცილოა. ასეთი რამ უკვე აღარსად ხდება და მხოლოდ ჩვენ ვართულებთ ყველაფერს. რა მნიშვნელობა აქვს, სად დაიბადა და სად გაიზარდა ადამიანი - თუ მას ქვეყნის პასპორტი აქვს, ნაკრებში თამაში სურს და იმსახურებს კიდეც, ეს შანსი აუცილებლად უნდა მივცეთ".

პრესასთან კომენტარი თავად ოსვალდომაც გააკეთა: „კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ თავს იტალიელად ვთვლი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ცოლი მყავს აქაური და შვილები, რაც, ვფიქრობ, საკმარისია იმისთვის, რომ თავი აპენინელად მივიჩნიო. სერბეთთან თამაშის წინ, ჰიმნიც ვიმღერე, რაც ალბათ ბევრს არ შეუნიშნავს. ერთადერთი რამ მინდა, „აძურას" გამოვადგე და ტიფიზებს თავი შევაყვარო".

ლაშა ნიკლაური

● ცუდი ამბები

კავანის ქურდებიც პატივს სცემენ

ქურდობა ნეაპოლურად

და კიდევ უარესი

ედინსონ კავანი გაქურდეს

მაშინ, როდესაც **ედინსონ კავანი** ურუგვაიში იმყოფებოდა ეროვნული ნაკრების დასახმარებლად, მისი ნეაპოლური ბინა გაქურდეს და სახლიდან პრაქტიკულად ყველაფერი გაიტანეს, რასაც კი ფასი ედო. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ქურდებმა „ნაპოლის" ორი მაისურიც გააყოლეს ხელს, ფეხბურთელს კი შემდეგი შინაარსის წარწერა დაუტოვეს:

„ძალიან დიდ პატივს გცემთ, ჩვენ თქვენი გულშემატკივრები ვართ, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა დუხჭირმა ცხოვრებამ გვაიძულა. ამასთან, დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ზარალი თქვენ მატერიალურ მდგომარეობას ძალიან არ დაამძიმებს და ზარალს პირველივე ხელფასზე აინაზღაურებთ".

დიახ, აი ასეთი ტექსტი დახვდათ კავანის სახლში შესულ კარაბინიერებს, რომლებმაც ქურდებს ვერ მიუსწრეს. აღნიშნულმა ამბავმა ცნობილი იტალიური ფილმი: „ოპერაცია წმინდა იანუარიუსი" გაგვახსენა, სადაც მოქმედება ასევე ნეაპოლში ხდება, ქურდები კი თავიანთ წმინდანს სწორედ იმ მოტივით ძარცვავენ, რომ ამით მის დიდებას მაინც არაფერი დააკლდება, თვითონ კი მძიმე ცხოვრებას დააღწევენ თავს. მოკლედ, ნეაპოლი არ იცვლება.

ტირინოს ავტობუსი ავარიაში-მოყვა

„ვერონასთან" გასვლითი პაექრობის შემდეგ, „ტორინოს" ავტობუსი ავარიაში მოყვა, ამ საგზაო ინციდენტს კი ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ავტობუსს საპირისპირო გზიდან მომავალი მსუბუქი ავტომობილი შეასკდა, რომელმაც თავის მხრივ მას შემდეგ შეიცვალა მიმართულება, რაც უკნიდან ყველგანმავალი ავტომობილი დაეჯახა - შედეგად, მსუბუქი მანქანა მთლიანად დაილეწა, შიგ მჯდომი სამი ადამიანიდან კი ორმა ადგილზე განუტევა სული. რაც შეეხება მესამეს, უმძიმეს მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა ავტობუსში მყოფთაგან - ანუ გუნდის წევრები უვნებლად გამოძვრნენ. ავარიაში დამნაშავედ ყველგანმავალი ავტომობილის მძღოლი სცნეს, რომელიც ინციდენტის ადგილიდან მიიმალა და დღემდე იძებნება.

„ტორინოს" ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებულ წერილში ნათქვამია, რომ ფეხბურთელები შოკირებულნი არიან მომხდარით, კლუბის მესვეურებმა კი შესაძლოა „ლეგა კალჩოს" მომდევნო მატჩის გადადება მოსთხოვონ, რითაც პატივს მიაგებენ გარდაცვლილთა ხსოვნას.

ლაშა ნიკლაური

● კიბომენტარი



კრკიჩი: შანსი არ მჭონდა

"რომას" 21 წლის თავდამსხმელი **ბოიან კრკიჩი** აცხადებს, რომ "ბარსელონამ" მას დარჩენისა და ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების შანსი არ მისცა და "კამპ ნოუდან" ის სწორედ ამ მიზეზით აიბარგა. მას თურმე პირდაპირ განუცხადეს, რომ ახალი კლუბი სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე უნდა მოეძებნა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მას უთამაშებლობა ემუქრებოდა. "ბარსელონაში" თამაში ერთი სიამოვნებაა, მაგრამ იქ გატარებული ბოლო სამი თვის განმავლობაში თავის გამოჩენის შანსი პრაქტიკულად არ მომცემია, ამას კი ყველა ფეხბურთელისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გვარდიოლას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მეტიც, მე მას სეზონის საუკეთესო მწვრთნელად მივიჩნევ, მაგრამ ჩემთვის აშკარა იყო, რომ მის გეგმებში უკვე აღარ ვჯდებოდი", – განაცხადა კრკიჩმა.

ლევან ბიბილაშვილი

ქართული სპორტი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა



სეზონი სალაძის ტურნირით დაიწყეს

გასულ უქმეებზე გლდანის ოლიმპიური მზადების ცენტრმა მსოფლიოს ჩემპიონ **მიხეილ სალაძის** სახელობის ტურნირს უმასპინძლა, რომელშიც უცხოელებიც მონაწილეობდნენ - სომხეთის გუნდი და რამდენიმე მოზარდი ჩრდილო ოსეთიდან. ჩვენი ნაკრებისთვის ეს საგაისო სეზონისთვის მზადების პირველი ეტაპი იყო - ასაკობრივი ცენზის გამო გუნდი მნიშვნელოვნად გადახალისდება და მისი ხელმძღვანელობა აქედანვე იწყებს ზრუნვას ახალი სახეების გამოვლენაზე. თუმცა ნაკრებში კვლავაც რჩება რამდენიმე სპორტსმენი, რომლებიც წლეულს სადებიუტო სეზონს ატარებდნენ - **ბაკურ გოგოლი** (54), **გიორგი ტოტიკაშვილი** (58), **ბექა კანდელაკი** (100), ოღონდ ამ ტურნირზე პირველმა ორმა ზედა წონაში იასპარეზა. არაა გამორიცხული, მათ შეიცვალონ კიდეც წონითი კატეგორია, რაც ამ ასაკში ჩვეულებრივი ამბავია.

ერთი სიტყვით, ეს მნიშვნელოვანი შეჯიბრება იყო, როგორც ძველების, ასევე - ახლებისთვის. ცხადია, ახალი სახეებიც ბლომად გამოჩნდნენ. ბუნებრივია, ნაკრებში მოხვედრამდე მათ კიდევ დიდი გზის გავლა და საკმაოდ ბევრ შეჯიბრებაში თავის გამოჩენა მოუწევთ, თუმცა პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

შეჯიბრებამ ჩვეულებრივად დაძაბულ ატმოსფეროში ჩაიარა და სპორტული ოჯახების ტრადიციების გაგრძელებაც ვიხილეთ. კონკრეტულად, 85 კილოგრამში, სადაც ვიცე-ჩემპიონი სახელოვანი მწვრთნელის **დავით დავითაიას** შვილიშვილი **ნიკოლოზ გახელაშვილი** გახდა, ბრინჯაოს მედალი კი ახლო წარსულში ეროვნული ნაკრების წევრის, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონ **გიორგი ჯინჭველაშვილის** შვილმა, ასევე **გიორგი ჯინჭველაშვილმა** მოიპოვა. თავად მიხეილ სალაძის სახელობის სპეციალური პრიზი კი 100 კილოგრამში გამარჯვებულ **ბექა კანდელაკს** გადაეცა...

ქვარცხლბეკი

42 კგ. 1. დავით ჩხარტიშვილი; 2. იური ლომიძე (ორივე - ოზურგეთი); 3. ვარლამ კვარაცხელია (ხობი), იავენგო რინაძე (გარდაბანი).

46 კგ. 1. შავაძე ირაკლი (ბათუმი), 2. ლეონ კარაპეტიანი, 3. ხოსროვ ადამიანი (ორივე - სომხეთი), კახა ირემაძე (ოზურგეთი).

50 კგ. 1. ფელიქს იერიტისიანი (სომხეთი), 2. ბექა ბალანჩივაძე (წყალტუბო), 3. გიორგი მელია (სამტრედია), მინდია მახარაძე (ხულო).

54 კგ. 1. ბაკურ გოგოლი (სენაკი), 2. არმენ ვართანიანი (სომხეთი), 3. გიორგი ხუჭუა, აკაკი ჩანჩიბაძე (ორივე - ოზურგეთი).

58 კგ. 1. გიორგი ტოტიკაშვილი (გარდაბანი), 2. თემურ კვაჭაძე (ოზურგეთი), 3. სულიკო ვახტანგაძე (სამტრედია), სტეფან გოჩინიანი (სომხეთი).

63 კგ. 1. გელა ბოლქვაძე (ბათუმი), 2. გურგენ გრიგორიანი (სომხეთი), 3. ირაკლი თარხნიშვილი (გარდაბანი), გიორგი ჯაფარიძე (ოზურგეთი).

69 კგ. 1. გიორგი ჩხარტიშვილი (ბათუმი), 2. დავით გოგიძე (ქუთაისი), 3. ოვანეს გრიგორიანი (სომხეთი), ნუკრი შავაძე (ბათუმი).

76 კგ. 1. ალექსი ტყებუჩავა (თბილისი), 2. გიორგი დარჩია, 3. გიგა ვაჩნაძე (ორივე - ოზურგეთი), გიორგი ორბელაძე (ზესტაფონი).

85 კგ. 1. გიგა ქოქოლაძე (ბათუმი), 2. ნიკოლოზ გახელაშვილი, 3. თენგიზ ძებნაური, გიორგი ჯინჭველაშვილი (სამივე - თბილისი).

100 კგ. 1. ბექა კანდელაკი, 2. ჯუმალ რიჟამაძე (ორივე - თბილისი), 3. არტემ გაზარიანი (სომხეთი), გიორგი ღლონტი (ლანჩხუთი).

ირაკლი თავაძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ვეტერანთა მედლები

ამ უქმეებზე პოლონურ რაციბორზში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ვეტერანთა შორის. ტურნირში ქართველებიც გამოვიდნენ, რომლებმაც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში რამდენიმე მედალი მოიპოვეს - **ომარ მელაშვილი** (58) და **შალვა გაფრინდაშვილი** (76) ჩემპიონები გახდნენ, **ესტატე გოგლიჩიძე** (130) მეორეზე გავიდა, **გრიგოლ რობაქიძე** (58) - მესამეზე.

უფროს ასაკობრივ ჯგუფში 58 კილოგრამში ორი მონაწილე გამოდიოდა და 69 წლის მელაშვილს საჩემპიონოდ მასპინძელ **ვლადისლავ სტოლარჩიკის** დამარცხება ეყო, მასზე ორი წლით უფროს გაფრინდაშვილს კი მეტოქე არ ჰყავდა.

უმცროს ჯგუფში მსოფლიოს რამდენიმეგზის მედალოსანმა გოგლიჩიძემ მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმო - მოშავალ ჩემპიონთან, რუს **ალექსანდერ კრასნოვთან**, უკრაინელ **პეტკო ანტონჩუკს**, ლიტველ **სტასის სედუიკისს** და უნგრელ **მიშელ ვაგნერს** კი დამაჯერებლად მოუგო. ორი ორთაბრძოლა წააგო და ორივე რუსებთან რობაქიძემ - **ალექსანდრ კორენკოვთან** და **ვიქტორ ჩირკოვთან**, ამერიკელი **ჯეიმს შარტნერი** და ირანელი **საეედ ბაიატი** კი დაამარცხა.

ამ დღეებში ვეტერანთა მსოფლიოს ჩემპიონატში თავისუფალი სტილით მოჭიდავეებიც ჩაებმებიან, რომლებიც ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში იასპარეზებენ.

ირაკლი თავაძე

სამბო

სამბისტების ოპტიმიზმი

13-16 ოქტომბერს ლატვიის დედაქალაქ რიგაში ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა მსოფლიოს პირველობა ტარდება. ჩვენი გუნდები ამ შეჯიბრებისთვის თბილისში, სამბოს დარბაზში ემზადებოდნენ, სადაც გუშინ ბოლო ვარჯიში გამართეს. ამჯერად - ღია, რომელსაც სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი, იმავდროულად, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი **თემურ გიორგაძე**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **გია გალდავა**, ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელები - **ემილ რაში** და **კობა ედიშერაშვილი** ესწრებოდნენ.

ემილ რაშის გადაწყვეტილებით, ახალგაზრდების ტურნირში საქართველოს ღირსებას **ლევან ბერძენიშვილი** (48), **გივი ნადარეიშვილი** (52), **ვახტანგ ჩიდრაშვილი** (57), **თორნიკე თათარაშვილი** (62), **ზვიად კაპანაძე** (68), **გიორგი პაპუნაშვილი** (74), **ლაშა ზურაბიანი** (82), **გიორგი ნოზაძე** (90), **მიხეილ ნარიმანიძე** (100) და **სლავა რეზესიძე** (+100) დაიცავენ, ედიშერაშვილმა კი ჭაბუკთა ნაკრებში ამ შემადგენლობას უხმო: **ლერი ბედინაძე** (48), **აბესალომ ვაშაყმაძე** (52), **თორნიკე მუზაშვილი** (56), **ოთარ გაბუნია** (60), **ბექა ტუღუში** (65), **მიხეილ მეზურნიშვილი** (70), **გიორგი ბიწაძე** (75), **რევაზ წულუკიძე** (81), **ალექსანდრე მილდიანი** (87), **გაგა ჯიხვაძე** (+87). ერთი მონაწილე გვეყოლება გოგოებში - ახალგაზრდებში **შორენა შარაძე** (64) იჭიდავებს.

მოსალოდნელ ჩემპიონატს ოპტიმისტურად ხვდება თემურ გიორგაძე: „დარწმუნებული ვარ, რიგაში წარმატებით გამოვალთ. შედეგი აუცილებლად იქნება და მედლების ხარისხიც მაღალი უნდა იყოს, თუმცა ამის წინასწარ დაკონკრეტება ძნელია. მთავარია, ბიჭებმა მოსამზადებელი ეტაპი უმაღლეს დონეზე გაიარეს და განწყობაც კარგია. ყველა წონაში არიან ისეთები, ვისაც მედლის მოპოვება შეუძლია. რაც მთავარია, ტრავმა არავის აწუხებს. წარმატების პრეტენზია გუნდურ პირველობაშიც გვექნება. განსაკუთრებით - ახალგაზრდებში, სადაც ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი გაგვაჩნია. საამისოდ რუსეთის უძლიერეს გუნდთან მოგვიწევს დაპირისპირება, რაც, იმედია, ჩვენი გამარჯვებით დამთავრდება“.

ოპტიმიზმთან ერთად, გია გალდავამ კი ყურადღება იმაზეც გაამახვილა, რომ ამ ბიჭების უმეტესობა სპორტში ქართული ჭიდაობიდან მოვიდა. „ეს ახალგაზრდა სპორტსმენები სამბოში ქართული ჭიდაობიდან მოვიდნენ და საერთაშორისო ტურნირებზე წარმატებითაც გამოდიან. მჯერა, ახლაც ასე იქნება, თუმცა მათგან მედლებით განებივრებულნი ვართ და ქომაგთა ამბიციის დაკმაყოფილება ცოტა ძნელი იქნება. მთავარი ისაა, რომ ორივე ნაკრებმა კარგად გაიარა მოსამზადებელი ციკლი და მზად არიან ამ ჩემპიონატისთვის“.

გუნდები დღეს დაამთავრებენ შეკრებას და ლატვიაში საღამოს გაფრინდებიან.

ირაკლი თავაძე

მარცხნიდან: გია გალდავა, ემილ რაში და თემურ გიორგაძე ნაკრები გუნდების ბოლო ვარჯიშზე

მშვილდოსნობა. ოლიმპიური ტესტი

ნარიმანიძემ პირველივე ნაბიჯ

ჩვენთვის წარუმატებლად დასრულდა „ოლიმპიური ტესტის“ ასპარეზობა ლონდონში - **ხათუნა ნარიმანიძე** პირველივე წრეში დამარცხდა. ის ტურნირს შემორჩენილი ბოლო ქართველი იყო, რადგან მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა** და **ასმათ დიასამიძე** წინა დღეებში გავარდნენ. ნარიმანიძეს პლეი ოფის პირველ წრეში არც ისე ძლიერი მეტოქე ჰყავდა - კანადელი **კატერინ ვრაკკინგი**, მაგრამ მაინც წააგო - 2:6. არადა, შეხვედრა გამარჯვებით დაიწყო - პირველი სეტი 26:24 მოიგო, მაგრამ მერე ზედიზედ სამი დათმო (23:26; 25:26; 26:28) და გამოვარდა. შეჯიბრება კი ლოგიკურად დასრულდა - საკვალიფიკაციო ეტაპი **დასომი იუნიმ** მოიგო, რომელმაც ფინალში პოლონელი **იუსტინე მოსპინეკი** 6:4 დაამარცხა. ბრინჯაოს მედალი კიდევ ერთმა კორეელმა - **ბო ბაე კიმ** მოიპოვა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში იაპონელ **რენ ჰაიაკავას** 6:2 აჯობა.

ჩვენი ნაკრები თბილისში ამ დღეებში დაბრუნდება და მალევე კორეაში გაემგზავრება ორთვიან შეკრებაზე.

London Prepares series

აზიაში ამ სამეულს **იულია ლობჟანიძეც** გაჰყვება, რომელიც უკრაინიდან გადმოჰყავთ.

ირაკლი თავაძე

დაფასება

მაია ჩიბურდანიძე საპატიო თბილისელია

გასულ უქმეებზე დიდი ზეიმით აღინიშნა თბილისობა. ამ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულზე საპატიო თბილისელის წოდება მიენიჭა 16 გამორჩეულ პიროვნებას, რომლებსაც დედაქალაქის მერმა **გიგი უგულავამ** ქალაქის სიმბოლური გასაღები და სიგელები გადასცა. დაფასებულთა შორისაა სახელოვანი დიდოსტატი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი, ჭადრაკის „ოსკარის“ ოთხგზის მფლობელი, საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი **მაია ჩიბურდანიძე**.

„ეს ყველა თბილისელისთვის საპატიო ტიტულია და წლიდან წლამდე ჩვენ გამოვარჩევთ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, რომლებიც განსხვავებულ სფეროში ქმნიან იმას, რასაც თბილისური კულტურა ეწოდება. ამისთვის მინდა მათ დიდი მადლობა გადავუხადო“, - თქვა დაჯილდოებისას გიგი უგულავამ.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

უკუსვლები

ქალთა რეიტინგში ცვლილება არ შეეხო ჩვენს პირველ ჩოგანს, დანარჩენთაგან კი უმრავლესობამ უკან დაიხია, რეიტინგ-ლისტს ერთი ქართველი მოაკლდა - ასეთია ახალ სიაში ქართველთა მთავარი ცვლილებები. აი, სიაც: 91 (-) **ანა ტატიშვილი** - 758 ქულა; 183 (-16) **მაკა ჩახნაშვილი** - 331; 254 (-10) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 214; 265 (-22) **სოფიო შაფათავა** - 206; 423 (+5) **ეკა გორგოძე** - 90; 448 (-19) **სოფიო ქვაცაბაია** - 84; 517 (-99) **თათია მიქაძე** - 62. რეიტინგიდან გავარდა **ანა ჯიქია**, რომელიც გასულ კვირაში 1233-ე პოზიციაზე იყო. როგორც ხედავთ, ყველაზე დიდი უკუსვლა თათია მიქაძეს შეეხო, რომელმაც თითქმის ასი საფეხურით გაიუარესა რეიტინგი. წინსვლა მხოლოდ ეკა გორგოძეს აქვს, ვისთვისაც ეს კარიერის მიღწევაა.

ვაჟთა რეიტინგში მხოლოდ სამი ჩვენებურია, სამივე სიმბოლურად: 1 243 (+10) **გიორგი ცივაძე** - 3 ქულა; 1 351 (+12) **ლადო ჩიხლაძე** - 2; 1 853 (+2) **ალექსანდრე მეტრეველი** - 1.

ერევნის საერთაშორისო ტურნირზე (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში ერთბაშად ცხრა (!) ქართველი თამაშობს. ამათგან მხოლოდ თათია მიქაძეა განთეილი (მე-4 ნომრად). მის გარდა ერევანში თამაშობენ: **თეონა ტატიშვილი, ანი გოგვაძე, თამარ ჭალაგანიძე, მარიამ ქურასბედიანი, მარიამ სხირტლაძე, ნათია გეგია, ბარბარე ერისთავი** და **ბაბილინა მაჩაიძე**. მაკა ჩახნაშვილი სანტ კუგატის (ესპანეთი, 25 ათასი დოლარი) ტურნირის პირველი ნომერია.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ქართული სპორტი

● მძლეოსნობა

თაობათა ესტაფეტა

ლაშა ღულელაური ოლიმპიურ ოქროსა და სანეევის რეკორდის მოხსნაზე ოცნებობს

ამას წინათ ეროვნულ სტადიონზე საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თასის გათამაშებისას ლაშა ღულელაური კვარცხლბეკზე ორჯერ ავიდა: ახმეტელმა ათლეტმა სამხტომში პირველი ადგილი დაიკავა, სიგრძეზე ხტომაში კი მეორე იყო.

მძლეოსნობაში ვარჯიში 6 წლისამ დაიწყო მამის - ქვემო ალვანის საჯარო სკოლის ფიზიკოსრდის მასწავლებლის იუსუფ ღულელაურის ხელმძღვანელობით. თავიდან თანატოლებთან ერთად რბენაში იწაფებოდა. მერე სიგრძეზე ხტომამ გაიტაცა. რაიონულ პირველობაზე დებიუტი 4,6 მეტრის დაძლევით აღნიშნა. ეს იყო ექვსი წლის წინათ. ფედერაციის თასის გათამაშებაზე კი პირადი რეკორდი დაამყარა - 7,56 მეტრი.

- წლეულს ტრავმებს რომ არ გავეწამებინე, უკეთესი შედეგიც მექნებოდა, - მითხრა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ლაშამ. - არადა, სეზონი კარგად დავიწყე: თებერვალში აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირი მოვიგე სამხტომსა და სიგრძეზე ხტომაში, მერე ბელარუსის ჩემპიონი გავხდი ჭაბუკთა შორის სიგრძეზე ხტომაში.

- ყველაზე დიდ წარმატებას მაინც ტრაბზონში მიაღწიე...

- დიახ, ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე სამხტომში 15,49 მეტრით მეორე ადგილი დავიკავე და ოქროსმედალოსან შვეიცარიელ რობერტ კლარკს სულ ერთი სანტიმეტრით ჩამოვრჩი. იმ შეჯიბრების მოგებაც შეიძლებოდა, მაგრამ სპორტული ფორმა არ მქონდა სრულად აღდგენილი: ნლეულს ისლანდიაში ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე გამოსვლისას კუნთი დამეჭიმა. ტრავმამოუშუშებელმა ლილში ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზე მოვსინჯე ძალები, მაგრამ ექვსიდან მხოლოდ 3 ცდის გამოყენება შევძელი და 15.08 მეტრით მერვე ადგილი დავიკავე. მართალია, თურქეთში ეს შედეგი 41 სანტიმეტრით გავუმჯობესე, მაგრამ გამარჯვებისთვის მაინც არ მეყო.

- ფედერაციის თასზე?

- ამჯერად მეტი ყურადღება სიგრძეზე ხტომას დავუთმე. პირადი რეკორდი 32 სანტიმეტრით გავზარდე. სამხტომისთვის, ეტყობა, ძალები არ მეყო, თუმცა შედეგებით კმაყოფილი ვარ. ორი წლის განმავლობაში ტრავმების გამო ისე ვიყავი იმედგაცრუებული, არც კი მეგონა, წარმატებას თუ მივაღწევდი. ორდღიანმა ასპარეზობამ კი რწმენა დამიბრუნა. მომავალ შეჯიბრებებში ვეცდები, ქომაგები გავახარო.

- მერედა, მოსამზადებლად ალვანში სათანადო პირობები გაქვს?

- სოფლის პირობაზე არა უშავს. გაისად სკოლას დავამთავრებ და თბილისში გადმოვალ საცხოვრებლად. ამის შემდეგ სავარჯიშოდ პირობები უკეთესი მექნება და, ალბათ, შედეგებიც.

- სწავლის გაგრძელებას სად აპირებ?

- სპორტული მედიცინის სპეციალისტი მინდა გავხდე.

- როგორ სწავლობ?

- საწვრთნელი შეკრებები და შეჯიბრებები ბევრ დროს თუ არ წამართმევს, სკოლას, ალბათ, ოქროს მედალზე დავამთავრებ.

- მძლეოსნობის გარდა, რა გიტაცებს?

- კალათბურთი. ძალიან გამიხარდა, ჩვენი ნაკრები ლიტვაში ევროპის ჩემპიონატის 12 საუკეთესო გუნდში რომ მოხვდა. განსაკუთრებით ვიქტორ სანიკიძის ლაღი თამაში მხიბლავს. ასე გგონია, დაფრინავსო. უცხოელთაგან ჯორდანი და შაკილ ო'ნილი მომწონს.

- რაზე ოცნებობ?

- შეიძლება, ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ ჩემი უპირველესი მიზანია ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა და ოქროს მედლის მოპოვება, ოცნება კი - ვიქტორ სანეევის უნიკალური რეკორდის მოხსნაა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა ამ ზღაპრულ პიროვნებას შევხვდე და მისი რჩევები მოვისმინო. მჯერა, ეს წარმატებების მიღწევაში დამეხმარება.

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3



თავგადასავლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური ჩემპიონი ტყვიის სროლაში – ნინო სალუქვაძე

სად არის სალუქვაძე

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როდესაც უკვე მრავალ ასპარეზობაში ვმონაწილეობდი და გაკვეთილების გაცდენაც მინევდა. დირექციაში ეს იცოდნენ და ხელს მიწყობდნენ. ერთმა მასწავლებელმა თურმე არ იცოდა ამის შესახებ და სიის კითხვის დროს უკითხავს:

- სალუქვაძე სად არის?

გატრუნულა მთელი კლასი (არ უნდათ „ჩამიშვან").

- სად არის სალუქვაძე? - ისევ უკითხავს.

ისევ სიჩუმე... უცბად ერთი ჩემი კლასელი წამომდგარა:

- მე ვიცი მასწ.

- აბა თქვი, სად არის სალუქვაძე?

- „ლელოში", მასწ.

- როგორ თუ „ლელოში"?

მოსწავლეს ჩანთიდან გაზეთი „ლელო" ამოუღია და ჩემი სურათი კლასში უჩვენებია - იარაღით ხელში.

კლასში ასეთი კითხვა მის მერე აღარ დასმულა.

ILBALI

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საერთოდ ილბლიანი ვარ.

ილბალია ის, რომ 15-16 წლის უკვე ცნობილი სპორტსმენი გახლდით.

1991 წელია. საქართველოში „არეულობა" მწიფდება. მე და ჩემი მწვრთნელი, მამაჩემი კიევიდან საქართველოში ვბრუნდებით, მაგრამ აეროპორტში არც ერთი ბილეთი არაა თვითმფრინავზე. არაფერი ჭრის.

- შენ აქ დამიცადე - მითხრა მამამ. - იქნებ, რაიმე მოვახერხო. დამტოვა სკამზე და წავიდა სალაროებისკენ.

ვზივარ, ფეხთან სპორტული იარაღებით გაძეძგილი ორი ჩანთა მიდევს. ცოტა ხანში შევამჩნიე, რომ ორი შავსათვალიანი მამაკაცი საეჭვოდ მაკვირდება. ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებიან. არ მესიამოვნა. ბოლოს ჩემთან მოვიდნენ, უშიშროების საბუთი მაჩვენეს და ჩემი ვინაობით დაინტერესდნენ. რომ ავუხსენი ვინც ვიყავი, ძალიან გაუხარდათ. წავიდნენ და ხუთ წუთში სოხუმამდე ორი ბილეთი მომიტანეს. მალე მამაჩემიც მოვიდა. მის გაოცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა სანუკვარი ბილეთები დავახვედრე მე, რომელიც საერთოდ არ მოვცილებივარ სკამს და ჩანთებს. ილბალია, აბა რა.

ჩამოვფრინდით სოხუმში. მეორე დღემდე თბილისის რეისი არაა. ღამის გასათევი არ გვაქვს. სოხუმში მხოლოდ ერთი ნათესავი მყავდა და... აგერ არ ზის აეროპორტში!? ცოლ-შვილს ელოდებოდა მოსკოვის რეისზე. ღამის გასათევიც ვიშოვეთ. არაა ილბალი?

თბილისის აეროპორტში ბიჭებმა სტაცეს ხელი ჩემს ჩანთებს და ტაქსის გაჩერებამდე მიიტანეს. ილბალია ისიც, რომ არ იცოდნენ რა ეწყო ჩანთებში, თორემ იარაღის მოტრფიალე ქართველი მამაკაცები აუცილებლად მთხოვდნენ - ერთი მაინც გვაჩუქეო...

„ლა თოფია, ლა თოფი!?"

თუ რატომ შეიძლებოდა ეთხოვათ „იარაღი მაჩუქეო" - ამასაც ერთი ამბით ვუპასუხებ:

მე და მამა ერთ დღეს მანქანით მივდიოვართ საწვრთნელ ტირში. საბარგულში 4-5 ცალი სპორტული იარაღი გვიდევს. გაგვაჩერა პოლიციამ. მოგვეახლა ერთი ჩასუქებული პოლიციელი და გვეუბნება:

- „ბაგაჟნიკი" გახსენით (აქცენტზე ვატყობ - მეგრელია).

- რაშია საქმე? - იქით ეკითხება მამა.

- გახსენით „ბაგაჟნიკი", რომ გეუბნებით?

გადავიდა მამა და გახსნა საბარგული.

- ტიტუუუ! - აღმოხდა მსუქანას ამდენი იარაღის დანახვაზე - რასაა რო ხედავს ჩემი თვალები! ტერორისტული ორგანიზაციის წევრები ხართ? არ გაინძრეთ ადგილებიდან და გაქცევა არ გაბედოს რომელიმე თქვენგანმა, თორემ ჩემს ტყვიას ვერ გაექცევით! დააძრო რაცია და ცენტრში აპირებს შეატყობინოს, ტერორისტული ბანდა დავიკავე - მომეშველეთო, მაგრამ მამამ არ აცალა:

- რა ტერორისტები, რის ტერორისტები თუ ძმა ხარ, სალუქვაძეები ვართ, მამაშვილი. ნინო სალუქვაძე არ გაგიგონია არასდროს?

პოლიციელი წამით დაფიქრდა.

- ნინო სალაუქვაძე როგორ არ გამიგია, მაგრად რო ისვრის, ის არაა?

- დიახ - გამოიცანი - გაეცინა მამას.

- რომელია ნინო? სადაა?

- ცხადია, მე არ ვარ, ეგერ ზის მანქანაში. ინსპექტორი ჩემს ფანჯარასთან მოვიდა და დამაცქერდა:

- ცოცხალი ხარ? (უნდოდა ეთქვა - ცოცხალი ნინო ვნახეო).

- კი, ჯერჯერობით... გამეცინა მეც.

- დიდი ბოდიში, რა თქმა უნდა... უნდა მაპატიოთ ეს პატარა... „აშიბკა- ნედარაზუმენიე"... მერე მამას მიუბრუნდა და სრულიად მოურიდებლად:

- ერთი ცალი იარაღი მაჩუქოთ სამახსოვროდ.

- რას მეუბნები კაცო, ეს სპორტული ინვენტარია - უხსნის მამა.

- ინვენტარი უძახე შენ და კაი, კია!

- აბა, წავედით ჩვენ - აჩქარდა მამაჩემი.

- მოიცა, თუ გიყვარდეს, რა გეჩქარება... მაშინ მომყიდე მაინც ერთი ცალი.

- კარგი ერთი, რას მემასხრები, პოლიციელი კაცი, რა უნდა მოგყიდო. ასეთი რამე გეშლება?

ყველანაირად და აშკარად გაწბილებული პოლიციელი დანებებას არ აპირებს.

- კაი, არ მჩუქნი, არ მჩუქნი... მომყიდეთქვა და არ შობი... ე, ის, გაბრჭყვიალებული იარაღი როა, ცოტა ხნით ხელში მაინც დამაკავებინე, სატრაბახოდ მექნება, დედა, რა კაი იარაღია კაცო!

მამა უკვე მანქანაში იჯდა და მივდიოდით. „ლა თოფია, ლა თოფი!" - თქვა მამაჩემმა და ორ ხმაში გადავიხარხარეთ „უდიპლომო სასიძოს" გახსენებაზე.

სტოპ! - ბრმა ვარ

ამერიკაში მკაცრი კანონებია. კანონის სიმკაცრე მარტო და მხოლოდ კრიმინალების შევიწროებაში არ გამოიხატება. ქუჩაშიც სიმკაცრეა. სიმკაცრე მძღოლების და ფეხით მოსიარულეთა მიმართაც.

ერთხელაც, ატლანტას ერთ ავენიუზე მივდივართ და ტრასის მეორე მხარეზე გვინდა გადასვლა, არც გადასასვლელი ჩანს. არადა, გვეჩქარება. რაღაცა უნდა მოვიფიქროთ, მაგრამ რა?



ორი ქართველი მოკრივე გვახლავს. ერთ-ერთი მოხერხებული აღმოჩნდა:

- შავი სათვალე ხომ არ გაქვთ ვინმეს? - გვეკითხება. სასწრაფოდ მოვჩხრიკეთ ჩანთები და შევაჩეჩეთ ხელში სათვალე. გაიკეთა ამ ბიჭმა სათვალე და ააკანკალა ხელ-ფეხი. ამოვუდექით იქით-აქედან და ფრთხილად „შევცურეთ" ტრასაზე დიდი სიჩქარით მოძრავი მანქანების ნაკადში.

ატყდა სიგნალები და რა ატყდაააა... მაგრამ უსინათლოებს ყველა ქვეყანაში სცემენ პატივს და შტატებში განსაკუთრებით. ასე კანკალ-კანკალით გადავიყვანეთ ჩვენი „ბრმა" ტრასის მეორე მხარეზე. რას იძახოდნენ ამერიკელი მძღოლები, ან გულში რას „გვიძღვნიდნენ", ნაკლებად გვაინტერესებდა. მაისურები გვეცვა ზურგზე წარწერით „ჯორჯია". ამის დანახვაზე სულ გაგიუდნენ (ჩვენიანები არიანონ). „ჯორჯია!" „ჯორჯია!" ყვირიან აღტაცებულები. გადავედით თუ არა... „ჩაგვავლო" პოლიციამ „ჯორჯიელებს" - ვინ ხართ, რა ხართ?

ავუხსენით ვინც ვიყავით და რაც გვჭირდა. ილბლად ისეთი პოლიციელი შეგვხვდა, ვისაც იუმორი არ ეუცხოებოდა და გვარიანადაც იცინა, მაგრამ რომ გაიგო სსრკ-ს სპორტსმენები ვიყავით, სიცილი სახეზე შეეყინა, თუმცა კაცობას მაინც არ უღალატა, „ჩესტი" აგვიღო და უხმოდ გაგვშორდა.

დაჭერას გადავურჩი

ახლა თბილისს დავუბრუნდეთ.

ერთხელ, ლექციების შემდეგ მივსეირნობთ.

- ნინო, - ამიტყდა თანაკურსელი ვაჟი - შენ ხომ მსროლელი ხარ? საკუთარი იარაღი არ გაქვს?

ახლა, რომ ვუთხრა არაო, ვიცი მის ცნობისმყვარეობას ვერ დავაკმაყოფილებ, გადამეკიდება, რატომ არაო. ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე:

- მაქვს, აბა არ მაქვს!

- რა მარკის? - არ მეშვება.

- „სტეჩკინი" - ვუთხარი რაც ენაზე მომადგა.

- კიდო? - (არაფრით არ სჯერა, რომ ერთი მექნება).

- კიდევ „პარაბელუმი" მაქვს ჩანთაში და ორი ხელყუმბარაც - დავამატე მეტი დამაჯერებლობისთვის.

- იმიტომ მიყვარს შენს გვერდით სიარული, არავისიც არ მეშინია - მიიხედ-მოიხედა აშკარა სიამაყით და თითქოს ამით დამთავრდა იმ დღეს ის საუბარი. თურმე ჯერ სადა ხარ!

მეორე თუ მესამე დღეა გამოვდივარ დილით სახლიდან, ლექციაზე მიმეჩქარება. ვიგრძენი, რომ ვიღაც „საიდუმლოდ" მომყვება ზურგს უკან. ქალაურ ინტუიციას არ უღალატია. „მდევარი" მალე დაწინაურდა ორი-ოთხი ნაბიჯით დამშორდა, მერე მონყვეტილად შემოტრიალდა და ნინ ამესვეტა:

- პოლკოვნიკი ეგაძე - თუ შეიძლება გაჩერდით და პანიკა არ იყოს! დამცეცხლა... „რა უნდა ამ პოლკოვნიკს!?" - რა ხდება? - ვეკითხები მშვიდად.

- გაშიფრული ხართ... ნყნარად! საბუთები, თუ შეიძლება.

- რა ვარ?

- გაშიფრული ხართ... საბუთები!

ამოვიღე ყველანაირი საბუთი. დაიწყო კითხვა და უცებ ხმამაღლა წამოიყვირა:

- თფუუუ... შენი დედა ვატირე, ჰამლეტა შტერო!!!

- რა ბრძანეთ?

- რა ვბრძანე და - იმ შტერმა ჰამლეტამ (აგენტი ჰყოლია) თქვენზე მითხრა - ტერორისტია ეგ ქალი, „სტეჩკინი", „პარაბელუმი" და ორი ლიმონკა აქვს ჩანთაშიო.

ბოდიში პატივცემულო, ვერ გიცნოთ სახეზე, დამიბრუნა საბუთები და „გაქრა".

ვინაა ეს კაცი?!

ყველაზე სასიამოვნოდ მაინც სეულის ოლიმპიურ თამაშები მაგონდება. კორეაში რაღაცნაირი ადამიანები არიან. თითქოს თავაზიანები, თითქოს გულღიები. პირზე ღიმილი არ შორდებათ, მაგრამ. სსრკ-ს ვერ ეგუებიან. უფრთხიან მათ წარმომადგენლებს, გაურბიან... არ უყვართ! ჩვენს დელეგაციას ისე აჩვენებდნენ ერთმანეთს, თითქოს ზოოპარკიდან გამოპარულები ვყოფილიყავით, მაგრამ მე რატომღაც დიდი პატივისცემით მეპყრობოდნენ, ცხადია, ჩემი სპორტული წარმატებიდან გამომდინარე. მაგრად „დამიიმაკაცდნენ". ჯერ ერთმა მთხოვა ჩემთან ერთად გადაიღე სურათიო და ამომიდგა გვერდში. უარი არ მითქვამს. ახლა მეორეს გაუჩნდა ანალოგიური სურვილი, მერე მესამეს და წავიდაა�ა. 20 იქაურ მამაკაც სპორტსმენთან გადავიღე.

დაბრუნდი თბილისში და დედაჩემი ათვალიერებს ამ ფოტოებს. პირველ ფოტოზე კმაყოფილებით გაეღიმა, მეორეზეც... მესამეზე სახე ოდნავ მოეღუშა, მეოთხეზე - უფრო მოიღუშა, მეხუთეზე და მეექვსეზე რომ გადავიდა, მღელვარება ვეღარ დამალა:

- ნინო! - მომაყვირა მკაცრად - ამისთვის გაგიშვი სეულში მე შენ? ვინაა გოგო ეს თვალებმოწკურული კაცი?

- რომელზე მეკითხები?

- რომელზე... რომელზე და ამდენი სურათი რომ გადაგიღია იმ კაცთან!

- სხვადასხვა კაცია დედა-მეთქი. სულ გადაირია - რას ჰქვია სხვადასხვაო?

ყველაფერი რომ ავუხსენი, დამშვიდდა.

რატომ გვანან კორელეები ასე ძალიან ერთმანეთს? - მეც დამებადა ეს კითხვა.

მურმან მერკვილიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

ნარმაჭებისთვის მეჭი კონკურენციაა საჭირო

ᲖᲐᲖᲐ ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲡ სტამბოლის სასტუმროში დავუკავშირდი, ინტერვიუ რომ დავასრულე, ზაზამ მითხრა - ევროლიგის ოფიციალური საიტი ნახე, ქართული თავფურცელი აქვსო. მართლაც, საიტზე მთავარ ფოტოზე თორნიკე შენგელია იყო გამოსახული, ქვემოთ კი წინა დღის ამბავი ეწერა - ზაზა ფაჩულია სტამბოლის „გალათასარაიში“ გადავიდაო. შეგახსენებთ, რომ „გალაცა“ და შენგელიას „შარლერუაც“ ევროლიგის კლუბებია.

საქართველოს ნაკრების კაპიტნის თურქეთში გადასვლა ჯერაც ცხელი ამბავია, მაგრამ პირველი კითხვა უფრო მნიშვნელოვან თემას ეხებოდა:

- ევრობასკეტის მეორე ეტაპი ფეხის ტრავმის გამო გამოტოვე. ამჟამად თავს როგორ გრძნობ?

- კუნთი იყო დაზიანებული, რომელსაც დასვენება და მკურნალობა სჭირდებოდა. მას მერე, რაც ტრავმა მივიღე, ერთი თვე გავიდა, სარეაბილიტაციო პერიოდიც კარგად წარიმართა და „გალათასარაისთან“ სრული დატვირთვით ვარჯიშს შევუდექი.

- თურქულ კლუბში რა პირობით გადახვედი?

- სტამბოლში მანამ ვითამაშებ, ვიდრე NBA-ში ლოკაუტი დასრულდება. შემდეგ „ატლანტას“ დავუბრუნდები. სადღეისოდ, არავინ იცის, როდის დაიწყება NBA, მოლაპარაკებები კვლავ მიმდინარეობს.



- იყო სხვა ვარიანტებიც, მაგალითად ბელგიის „შარლერუა“, მაგრამ „გალათასარაი“ ამჯობინე. რა იყო ამის მიზეზი?

- ბელგიიდანაც საინტერესო შეთავაზება მქონდა, მაგრამ მაინც სტამბოლი ვამჯობინე. თურქეთში 1999-დან 2003 წლამდე ვცხოვრობდი და ვთამაშობდი. აქაურობას ჩემს მეორე სახლს ვეძახი, მოკლე დროში ხალხმა კარგად გამიცნო და შემიყვარა. როცა, საქმე ასარჩევადაა, ნებისმიერი სპორტსმენი ეცდება იქ წავიდეს, სადაც თავს კომფორტულად იგრძნობს. მით უმეტეს, მაშინ, როცა არ იცი, რამდენ ხანს დარჩები ახალ გუნდში. ამავე დროს, არ ვივიწყებ და ყოველ ინტერვიუში აღვნიშნავ, რომ ჩემს ამერიკაში მოხვედრაში დიდი როლი თურქეთმა ითამაშა. ამ ქვეყანაში საქართველოდან 15 წლისა წავედი და პროფესიული კარიერა „ულქერში“ დავიწყე.

- როგორც აღმოჩნდა, სწორი ნაბიჯი გადადგი ივლისში „ბეშიქთაშში“ რომ არ გადახვედი - ევროჩელენჯს, თუნდაც ევროთასს ევროლიგა (სადაც „გალათასარაი“ თამაშობს) გაცილებით სჯობს.

- „ბეშიქთაშთან“ შეთანხმება თითქმის მიღწეული იყო, მაგრამ ბოლო მომენტში გადაწყდა, რომ იქ არ გადავიდოდი. ამის გამო ნამდვილად არ მინერვიულია, რადგან ჩემი მთავარი საზრუნავი მაინც „ატლანტა ჰოქსია“. ევრობასკეტის დასრულების შემდეგ თურქეთში ვიყავი და მკითხეს - რომელი გუნდი მოგწონსო. „ეფეს პილსენი“ და „გალათასარაი“-მეთქი. ორივე კარგი გუნდია, თუმცა მაშინ „გალა“ ევროლიგის შესარჩევ ტურნირს თამაშობდა. ჩემდამი ინტერესიც მას შემდეგ გამოვლინდა, რაც ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვა. ევროლიგაზე დაბრუნება ჩემთვისაც საინტერესოა, მით უმეტეს, რომ „გალათასარაიში“ ძლიერი შემადგენლობაა შეკრებილი და მომდევნო ეტაპზე გასვლის სერიოზული პრეტენზია აქვს.

- ახლა საქართველოს ნაკრებზე გკითხავ. გუნდის გამოსვლას როგორ შეაფასებ?

- როგორც ყველა, მეც დადებითად შევაფასებ. ეს ნაკრების ისტორიაში საუკეთესო შედეგია, ისტორიული მოვლენაა და მოხარული ვარ, რომ იმ გუნდის წევრი ვიყავი, რომელმაც ევროპის საუკეთესო 12 გუნდს შორის შეაღწია. სასიამოვნოა, რომ ასეთი შედეგი ევრობასკეტზე მოხვედრის პირველივე წელს ვუჩვენეთ. ამასთან, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პროფესიონალები ვართ და ყველას გვსურდა მეტის მიღწევა, ვიცით რაც დავაკელით და მომავლისთვის აუცილებლად გამოვასწორებთ. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, არაერთ გულშემატკივარს შევხვდი, რომლებიც ჩვენს გამოსვლას დადებითად აფასებენ. მთავარია, რომ პირველი ეტაპის ბარიერი გადავლახეთ და ხალხი გავახარეთ. ჩვენც გავიხარეთ, 8 წელია თითქმის ერთი შემადგენლობით მოვდივართ და სასიამოვნოა, რომ ჩვენი შრომა წყალში არ ჩაიყარა, ევრობასკეტზე ვითამაშეთ. თანაც, ევროპულ საზოგადოებას ვუჩვენეთ, რომ ლიტვაში შემთხვევით არ მოვხვედრილვართ - ძლიერ მეტოქეებთანაც თანაბრად შეგვიძლია თამაში.



- ლიტვაშიც ითქვა, რომ საქართველოს ნაკრებს ღირსეული შეცვლა სჭირდება...

- ამ საკითხზე მანამდეც არაერთხელ მილაპარაკია. არ მინდა, ჩვენი შრომა ერთ დღეს წყალში ჩაიყაროს. ამისთვის საჭიროა, თაობათა ცვლა უმტკივნეულოდ მოხდეს და ახალგაზრდა ქართველმა კალათბურთელებმაც განიცადონ ის სიამოვნება, რაც ევრობასკეტზე თამაშით ჩვენ განვიცადეთ. საქართველო თავისი საკალათბურთო ტრადიციებით ნამდვილად იმსახურებს, რომ ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატებზე რეგულარულად თამაშობდეს. ჩვენს გუნდში ყველაზე სტაჟიანი ვლადიმერ ბოისაა, რომლის ქულათა მონაგარი ევრობასკეტზე უწინდებური არ იყო, მაგრამ სასტარტო ხუთეულში თამაშობდა და მის გვერდით თამაში ნებისმიერი კალათბურთელისთვის სასიამოვნოა. იგი გუნდისთვის დიდი ძალაა, თუმცა ადრე თუ გვიან კარიერის დასრულება მოუწევს. აგერ, კოტე ტულუშმა წლეულს დაასრულა კალათბურთის თამაში, მე და ცქიტიშვილიც რამდენიმე წელს იმავე ნაბიჯს გადავდგამთ. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ღირსეული შეცვლაა საჭირო.

- ევრობასკეტზეც გამოუჩნდა ნაკრებს ახალგაზარდა კალათბურთელი...

- თორნიკე შენგელია საქართველოს ნაკრების მომავალია. იგი ყოველწლიურად უმატებს, დიდი პერსპექტივაც აქვს და თუ ასე განაგრძო, შეიძლება მალე NBA-შიც ვიხილოთ. მაგრამ, მხოლოდ ერთი კალათბურთელი შედეგს ვერ მოგვცემს, საჭიროა სერიოზული კონკურენცია. როცა კარგი კონკურენტი გყავს, მეტს შრომობ და მაქსიმუმის გაღებას ცდილობ. თუ კონკურენცია ნაკლებია და სასტარტო ხუთეულში მოხვედრა გარანტირებული გაქვს, ძალაუნებურად ყურადღებას ადუნებ. ეს ცუდია.

- ჩვენ უცხოელ კოლეგებთან გვქონდა ურთიერთობა და ვიცით ჟურნალისტების აზრი საქართველოს ნაკრებზე. შენ არაერთ ცნობილ კალათბურთელთან გაქვს კარგი ურთიერთობა და საინტერესოა, ისინი რას ფიქრობენ ჩვენს გუნდზე.

- კირილენკომ, თურქორლუმ და სხვა კალათბურთელებმა იცოდნენ, რომ ქართველი ვარ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ეროვნულ გუნდში ჩემი თამაში ნანახი არ ჰქონდათ, მხოლოდ NBA-დან მიცნობდნენ. ახლა ნაკრებიც ნახეს და დარწმუნდნენ, რომ არაერთი კარგი კალათბურთელი გვყავს. ჩვენს გამოსვლას ყველა დადებითად აფასებდა, მათ შორის ფიბას ხელმძღვანელობაც. ისინი ჩემთან საუბარში არ მალავდნენ, რომ საქართველოს ნაკრების გამოსვლით ევროპის ჩემპიონატმა ბევრი მოიგო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კარგი გუნდი გვყავდა, მეორეც, ქართველმა გულშემატკივრებმა ევროპის ჩემპიონატს დამატებითი ხიბლი შესძინეს. კალათბურთი ხომ გარკვეულწილად ბიზნესიცაა და რაც მეტი გულშემატკივარი მიდის თამაშზე, მით მეტია მოგება.

- რუსეთთან, სლოვენიასთან, მაკედონიასთან ბოლო წამებზე დავმარცხდით. დებიუტანტები ვიყავით და გამოცდილება მეტოქეებზე ნაკლები გვქონდა. ალბათ, ლიტვაში მიღებული გაკვეთილები სამომავლოდ გამოგვადგება...

- რუსეთი და სლოვენია ევროპის ჩემპიონატებზე რეგულარულად თამაშობენ და იციან, როგორ გამოიზოგონ ძალები და როგორ მოიგონ გადამწყვეტი მატჩები. ჩვენ დებიუტანტები ვიყავით და გამოცდილი გუნდებისგან ბევრი ვისწავლეთ. როგორც ვთქვი, ახლა მთავარია, მომავალში ევრობასკეტს არ გამოვაკლდეთ, რათა უფრო საინტერესო თამაში ვუჩვენოთ და უკეთესი შედეგი მივიღოთ.

დუდუ დადიანის მემორიალი

აი, ისიც - ქუთაისი

დადიანის მემორიალს ახალი გამარჯვებული ჰყავს

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

10 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲨᲡᲚ-ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ 75:93

18:21, 13:19, 24:23, 20:30

ᲨᲡᲚ: ლაფანაშვილი (2ქ), ნიკოლაძე, ლონდარიძე (8ქ, 14მ), თენიეშვილი (4ქ), ტუჯანი (4ქ), წივწივაძე (10ქ), იმნაძე, დვალიშვილი (12ქ, 13მ), კრეპსი (34ქ, 11მ, 3ს), ბოქოლიშვილი (1ქ)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ: ფაშაევი (10ქ, 7ს), ბაბუნაშვილი (12ქ), დიდია (12ქ, 9მ), ცეკვავა (28ქ, 6მ, 6ს), დ. ბარბაქაძე (5ქ, 7მ), ლომინაშვილი, გ. ბარბაქაძე (5ქ), კოლუაშვილი (4ქ), მათიაშვილი (17ქ)

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘ: რ. ხომერიკი

დუდუ დადიანის მემორიალს ახალი გამარჯვებული ჰყავს. „ქუთაისმა“ ფინალში ბევრისთვის მოულოდნელად შსს 93:75 დაამარცხა.

მალხაზ კოხრეიძის გაწვრთნილმა „ქუთაისმა“ ფინალი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. იმერლებმა დამაჯერებლად ითამაშეს პირველ ტაიმში და დიდი შესვენებისთვის 9 ქულით დაწინაურდნენ. გადამწყვეტი იერიში ქუთათურებმა ბოლო მეოთხედში მოაწყვეს, როცა იმერლების უკანახაზელმა **გოგა ცეკვავამ** შესაშური შედეგიანობით ესროლა სამქულიანები

გოგა, რომელმაც 28 ქულა დააგროვა, მატჩისა და ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა. მასვე გადაეცა საუკეთესო დამცველის პრიზი. ქუთაისელებისთვის ეს ტიტული პირველი იყო, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი დუდუ დადიანის მემორიალის ფინალში ზედიზედ მეორედ დამარცხდა. შსს-მ შარშან ფინალში რუსთავის „ენერჯისთან“ წააგო და მაშინაც ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გოგა ცეკვავა გახდა, რომელიც მაშინ რუსთავულ გუნდში გამოდიოდა.

- შსს ძლიერი გუნდია, მასთან საბრძოლველად სერიოზულად მოვემზადეთ. მოხარული ვარ, რომ დადებით შედეგს მივაღწიეთ. სეზონის წინ საკონტროლო მატჩების გამართვა ვერ მოვახერხეთ და მემორიალის მატჩები ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იყო, - აღნიშნა „ქუთაისის“ თავკაცმა მალხაზ კოხრეიძემ.

შემდგარი ტრანსფერი

და მაინც კანტუ!

მეოთხე ქართველი ევროლიგაში

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲘ „კანტუში“ ითამაშებს - ამის შესახებ გუშინ გუნდის ოფიციალურმა ვებ-საიტმა დაწერა.

შეგახსენებთ, რომ გიორგის „პანათინაიკოსიდან“ წასვლის საკითხი გასულ კვირას გადაწყდა, ასევე ცნობილი იყო, რომ იგი „კანტუში“ ითამაშებდა, თუმცა კონტრაქტის გაფორმებამდე აუცილებელი იყო, გუნდი დაეტოვებინა ბელარუს **არტიომ პარახუსკის,** რომლის ადგილიც შერმადინს უნდა დაეკავებინა.

საბადნიეროდ, ყველაფერი წარმატებით დასრულდა და გიორგი მეოთხე ქართველი კალათბურთელია წლეულს ევროლიგაზე რომ ითამაშებს. **ზაზა ფაჩულია** „გალათასარაის“ დაეხმარება, **თორნიკე შენგელია** - „შარლერუას“, ხოლო **მანუჩარ მარკოიშვილი** და გიორგი შერმადინი - „კანტუს“.

გვერდი მოამზადა
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ

● ლეგიონერები

ორ ჯგუფში ქართველები ლიდერობენ

ელიზბარ ყუფარაძე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ და მეორე დივიზიონებში ერთკვირიანი შესვენებაა. სამაგიეროდ მე-3 ტურის მატჩები გაიმართა ნახევრად პროფესიულ ფედერალ 1 დივიზიონში. აქ მოასპარეზე ქართველ მორაგებთა გუნდებიდან თავიანთ ქვეჯგუფებში ორი „ლილი“ და „ვალანს დაჟენი“ ლიდერობენ.

A ჯგუფში სამ ტურის შემდეგ ჯერაც დაუმარცხებელია **დავით ბოლღაშვილის** „ლილი“, რომელმაც მესამე ტურში სტუმრად დაამარცხა „ნევერი“ - 16:9. ბოლღაშვილს აქამდე გამართულ მატჩებში არ უთამაშია. „ლილი“ 14 ქულით სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას.

შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიასა და **არჩილ კობაურის** „მასი“ წლევანდელ გათამაშებაში პირველად დამარცხდა სტუმრად **ბესო უდესიანისა** და **შოთა მელქიძის** „მაკონთან“ - 18:24. პარიზელებს 11 ქულა დაუგროვდათ და მე-11 ადგილზე არიან. მაკონელებისთვის ეს პირველი გამარჯვება იყო და შესაბამისად ხუთი ქულით სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარს იკავებენ.

პირველი გამარჯვება მოიპოვა **ავთანდილ კოპალიანისა** და **შოთა საყვარელიძის** „ორლეანმაც“, რომელმაც შინ დაამარცხა „დიჟონი“ - 25:17. ორლეანელებს 6 ქულა აქვთ მე-6 ადგილზე იმყოფებიან.

„ორლეანს“ სამი ქულით უსწრებს და მე-5 ადგილზეა **ელიზბარ ყუფარაძისა** და **დევი დათუნაშვილის** „მონლუსონი“, რომელმაც სტუმრად მოუგო „ბობინის“ - 22:20.

„ბულონი“, რომლის ღირსებასაც სამი ქართველი მორაგბე - **რეზო გიგაური, ნიკოლოზ გიორგაძე** და **დიმა ხოჭოლავა** - იცავს, ფედერალ 1 დივიზიონის დებიუტანტია. სწორედ ამიტომაცაა, რომ ბულონელებმა სამივე შეხვედრა წააგეს. მესამე ტურში ჩვენებურთა გუნდი სტუმრად დამარცხდა „სტრასბურთან“ - 14:42.

A ჯგუფი

მაკონი-მასი 24:18, ნევერი-ლილი 9:16, ორლეანი-დიჟონი 25:17, ბობინი-მონლუსონი 20:22, სტრასბური-ბულონი 42:14.

საბურნირო ცხრილი

1. ლილი - 14 ქულა, 2. მასი - 11, 3. ბობინი - 10, 4. დიჟონი - 9, 5. მონლუსონი - 9, 6. ორლეანი - 6, 7. სტრასბური - 5, 8. მაკონი - 5, 9. ნევერი - 5, 10. ბულონი - 0

B ჯგუფში ქართველ მორაგებთა ექვსი გუნდი ასპარეზობს. მათგან ყველაზე უკეთესი მდგომარეობა ჯერჯერობით გია ლაბაძის, ვახტანგ მაისურაძისა და რეზო ბელქანიას „ლა სეინს“ აქვს, რომელმაც მესამე ტურში სტუმრად დაამარცხა აუტსაიდერი ირაკლი ნინიძის „რომანი“ - 21:12. აღსანიშნავია, რომ რომანელებს ჯერ მოგებათა გრაფაში ისევ ნული აქვს. „ლა სეინი“ კი 9 ქულით მე-4 ადგილზეა.

ლასეინელებს ორი ქულით ჩამორჩება და სატურნირო ცხრილში მე-5 საფეხური უჭირავს გიორგი კუთარაშვილის „შატორენარს“, რომელიც სტუმრად ფრეს დასჯერდა დავით კაჭარავასა და ნიკოლოზ მაღალდაძის „ნიცასთან“ - 16:16. ნიცელებს აქამდე ყველა თამაში წაგებული ჰქონდათ და ამჯერად ორი ქულით ბოლოსწინა, მე-9 ადგილზე არიან.

სტუმრად დამარცხდა „კასტანესთან“ ირაკლი მაჩხანელის „სენტ ეტიენი“ - 22:25 და ექვსი ქულით მე-6 ადგილზეა. შინ დამარცხდა „მონტობანთან“ თენგიზ გელანტიას „ნიმი“ - 9:14. ნიმელებს წლეულს გამარჯვების სიხარული ჯერ არ განუცდიათ და 2 ქულით მე-8 ადგილზე არიან.

B ჯგუფი

ნიმი-მონტობანი 9:14, რომანი-ლა სეინი 12:21, ბურგ ან ბრესი-სტად პოკენი 81:7, კასტანე-სენტ ეტიენი 26:22, ნიცა-შატორენარი 16:16.

საბურნირო მდგომარეობა

1. ბურგ ან ბრსი - 14 ქულა, 2. კასტანე - 12, 3. მონტობანი - 12, 4. ლა სეინი - 9, 5. შატორენარი - 7, 6. სენტ ეტიენი - 6, 7. სტად პოკენი - 5, 8. ნიმი - 2, 9. ნიცა - 2, 10. რომანი – 0.

C ჯგუფში ქართველებს მხოლოდ ერთი გუნდი გვყავს - მერაბ კვირიკაშვილის, დავით ოზგებაშვილის, გიორგი ჩხაიძისა და რობერტ აბესლამიძის „სენ ჟუნიენი“. ჩვენებურთა ამ გუნდმა ასპარზობა გამარჯვებით დაიწყო, თუმცა მერე ორჯერ ზედიზედ წააგო და ახლა 5 ქულით ბოლოსწინა მე-9 ადგილზეა.

მესამე ტურში „სენ ჟუნიენი“ ვერას გახდა გათამაშების ლიდერ „კოლომისეთან“ - 18:24.

C ჯგუფი

კოლომიე-სენ ჟუნიენი 24:18, სენ ნაზერი-სენ მედარი 14:15, ლანჟონი-ვანი 15:6, ლავორი-ჰაგეტმო 18:9. სენ ჟან დე ლუზი-მორლაა 26:3.

საბურნირო მდგომარეობა

1. კოლომიე - 13 ქულა, 2. სენ ჟან დე ლუზი - 9, 3. ლავორი - 8, 4. სენ მედარი - 8, 5. ლანჟონი - 6, 6. სენ ნაზერი - 6, 7. ვანი - 5, 8. ჰაგეტმო - 5, 9. სენ ჟუნიენი - 5, 10. მორლაა - 4.

D ჯგუფში, გათამაშების ლიდერმა დიმიტრი ბასილაიასა და გიორგი ნემსაძის „ვალანს დაჟენმა“ პირველი ქულები დაკარგა. ჩვენებურთა გუნდმა, რომელმაც სტარტზე ორივე მატჩი მოიგო, მესამე ტურში ფრედ ითამაშა სტუმრად აქამდე ასევე დაუმარცხებელ „ლურდთან“ - 18:18. ორივე გუნდს ახლა 10-10 ქულა აქვს და პირველ-მეორე ადგილებს იყოფს.

საბა ქართველიშვილის „ლანამეზანმა“ სტუმრად წააგო ჯგუფის კიდევ ერთ ფავორიტ „ტიროსთან“ - 13:27 და ახლა ხუთი ქულით მე-8 ადგილზეა.

D ჯგუფი

ლურდი-ვალანს დაჟენი 18:18, რიბერაკი-ოლორონი 21;26, მოლეონი-მარმანდი 17:6, ტიროსი-ლანამეზანი 27:13, ლიმოჟიბლანიაკი 15:7.

საბურნირო მდგომარეობა

1. ვალანს დაჟენი - 10 ქულა, 2. ლურდი - 10, 3. ტიროსი - 9, 4. ბლანიაკი - 5, 5. ლიმოჟი - 5, 6. ოლორონი - 5, 7. მარმანდი - 5, 8. ლანამეზანი - 5, 9. რიბერაკი - 5, 10. მოლეონი - 5.

დიმიტრი ბასილაია

● მსოფლიოს თასი

თამაშების გრაფიკი შესაცვლელია

ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის გათამაშების მიმდინარეობისას IRB-სა და ბობოლა ქვეყნების რაგბის ხელმძღვანელების შეკრება გაიმართა, სადაც, 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების კალენდარი და ფინანსური საკითხები განიხილეს.

მანამდე კი შეხვედრაზე ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის შუქ-ჩრდილებზე ისაუბრეს. ძალიან დიდი უკმაყოფილება გამოინვია იმ ფაქტმა, რომ ელიტურ ქვეყნებს სხვებთან შედარებით უკეთესი სათამაშო გრაფიკი აქვთ. თუ ერთნი ოთხ მატჩს თექვსმეტი დღის განმავლობაში თამაშობენ, ბობოლებს მატჩიდან მატჩამდე დასასვენებლად და „ჭრილობების მოსაშუშებლად“ ერთი კვირა აქვთ.

ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახალ ზელანდიაში სათამაშო მოედნების გაზონი არ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. თუმცა, როგორც გაირკვა, სამომავლოდ ტურნირის გრაფიკი შესაძლოა პრობლემური აღარ იყოს, რადგან ტოპ-ქვეყნები თავიანთ შეხვედრებს, სავარაუდოდ, შუა კვირაში გამართავენ, რაც საშუალებას მისცემს, მეორე დონის ქვეყნებს მეტი დრო ჰქონდეთ ძალების აღსადგენად.

თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. ამაზე, სავარაუდოდ, დამატებით საშეჯიბრებო კომიტეტის სხდომაზე იმსჯელებენ, სადაც კონრეტულ გეგმას შეიმუშავებენ და მერე აღმასკომს დასამტკიცებლად წარუდგენენ.

„მსოფლიოს თასის გათამაშების წარმატებულად ჩატარებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რაგბის გლობალურად განვითერების საქმეში. ის გვაძლევს ფინანსურ საფუძველს, მეტი ყურადღება მივაქციოთ ბავშვთა და პროფესიული რაგბის განვითარებას.

ტურნირის ფორმატისა და საორგანიზაციო საკითხების განხილვა ყოველი ტურნირის შემდეგ იმართება. დღეს მორიგი, დაგეგმილი სხდომა ჩავატარეთ. მინდა მადლობა გადავუხადო სამუშაო შეხვედრის ყველა მონაწილეს აქტიური თანამშრომლობისა და რაგბის განვითარების საქმეში გაწეული წვლილისთვის“, - თქვა IRB-ს პრეზიდენტმა **ბერნარ ლაპასემ.**

ოლ ბლექსმა დონალდს და გეარს უხმო

ახალი ზელანდიის ნაკრების ორი მოთამაშის, მგეზავი **კოლინ სლედისა** და ფულბეკი **მალილი მულიაინასთვის** არგენტინის ნაკრებთან გამართული მეოთხედფინალური შეხვედრა საბედისწერო აღმოჩნდა.

სლედმა, ისევე როგორც ერთი კვირის წინ დენ კარტერმა, საზარდული დაიჭიმა და საოპერაციო შეიქნა. შესაბამისად, ის „ოლ ბლექსს“ ნახევარფინალში ვერაფრით დაეხმარება. მულიაინამ კი, რომელმაც „პუმებთან“ მატჩში მე-100 კეპი მოიხვეჭა, მხარი მოიტეხა. ცხადია, მსოფლიოს თასზე ასპარეზობას ისიც ვერ განაგრძობს.

*„ოლ ბლექსის“ თავკაცმა **გრემ ჰენრიმ** მათ ნაცვლად **სტივენ დონალდი** და **ჰოსე გეარი** იხმო. ისინი ახალი ზელანდიის ნაკრების ბანაკში დღეს გამოცხადდებიან.*

„ჩვენ გუნდის ორი საუკეთესო მოთამაშე დავკარგეთ. ეს ძალიან დიდი დანაკლისია. კოლინი და მალილი, ცხადია. გაწბილებულნი არიან. როგორი საქმეა მსოფლიოს თასზე ნახევარფინალამდე მიაღწიო და მერე თამაში ვეღარ შეძლო?!

საბედნიეროდ, ჩვენ გვყავს ჯგუფი მოთამაშეებისა, რომელსაც დაშავებულების სრულფასოვნად შეცვლა შეუძლია. იმედია, ისინი გუნდში სწრაფად გაივლიან ადაპტაციის პროცესს“, - თქვა „ოლ ბლექსის“ თავკაცმა გრემ ჰენრიმ.

ლე ბელოს ექვსი დაშავებული ჰყავს

ინგლისის ნაკრებთან მეოთხედფინალური მატჩის საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ლაზარეთში ხალხმრავლობაა. ქართული წარმოშობის ცხრა ნომერმა **დიმიტრი იაშვილმა** ფეხი იტკინა და, როგორც გაირკვა, თანაკლუბელ, შერკინების მესამეხაზელ **იმანოლ არინორდოკთან** ერთად ვარჯიშს მხოლოდ ოთხშაბათიდან შეძლებს.

ჟან-ბატისტ პუ და **ჟულიენ ბონერი** კი საწვრთნელ პროცესს დღეიდან შეუერთდებიან. კიდევ ერთი დაშავებული, უკანახაზელი **ორელიან რუჟერი** კი ცალკე, ინდივიდუალურად ითამაშებს. შეძლებს თუ არა რომელიმე მათგანი ნახევარფინალში უელისის ნაკრებთან თამაშს, ხუთშაბათ საღამოს გაირკვევა, როცა „ლე ბლოს „ თავკაცი **მარკ ლივერმონი** საბრძოლო, 22-კაციან რაზმს დაასახელებს.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

● ველოსპორტი

კევენდიშმა პარიზი-ტური წააგო

პარიზი-ტურის პოდიუმი

ველოსპორტის სეზონი ტრადიციულად შემოდგომის სამი კლასიკური ერთდღიანი რბოლით სრულდება და ერთ-ერთი ასეთი რბოლა გასულ უქმეებზე საფრანგეთში გაიმართა, რომლის სახელწოდებაა პარიზი-ტური.

230-კილომეტრიან დისტანციაზე სერიოზული ამაღლებები არ არის და როგორც წესი, გამარჯვებული საფინიშო სპურტის მეშვეობით ირკვევა. ამიტომაც, ვიხილეთ პარიზი-ტურის განაცხადში მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერები, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონი, ბრიტანელი **მარკ კევენდიში**.

არ დაირღვა კიდევ ერთი ტრადიცია - კერძოდ, ასეთი ტიპის რბოლებში ყოველთვის ცდილობენ გაქცევას ნაკლებად ცნობილი ველომრბოლები. ამჯერად პელოტონს შვიდკაციანი ჯგუფი გამოეყო, მაგრამ შეტევა უშედეგოდ დასრულდა - პელოტონი ფინიშამდე 65 კილომეტრით ადრე დაეწია გაქცეულებს.

ფინიშის მოახლოებასთან ერთად ფავორიტების აქტიურობა დაიწყო. ყველაზე კარგი შეტევა ფრანგ **არნო ჟერარს** გამოუვიდა, რომელიც ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ პელოტონმა მისი დაწევაც მოახერხა, თუმცა ძირითად ჯგუფს დააგვიანდა იტალიელი **მარკო მარკატოსა** და ბელგიელი **გრეგ ვან ავერმაეტის** შეტევაზე რეაგირება და პირველობა სწორედ ამ ველომრბოლებმა გაითამაშეს.

ორი წამით უფრო სწრაფი ვან ავერმაეტი იყო, რომლისთვისაც ეს პირველი დიდი გამარჯვებაა კარიერაში.

პარიზი-ტური

1. **გ. ვან ავერმაეტი** (ბელ, BMC) - 5.21,43; 2. **მ. მარკატო** (იტა, VCD) - +0,2; 3. **კ. კლოსტერგაარდი** (დან, SBS) - +0,15; 4. **ი. სტანარდი** (ბრიტ, SKY) - იგივე დრო; 5. **ლ. ბოდროგი** (იტა, TT1) - იგივე დრო; 6. **მ. დელაჟი** (საფ, FDJ) - +0,22.. 8. **ს. ო'გრეიდი** (ავსტრა, LEO) - იგივე დრო... 19. **რ. მაკიუვენი** (ავსტრა, RSH) - +1,23... 20. **ოსკარ ფრეირე** (ესპ, RAB) - იგივე დრო... 27. **ა. პეტაკი** (იტა, LAM) - იგივე დრო...

● ბილიარდი

მაროკოს პლაჟი

ტური ჰოლანდიამ დახურა

სეზონი დაასრულეს პლაჟის ფრენბურთში მამაკაცმა ფრენბურთელებმა. მსოფლიოს ტურის ბოლო ეტაპი მაროკოში გაიმართა - ეს ქვეყანა პირველად მასპინძლობდა ასეთი დონის ტურნირს.

ეს იყო მსოფლიოს ტურის რიგით მე-14 ეტაპი და აქამდე გამარჯვებას მხოლოდ ბრაზილიელი ან ამერიკელი ფრენბურთელები აღწევდნენ, ამჯერად კი ეს ტრადიცია დაირღვა, რადგან მაროკოში ფინალური წყვილი ჰოლანდიისა და გერმანიის დუეტებმა შეადგინეს.

ფავორიტად გერმანელები - **ულიუს ბრინკი** და **იონას რეკერმანი** ითვლებოდნენ. ისინი აქ პირველ ნომრად იყვნენ განთესილები, გარდა ამისა, 2009 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს, წელს კი პლანეტის პირველობაზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. რაც შეეხება ჰოლანდიურ წყვილს **რაინდერ ნუმერდორისა** და **რიჩარდ შუილის** შემადგენლობით, ისინი შორეულ 1997 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტულით თუ დაიკვეხნიდნენ.

წინასამატჩო პროგნოზებს ისიც ამყარებდა, რომ გერმანული წყვილი ჰოლანდიურს ურთიერთშეხვედრებში 5:1-ს უგებდა.

მაგრამ ჰოლანდიელებმა ყველანაირი პროგნოზი თავდაყირა დააყენეს: ურთულეს ბრძოლაში 22:20 მოგებული პირველი სეტის შემდეგ, ნუმერდორმა და შუილმა პაუზა აიღეს და მეორე სეტი 16:21 წააგეს. სამაგიეროდ, მესამე სეტში დამაჯერებლად 15:11 გაიმარჯვეს და 2011 წლის მსოფლიო ტური მოულოდნელი გამარჯვებით დახურეს.

● სნუკერი

რაკეტას მეორე ტრიუმფი

გასულ უქმეებზე დასრულდა სნუკერისტთა პროფესიული ტურის (PTC) მეშვიდე ეტაპი, რომელსაც ინგლისის ქალაქი **გლოსტერი** მასპინძლობდა.

ტურნირის ტრიუმფატორი აღმოჩნდა მასპინძელი **რონი ო'სალივანი**, რომელმაც ახალ სეზონში უკვე მეორე შეჯიბრება მოიგო. პირველ გამარჯვებას მან ტურის პირველ ეტაპზე ჯერ კიდევ ივნისში მიაღწია.

ფინალში „რაკეტა" (ო'სალივანის მეტსახელი) უელსელ **მეტიუ სტივენსს** შეხვდა. გადამწყვეტ მატჩში ორივენი ღირსეულად გამოიყურებოდნენ. რონი სწორედ ისეთ ფორმას აჩვენებდა, რომელიც ასე მოენატრათ მის თაყვანისმცემლებს. პირველ და მეორე ფრეიმებში მან 95 და 76-ქულიანი ბრეიკები დააფიქსირა და 2:0 დაწინაურდა. თუმცა სტივენსს დანებებაზე არც უფიქრია და შემდეგი პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა არ მისცა მეტიუს ანგარიშის გათანაბრების საშუალება და ოთხი ფრეიმის შემდეგ ანგარიში 3:1 იყო ინგლისელის სასარგებლოდ.

რონი და მეტიუ

მეხუთე პარტია „სენჩური" ბრეიკით აღინიშნა მეტიუ სტივენსის შესრულებით - უელსელმა ერთ სერიაში 127 ქულა აიღო, მაგრამ მაინც ვერ შეაშინა ო'სალივანი, რომელმაც ყოველგვარი მღელვარების გარეშე აიღო გადამწყვეტ ფრეიმში 88 ქულა და ფინალი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

რონი ო'სალივანი გახდა პირველი სნუკერისტი სეზონში, ვინც PTC-ის ორი ეტაპი მოიგო. გლოსტერში მოგებული სრული თანხა მან კიბოსთან ბრძოლის ცენტრს გადაურიცხა.

PTC-ის მომდევნო ეტაპი 20 ოქტომბერს ირლანდიის ქალაქ კილარნიში გაიმართება.

● ამბები

კალათბურთი

პანელინიოსი გაკოტრდა

საბერძნეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ წამყვან გუნდს „პანელინიოსს" ფინანსური პრობლემები აქვს და ვერ შეძლებს ახალ სეზონში უმაღლეს დონეზე თამაშს. ბერძნული ლიგის ხელმძღვანელობამ უკვე ჩამოართვა ლიცენზია გაკოტრებულ კლუბს.

თავდაპირველად ლიგის კომიტეტი გუნდისთვის მეორე დივიზიონში შანსის მიცემას აპირებდა, მაგრამ ეს ტურნირი უკვე დანყებულია, ამიტომაც ათენური კლუბი ახალ სეზონში რანგით მესამე ლიგაში იასპარეზებს.

რუმინეთში ამერიკელი კალათბურთელი მოკლეს

რუმინეთში 23 წლის ამერიკელი კალათბურთელი **ჩონსი ჰარდი** დაიღუპა. ის შარშან NCAA-ის ჩემპიონატში გამოდიოდა, ამ ზაფხულს კი რუმინულ „გიორგიუში" გადასვლა გადაწყვიტა.

სააგენტო Mediafax-ის ცნობით, კალათბურთელს ბუქარესტის ერთ-ერთ ბარში რამდენიმე უცნობი მამაკაცი დაესხა თავს და ცემა დაუწყო. ჰარდიმ თავის ტრავმა მიიღო და საავადმყოფოში მიყვანამდე კომაში იმყოფებოდა. ექიმებმა ამერიკელს ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

მოგვიანებით რუმინეთის პოლიციამ დააპატიმრა ვინმე **იონუც ტანასიუ**, რომელიც ამერიკელი კალათბურთელის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. პოლიციის ინფორმაციით, ტანასიუ იმ დროს დაესხა თავს ჰარდის, როცა ამ უკანასკნელმა საცეკვაოდ გაინვია იონუცის გოგონა.

ჭადრაკი

კასპაროვმა შორტს მოუგო

ლეგენდარულმა რუსმა მოჭადრაკემ **გარი კასპაროვმა** ბელგიის ქალაქ ლოივენში ბრიც-მატჩი გამართა ინგლისელ **ნაიჯელ შორტთან**. დიდოსტატებმა რვა პარტია ითამაშეს 5-წუთიანი დროის კონტროლით.

მსოფლიოს ექსჩემპიონმა მინიმალური სხვაობით დაამარცხა შორტი - 4.5:3.5.

● ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ვინიპეგში კარგი გაწყობა იყო

ვინიპეგში ზეიმი არ შედგა

...

გუშინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ღირსშესანიშნავი დღე იყო. 15-წლიანი პაუზის შემდეგ NHL-ში პირველი მატჩი ჩაატარა „ვინიპეგ ჯეტსმა". შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი შარშან „ატლანტა ტრეშერზის" სახელით გამოდიოდა, თუმცა მფლობელი შეიცვალა და ასე მიიღო კანადამ ლიგაში მეშვიდე კლუბი.

ბუნებრივია, ახალი სეზონის წინ აჟიოტაჟი უდიდესი იყო. ათასობით აბონემენტი სულ რაღაც ერთ საათში გაიყიდა. კალენდარი ისე შეადგინეს, რომ „ვინიპეგმა" სადებიუტო შეხვედრა შინ ჩაატარა, თანაც ამ დღეს მხოლოდ ორი მატჩი იმართებოდა, რათა კანადური კლუბის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი ყოფილიყო.

მაგრამ „ჯეტსს" დებიუტი არ გამოუვიდა. „მონრეალ კანადიენსის" წინააღმდეგ უკვე მეოთხე წუთისთვის გაუშვა გოლი. გადაცემის შესრულებისას შეცდა **ოდუია**, შაიბა **კამალერმა** ჩაჭრა და შორეულ კუთხეში გაიტანა. სხვათა შორის კამალერიმ ვერ შეძლო თამაშის დასრულება. მეორე პერიოდის დასაწყისში მუხლის ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა.

თუმცა ამ დანაკარგმა ვერ იმოქმედა „კანადიენსის" განწყობაზე. სტუმრები მეტოქის შეცდომებს კარგად იყენებდნენ. დაცვაში იმავე ოდუიას შეცდომით ამჯერად **პლეკანეცმა** იხეირა - 0:2.

აღორძინებული „ვინიპეგის" ისტორიაში პირველი გოლი 43-ე წუთზე გავიდა. „მონრეალის" კარის სიახლოვეს კარგად იბრძოლა **ყაზახმა ანტროპოვმა** და ამ გოლით სამუდამოდ ჩაწერა თავისი სახელი „ჯეტსის" ისტორიაში. მესამე პერიოდში „ვინიპეგი" ბევრს უტევდა, მაგრამ დარჩენილ დროში სამი უპასუხო შაიბა მიიღო საკუთარ კარში, აქედან ორი კონტრშეტევისას გავიდა.

საბოლოოდ - 1:5 და არც ისე სასიამოვნო დებიუტი „ვინიპეგისთვის". პირველ რიგში, ამ გუნდმა დაცვას უნდა მიაქციოს ყურადღება.

რაც შეეხება დღის მეორე შეხვედრას, ის გაცილებით დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა და ბულიტების სერიით დასრულდა. „პიტსბურგ პინგვინზმა" სეზონი კაპიტანი **სიდნი კროსბის** გარეშე დაიწყო და ამის მიუხედავად, „ედმონტონთან" გასვლით შეხვედრას ორიდან ორი მოგებით შეხვდა. თავად „მენავთობეები" კი სწორედ „პინგვინებთან" მატჩით ხსნიდნენ ახალ ჩემპიონატს.

„პიტსბურგს" ტრავმირებული **ევგენი მალკინიც** აკლდა და ამის მიუხედავად, კარგი დასაწყისი გამოუვიდა - მეოთხე წუთზე **კრის ლეტანგმა** დაანინაურა სტუმრები. ამის შემდეგ „ედმონტონს" ბევრჯერ მოუნია რიცხობრივ უმცირესობაში თამაშმა, მაგრამ გაძლო, ხოლო საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე „ოილერზი" 2011 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა, 18 წლის **რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსმა** გადაარჩინა, რომელმაც შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა. საბოლოოდ კი ყველაფერი ბულიტების სერიაში გაირკვა.

ორივე გუნდის რიგებში აღნიშვნის ღირსნი არიან მეკარეები: „ედმონტონის"-გოლკიპერმა **დუბნიკმა** 33 დარტყმა მოიგერია, „პიტსბურგის" კარის დარაჯმა **ჯონსონმა** - 34. მათი დუელი ბულიტების სერიაში გაგრძელდა და აქ დუბნიკმა ივარგა, რომელმაც მხოლოდ ერთი პენალტი გაუშვა, მისმა ვიზავიმ - ორი და „ედმონტონმა" მოგებით გახსნა ჩემპიონატი, „პიტსბურგმა" კი პირველი მატჩი წააგო რეგულარულში.

ვინიპეგი-მონრეალი 1:5

0:1, 0:1, 1:3

გოლები: 0:1 კამალერი-1, 0:2 პლეკანეცი-1 (მოენი-1, ი. უებერი-1), 1:2 ანტროპოვი-1 (მ. სტიუარტი-1, ბურმისტროვი-1), 1:3 ი. უებერი-1 (პლეკანეცი-1, დეშარნე-1), 1:4 მოენი-1 (პლეკანეცი-2), 1:5 პასიორეტი-1 (გორგესი-1).

ედმონტონი-პიტსბურგი 2:1 (ბ)

0:1, 0:0, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 ლეტანგი-1 (სალივანი-1, ტაილერ კენედი-1), 1:1 ნაჯენტ-ჰოპკინსი-1 (ჰოლი-1, ჰემსკი-1).

ბულიტები გაიტანეს: ებერლე (პიტსბურგი), ჰემსკი (ედმონტონი), ნილი (პიტსბურგი).

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● კალათბურთი

უეიდმა ლებრონს მოუგო



ამჯერად მეტოქეები

ლოკაუტის პერიოდში გახშირდა NBA-ის ვარსკვლავების მიერ ორგანიზებული ამხანაგური მატჩები. უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ „მაიამი ჰიტის“ ლიდერებმა - **ლებრონ ჯეიმსმა** და **დუეინ უეიდმა** ფლორიდაში საჩვენებელი შეხვედრა მოაწყვეს, რომელმაც ძალიან გაახალისა ადგილობრივი პუბლიკა, თანაც მაყურებელმა მაღალი ხარისხის კალათბურთი აჩვენა, რადგან ლებრონმა და დუეინმა საკმაოდ ძლიერი შემადგენლობები შეკრიბეს.

უეიდის გუნდმა ოვერტაიმში 141:140 გაიმარჯვა. მოგება თავის გუნდს თავად დუეიტმა გაუნაღდა, რომელმაც დამატებითი დროის დასრულებამდე 3.2 წამით ადრე ორი საჯარიმო მოათავსა კალათში.

გამარჯვებულთა რიგებში საუკეთესოები იყვნენ **კარმელო ენტონი**, რომელმაც 30 ქულა დააგროვა და **ამარე სტაუდმაიერი** - მის ანგარიშზე ორმაგი დუბლი მოდის (21 ქულა, 10 მოხსნა).

ჯეიმსის გუნდში თავად ლებრონმა დააგროვა 34 ქულა და მას **კევინ დურანტი** 27 ქულით დაეხმარა.

■ ■ ■

კიდევ ერთი საჩვენებელი შეხვედრა გაიმართა კალიფორნიის ქალაქ ლონგბიჩში. ერთმანეთს ხვდებოდნენ გუნდები - „ლიგა დრიუ“ და „ლიგა გუდმენი“.

„ლიგა დრიუმ“ 155:144 გაიმარჯვა, რაც მეტწილად **ჯეიმს ჰარდენის** დამსახურებაა - მან 48 ქულის დაგროვება მოახერხა.

თუმცა ჰარდენი არ ყოფილა მატჩის საუკეთესო ბომბარდირი. დამარცხებულთა რიგებში **ჯონ უოლმა** და კევინ დურანტმა შესაბამისად 55 და 50 ქულა მოიპოვეს.

ბოლო შეხვედრაც ჩაიშალა


კარმელო ენტონი

ბასულუქმეებზე ლოკაუტთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიახლეები არ ყოფილა. კვირას დაპირისპირებული მხარეები ხუთი საათის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ კომპრომისის გამონახვას, შეხვედრის შემდეგ კი გადაწყვიტეს პრესის წარმომადგენლებისთვის არაფერი ეთქვათ. ჟურნალისტებს მხოლოდ პროფკავშირების პრეზიდენტმა **დერეკ ფიშერმა** ესროლა ნაცნობი ფრაზები - „პროგრესი არ არის“, „ორშაბათს ისევ შევხვდებით ერთმანეთს“...

ფიშერმა ისიც განაცხადა, რომ ორშაბათს შეხვედრაა დაგეგმილი, მაგრამ მოგვიანებით მანვე გაანდო ჟურნალისტებს - დღეს მოლაპარაკება აღარ გაიმართება.

„ვფიქრობ, ყველა მოთამაშეს სურს, რომ მოლაპარაკებებში პროგრესს მივაღწიოთ. იძულებული ვართ, შეხვედრა გადავდოთ. ახალი თარიღი კლუბების მფლობელთა შორის მოლაპარაკების შემდეგ გახდება ცნობილი“, - განუცხადა ფიშერმა სააგენტო AP-ს.

ყველაზე კარგად დღეს არსებული სიტუაცია „ნიუ იორკ ნიქსის“ ლიდერმა **კარმელო ენტონიმ** შეაფასა. მისი თქმით, მოლაპარაკებების დასრულებამდე ჯერ ძალიან დიდი დროა დარჩენილი.

„დღეს ყველასთვის გასაგებია, რომ რეგულარული ჩემპიონატის პირველი ორი კვირა გაუქმდება. ამიტომაც რეალისტები უნდა ვიყოთ და გვესმოდეს, რომ უახლოეს პერიოდში მოლაპარაკებების პროცესში შესამჩნევი ცვლილებები არ იქნება, - მიაჩნია ენტონის. - ამიტომაც მოთმინებით უნდა აღვიჭურვოთ და ველოდოთ, როდის დასრულდება ეს გაურკვევლობა“.

● ავტოსპორტი

ჯონსონმა მეორე მოიგო

ᲐᲕᲢᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ სამყაროში გასული უქმეები მხოლოდ ფორმულა 1-ის ეტაპით არ ყოფილა გამორჩეული - ამერიკაში პოპულარული ნასკარის სერიის 36-ეტაპიანი ჩემპიონატის 30-ე რბოლა კანზას-სიტიში (Hollywood Casino 400) ჩატარდა და ამ სერიის ხუთგზის ჩემპიონის, „შევროლეს“ მანქანით მოასპარეზე **ჯიმი ჯონსონის** ტრიუმფით დასრულდა.

არადა, ჯონსონმა მე-19 პოზიციიდან აიღო სტარტი, მაგრამ ასეთი რბოლებისთვის დამახასიათებელი ხშირი რესტარტების წყალობით, 24-ე წრეზე ეს პილოტი პირველად გავიდა წინ.

ამის შემდეგ ჯონსონმა რამდენიჯერმე დაკარგა ლიდერობა, მაგრამ რესტარტის შემდეგ ისევ პელოტონის სათავეში დგებოდა - ასე მოხდა 247-ე და 270-ე წრეების დროს, როცა მან უკან ჩამოიტოვა **ბრედ კესელოვსკი** და **კეისი კენი**. ჯონსონს იმ მხრივაც გაუმართლა, რომ ტექნიკური პრობლემები შეექმნა მის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს - **ჯეფ გორდონს**.

საბოლოოდ, ჯიმი ჯონსონმა სეზონში მეორე რბოლა მოიგო და საერთო ჩათვლაში 2157 ქულით მესამე ადგილზე იმყოფება. მასზე წინ **კარლ ედვარდსი** და **კევინ ჰარვიკი** იმყოფებიან, რომლებთანაც სულ ცოტას - ოთხ და სამ ქულას აგებს.



ჯიმი ჯონსონი ფინიშზე

Hollywood Casino 400

1. **ჯიმი ჯონსონი** (შევროლე) - 272 წრე (ლიდერობდა 197 წრე); 2. **კეისი კენი** (ტოიოტა) - 272 (0); 3. **ბრედ კესელოვსკი** (დოდჯი) - 272 (5); 4. **მეტ კენსეტი** (ფორდი) - 272 (26); 5. **კარლ ედვარდსი** (ფორდი) - 272 (0); 6. **კევინ ჰარვიკი** (შევროლე) - 272 (0); 7. **კლინტ ბოუიერი** (შევროლე) - 272 (0); 8. **გრეგ ბიფლი** (ფორდი) - 272 (23); 9. **მარკოს ემბროუზი** (ფორდი) - 272 (0); 10. **მარკ მარტინი** (შევროლე) - 272 (0)...

● კრივი

უკრაინა საკრივო გრანდი ხდება

ᲑᲐᲥᲝᲨᲘ დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი სამოყვარულო კრივში. გუნდური პირველი ადგილი უკრაინის ნაკრებმა მოიპოვა, რომელმაც აზერბაიჯანი ოთხი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედლით დატოვა. ეს უკრაინელთა საუკეთესო შედეგია მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში.

ორი ოქროთი და ერთი ვერცხლით მეორე ადგილი კუბის ნაკრებს ერგო, მესამეზე კი მასპინძელი - აზერბაიჯანის ნაკრები გავიდა, რომელმაც თითო ოქროსა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

49 კგ. ზუ შიმინი (ჩინეთი)-იონგ შინა (ს. კორეა) 20:11
52 კგ. მიშა ალოიანი (რუსეთი)-ენდრიუ სელბი (უელსი) 13:12
56 კგ. ლაზარო ალვარესი (კუბა)-ლიუკ კემპბელი (ინგლისი) 14:10
60 კგ. ვასილი ლომაჩენკო (უკრაინა)-იასნიელ ტოლედო (კუბა) 17:12
64 კგ. ევერტონ დუშ სანტუში (ბრაზილია)-დენის ბერინჩიკი (უკრაინა) 26:23
69 კგ. ტარას შელესტიუკი (უკრაინა)-სერიკ საპიევი (ყაზახეთი) 16:10
75 კგ. ევგენი ხიტროვი (უკრაინა)-რიოტუ მურატა (იაპონია) 24:22
81 კგ. ხულიო ლა კრუსი (კუბა)-ადილბეკ ნიაზიმბეტოვი (ყაზახეთი) 17:13
91 კგ. ალექსანდრ უსიკი (უკრაინა)-თეიმურაზ მამადოვი (აზერბაიჯანი) 25:15
+91 კგ. მაგომედრასულ მეჯიდოვი (აზერბაიჯანი)-ენტონი ჯოშუა (ინგლისი) 22:21.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲕᲠᲝ 2013

UNDER 21

სან მარინო-გერმანია	0:8
ფინეთი-შვედეთი	0:1
ესტონეთი-ხორვატია	0:1
აზერბაიჯანი-ბელგია	2:2
ნორვეგია-ინგლისი	1:2
შოტლანდია-ავსტრია	2:2

ᲔᲕᲠᲝ 2012

UNDER 19

დანია-ავსტრია	0:0
ალბანეთი-მალტა	4:0

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ

I ᲚᲘ�გᲐ

ოლდჰემი-მილტონი	2:1

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

საბადელი-რეკრეატივო	1:0

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ფალკენბერგი-სუნდსვალი	2:4
იონგოვინგი-ასირისკა	1:1
ატვიდაბერგი-ლანდსკრონა	1:0

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ენისეი-ალანია	0:0

ᲙᲐᲚ

ამური-სპარტაკი	6:1
ავანგარდი-ტორპედო	3:2 (ბ)
სიბირი-ს. იულიაევი	6:3
მეტალურგი (მ)-დინამო (მ)	5:6

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

ბრინასი-შელეფტეო	2:3

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ATP. ᲨᲐᲜᲮᲐᲘ

კუკუშკინი-მონტანიესი	2:6, 7:5, 6:7
გარსია ლოპესი-დევარმანი	6:4, 6:3
ანდერსონი-**ტომიჩი**	6:7, 7:6, 3:6
გულბისი-**ნალბანდიანი**	5:7, 4:6
ილჰანი-**დიმიტროვი**	6:2, 1:6, 4:6
ანდუხარი-**უბდენი**	4:6, 4:6
როდიკი-ლუ	6:2, 3:6, 6:2
ბოლი-**რობრედო**	6:7, 6:7
ლი-**ვერდასკო**	2:6, 2:6
გონგი-**იანგი**	1:6, 4:6
იუჟნი-**ფერერო**	6:7, 4:6
დოდიგი-**ხირალდო**	6:1, 3:6, 4:6

WTA. ᲝᲡᲐᲙᲐ

მაკჰეილი-**ტანასუგარნი**	3:6, 5:7
ვანდეეგე-**დო**	4:6, 4:6
დანილიდუ-პივოვაროვა	6:2, 6:2
იოჰანსონი-ფალკონი	6:3, 6:2
კუდრიავცევა-**სხეპერსი**	2:6, 2:6
ჩინკი-**ბარტოლი**	2:6, 2:6

● TV ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

11 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ

GMG-ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

10:00 პოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ტვენტე.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ფრაიბურგი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-პარმა.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მარსელი.
18:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ლივერპული.
21:00 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. გერმანია-ბელგია (LIVE).
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ოსასუნა.
01:00 სუპერკოლაი.

GMG-ᲡᲠᲣᲚᲘ 1

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ლივერპული.
12:00 ახალი ამბები.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ორლანდო-პორტლენდი.
14:00 გოლფი. ტელეჟურნალი.
14:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
15:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ლაციო.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-ინგლისი.
18:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი. მიმოხილვა.
19:30 ახალი ამბები.
20:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
21:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდ-სპორტი.
21:40 კალათბურთი. ევროლიგა. 2010-11. პანათინაიკოსი- ბარსელონა.
23:40 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ორლანდო-პორტლენდი.

GMG-ᲡᲠᲣᲚᲘ 2

09:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაი. ჩინეთი. მიმოხილვა.
10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. II დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
18:00 ახალი ამბები.
18:30 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-მონპელიე.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. II დღე. შანხაი. ჩინეთი.

I ᲐᲠᲮᲘ

20:50 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. საქართველო-საბერძნეთი (LIVE).

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ)

20:55 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. გერმანია-ბელგია (LIVE).

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲡᲠᲣᲚᲘ)

13:55 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. გუნდური ფინალი. იაპონია (LIVE).

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲝᲜᲚᲐᲘᲜᲘ)

21:55 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. შვედეთი-ჰოლანდია (LIVE).

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ)

10:00 ATP-ის ტური. მასტერსი. II დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).

SPORT+

21:40 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ირლანდია-სომხეთი (LIVE).

EUROSPORT

18:30 ფარიკაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. იტალია (LIVE).

EUROSPORT-2

16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. ლინცი. ავსტრია (LIVE).

● ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲘ

ATP

1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	14 220
2(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	10 375
3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც)	8 380
4(4). ენდი მიურეი (გრიტ)	7 825
5(5). დავიდ ფერერი (ესპ)	4 200
6(6). რობინ სიოდერლინგი (შვედ)	3 680
7(10). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	3 230
8(7). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	3 050
9(8). მარდი ფიში (აშშ)	2 955
10(9). გაელ მონფილსი (საფ)	2 570
11(11). ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	2 300
12(12). ჟილ სიმონი (საფ)	2 255
13(13). იანკო ტიპსარევიჩი (სერ)	2 075
14(14). ხ-ჰ. დელ პოტრო (არგ)	2 030
15(15). ენდი როდიკი (აშშ)	1 985
16(16). ვიტტორ ტროიკი (სერ)	1 980
17(17). რიშარ გასკე (საფ)	1 900
18(19). ა. დოლგოპოლოვი (უკრ)	1 745
19(20). სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	1 720
20(21). იურგენ მელცერი (ავსტრია)	1 690

ATP. ᲤᲣᲚᲐᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲒᲐᲠᲘ

1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	10 609 318
2. რაფაელ ნადალი (ესპ)	6 384 514
3. ენდი მიურეი (გრიტ)	3 907 716
4. როჯერ ფედერერი (შვეიც)	3 047 362
5. დავიდ ფერერი (ესპ)	1 953 450
6. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)	1 738 589
7. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	1 622 406
8. მარდი ფიში (აშშ)	1 459 442
9. რობინ სიოდერლინგი (შვედ)	1 323 473
10. ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	1 232 714
11. ჟილ სიმონი (საფ)	1 141 752
12. ა. დოლგოპოლოვი (უკრ)	1 040 915
13. იურგენ მელცერი (ავსტრია)	1 036 418
14. იანკო ტიპსარევიჩი (სერ)	1 014 670
15. ჯონ ისნერი (აშშ)	992 958
16. ივიკაელ ლოდრა (საფ)	987 007
17. მარინ ჩილიჩი (ხორ)	976 421
18. ფილიპ პეტცშნერი (გერ)	902 741
19. ენდი როდიკი (აშშ)	894 600
20. გაელ მონფილსი (საფ)	891 723

WTA

1(1). კაროლინ ვოზნიაცკი (დან)	8 005
2(2). მარია შარაპოვა (რუს)	6 370
3(4). ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	6 190
4(5). პეტრა კვიტოვა (ჩეხ)	5 760
5(3). ვერა ზვონარევა (რუს)	5 755
6(7). სამანტა სტოსური (ავსტრა)	5 455
7(6). ნა ლი (ჩინ)	5 425
8(12). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)	4 940
9(11). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)	4 640
10(8). კიმ კლაისტერსი (ბელ)	4 501
11(10). მარიონ ბარტოლი (საფ)	4 460
12(9). ფრანჩესკა სკიავონე (იტა)	4 210
13(13). ელენა იანკოვიჩი (სერ)	3 195
14(14). სერენა უილიამსი (აშშ)	3 180
15(16). ა. პავლიუჩენკოვა (რუს)	2 910
16(15). შუაი პენგი (ჩინ)	2 825
17(17). საბინ ლისიცკი (გერ)	2 724
18(26). ფლავია პენეტა (იტა)	2 490
19(21). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	2 487
20(18). ანა ივანოვიჩი (სერ)	2 470

WTA. ᲤᲣᲚᲐᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲒᲐᲠᲘ

1. პეტრა კვიტოვა (ჩეხ)	3 358 943
2. ნა ლი (ჩინ)	3 259 139
3. კაროლინ ვოზნიაცკი (დან)	2 840 581
4. მარია შარაპოვა (რუს)	2 789 148
5. ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	2 734 032
6. სამანტა სტოსური (ავსტრა)	2 687 153
7. კიმ კლაისტერსი (ბელ)	2 325 741
8. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)	2 221 518
9. სერენა უილიამსი (აშშ)	1 978 930
10. ვერა ზვონარევა (რუს)	1 674 418
11. ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)	1 602 271
12. ფრანჩესკა სკიავონე (იტა)	1 547 301
13. მარიონ ბარტოლი (საფ)	1 502 263
14. ფლავია პენეტა (იტა)	1 202 546
15. მარია კირილენკო (რუს)	998 467
16. საბინ ლისიცკი (გერ)	915 909
17. ა. პავლიუჩენკოვა (რუს)	909 189
18. შუაი პენგი (ჩინ)	892 258
19. ელენა იანკოვიჩი (სერ)	812 668
20. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	812 335

ტომაშ ბერდიხი

რადვანსკა შეუჩერებელია

ქალთა საჩოგბურთო სეზონი თანდათან დასასრულს მიუახლოვდა - გასულ კვირას პეკინში ამ სეზონის ბოლო სუპერტურნირი გაიმართა, თუმცა უამრავი სენსაციის გამო ფინალში რეიტინგის ტოპ-ათეულის მიღმა მყოფმა ჩოგბურთელებმა გააღწიეს - პოლონელმა **აგნიეშკა რადვანსკამ** და გერმანელმა **ანდრეა პეტკოვიჩმა**. სხვათა შორის, WTA-ის ისტორიაში ასეთი რამ პირველად მოხდა.

რადვანსკა სეზონის ბოლოს შესანიშნავ ფორმაში შევიდა. ერთი კვირით ადრე მან ტოკიოში მოიპოვა მთავარი პრიზი, ფორმა პეკინშიც შეინარჩუნა და ბოლო ორი კვირის განმავლობაში მეორე ტიტული მოიგო.

აგნიეშკას ოთხიდან ოთხი მატჩი ჰქონდა მოგებული პეტკოვიჩისთვის და ტრადიციას არც ამჯერად უღალატა, თუმცა დიდი ნინააღმდეგობა შეხვდა. პირველი სეტი მარათონული გამოდგა - საათი და 25 წუთი გაგრძელდა და რადვანსკამ 7:5 მოიგო. მეორე პარტიაში პოლონელმა პაუზა აიღო და სეტი „მშრალი" ანგარიშით წააგო.

გადამწყვეტ სეტში მეტოქეებმა თავიდან ორ-ორი ბრეიკი გაცვალეს, შემდეგ დაალაგეს თამაში საკუთარ მოწოდებაზე და გადაწყვეტი აღმოჩნდა რადვანსკას ბრეიკი მეცხრე გეიმში, რის შემდეგაც პოლონელმა მატჩზე ჩაანოდა - 6:4.

რადვანსკამ ამ მოგებით რეიტინგის ტოპ-ათეულში შეაღწია, გარდა ამისა, წლის შემაჯამებელი ტურნირის მერვე საგზურის რეალური კანდიდატი გახდა. პოლონელი საჩემპიონო რბოლაში მერვე ადგილზე გადავიდა და 360 ქულით დაშორდა უახლოეს მდევარ პეტკოვიჩს.

ფინალი

აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 11)-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 9) 7:5, 0:6, 6:4.

■ ■ ■

გუშინ გაირკვა, რომ პეტკოვიჩმა გამოიტანა განაცხადი ლინცის ტურნირიდან, რისი მიზეზიც რადვანსკასთან ფინალში მიღებული ტრავმა იყო. გერმანელმა პირველი სეტის მსვლელობისას დაიზიანა მუხლი და იძულებული გახდა კორტზე ექიმი გამოეძახებინა.

ლინცის ტურნირზე უარის თქმით, პეტკოვიჩმა დაკარგა წლის შემაჯამებელ ტურნიზე მოხვედრის შანსი. ახლა, ბოლო საგზურისთვის პრეტენზიას რადვანსკა და მარიონ ბარტოლი აცხადებენ, თუმცა ამ უკანასკნელს მცირე შანსები აქვს. ფრანგს სჭირდება ოსაკასა და მოსკოვის ტურნირების მოგება, თანაც რადვანსკამ არ უნდა მიაღწიოს მოსკოვის ტურნირის მეოთხედფინალს.

წლის შემაჯამებელი ტურნირის დანარჩენი შვიდი საგზურის მფლობელი უკვე ცნობილია. სტამბოლში თამაშის უფლება გუშინ გაინაღდეს რუსმა **ვერა ზვონარევამ** და ავსტრალიელმა **სამანტა სტოსურმა**. ეს დუეტი შეუერთდა დანიელ **კაროლინ ვოზნიაცკის**, რუს **მარია შარაპოვას**, ბელარუს **ვიქტორია აზარენკას**, ჩეხ **პეტრა კვიტოვასა** და ჩინელ **ნა ლის**.

■ ■ ■

პეკინში ნაკლებად წარმომადგენლობითი იყო მამაკაცთა ტურნირი, სადაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას მიაღწია ჩეხმა **ტომაშ ბერდიხმა**. ამ ჩოგბურთელს 2009 წლის მაისის შემდეგ არ ჰქონდა მოგებული ტიტული და ნავსი სნორედ პეკინში გატეხა, როცა სამსეტიან ბრძოლაში დაამარცხა ხორვატი **მარინ ჩილიჩი**.

ბერდიხი ურთიერთშეხვედრებში 2:1-ს უგებდა ჩილიჩს, მაგრამ მათი ბოლო შეხვედრა წელს მარსელში ხორვატმა ორ სეტში მოიგო. ჩეხისთვის ეს მატჩიც ცუდად დაიწყო - ჩილიჩმა პირველი სეტის მეორე გეიმში ბრეიკი გააკეთა და ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

ყველაზე რთული ბრძოლა მეორე სეტში იყო, როცა ჩილიჩმა 0:3-დან გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ ბერდიხმა 4:4-ზე ისევ გააკეთა ბრეიკი და პარტია 6:4 მოიგო. მესამე სეტში ტომაში სრულად დომინირებდა კორტზე და მეტოქეს მხოლოდ ერთი გეიმი მისცა.

ბერდიხმა კარიერაში მეშვიდე ტიტული მოიპოვა. რაც მთავარია, ამ გამარჯვებით მან წლის შემაჯამებელ ტურნირში მოხვედრის კარგი შანსი მიიღო - ახალი რეიტინგის მიხედვით ჩეხმა მეშვიდე პოზიციაზე გადაინაცვლა.

საერთოდ, ახალი კლასიფიკაციის მიხედვით გამოიკვეთა ის რვა ჩოგბურთელი, , რომელიც სეზონის დასკვნით ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. შეგახსენებთ, რომ **ნოვაკ ჯოკოვიჩს**, **რაფაელ ნადალს**, **ენდი მიურეისა** და **როჯერ ფედერერს** უკვე განაღდებული აქვთ ლონდონში თამაში, დანარჩენი ოთხი საგზურისთვის ბრძოლა გრძელდება.

როგორც გითხარით, ბერდიხი მეშვიდე პოზიციაზე გამაგრდა - მან ამ ადგილზე **უო-ვილფრიდ ცონგა** ჩაანაცვლა. ასევე განიმტკიცა თავისი პოზიციები **დავიდ ფერერმა**, ვინც ტოკიოში ნახევარფინალამდე გააღწია.

ახლა ცონგასა და მის უახლოეს მდევარს, ესპანელ **ნიკოლს ალმაგროს** შორის სხვაობა 500 ქულას შეადგენს, რაც დარჩენილ ტურნირებში რთული გასაბათილებელი იქნება.

ფინალი

ტომას ბერდიხი (ჩეხ, 3)-მარინ ჩილიჩი (ხორ) 3:6, 6:4, 6:1.

ამ კვირას სამი ტურნირია

ამ კვირას ჩოგბურთის მოყვარულებს სამი ტურნირის მსვლელობას შეუძლიათ მიადევნონ თვალი.

ATP

Shanghai Rolex Masters

შანხაი (ჩინეთი). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 3 240 000 დოლარი

მონაწილეები: რაფაელ ნადალი, ენდი მიურეი, დავიდ ფერერი, ჟო-ვილფრიდ ცონგა, მერდი ფიში, ტომაშ ბერდიხი...

შანხაის მასტერსზე მოქმედი ჩემპიონი **ენდი მიურეი** გახლავთ, რომელმაც შარშან საკმაოდ იოლად დაამარცხა ფინალში **როჯერ ფედერერი** (6:3, 6:2). ბრიტანელი ამ სეზონის დასკვნით ნაწილშიც ბრწყინვალე ფორმაში იმყოფება - მან ბოლო 22 მატჩში 21 მოიგო და ბოლო ორ კვირაში ზედიზედ ორი ტიტული აიღო. ბანგკოკში ენდი იოლად გაუსწორდა **დონალდ იანგს** - 6:2, 6:0, ორი დღის წინ კი ტოკიოს ტურნირში ფინალში **რაფაელ ნადალს** სამ სეტში მოუგო.

ასე რომ, რაფას ამ კვირას რევანშის აღების საშუალება აქვს, თუმცა რთული სათქმელია, რამდენად მოახერხებს ესპანელი ამის გაკეთებას, რადგან სეზონის ბოლოს აშკარად გადაღლილი ჩანს. იმავდროულად, ნადალმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ სეზონის მაჟორულ ნოტაზე დასრულების იმედი აქვს. ვნახოთ, რამდენად გამოუვა ეს მსოფლიოს მეორე ნომერს.

კარგ ფორმაშია **ტომაშ ბერდიხიც** - მან შესანიშნავი თამაში აჩვენა პეკინში, სადაც ორწლინახევრიანი შესვენების შემდეგ ტიტულის აღება შეძლო.

სამწუხაროდ, შანხაის მასტერსს ბევრი ვარსკვლავი ტოვებს. ჩინეთში არ ჩავიდნენ: **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, როჯერ ფედერერი, **ხუან მარტინ დელ პოტრო, რიშარ გასკე, ჯონ ისნერი, გაელ მონფილსი, რობინ სიოდერლინგი**...

პირველ რვა ნომრად განთესილი ჩოგბურთელები - ნადალი, მიურეი, **ფერერი, ცონგა, ფიში,** ბერდიხი, **ალმაგრო** და **სიმონი** მეორე წრიდან ჩაებმებიან ბრძოლაში.

WTA

HP Open

ოსაკა (იაპონია). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

მონაწილეები: სამანტა სტოსური, მარიონ ბარტოლი, ანჟელიკა კერბერი, პეტრა ჩეტკოვსკა, იარმილა გაიდოშოვა, აიუმი მორიტა...

ქალებს შორის აზიური ტურნირების სერია ოსაკაში გაგრძელდება. HP Open პირველად 2009 წელს გაიმართა და პირველი ჩემპიონი **სამანტა სტოსური** გახდა. ტიტულის დაცვა კი ტაილანდელ **ტამარინე ტანაგურანს** უნევს.

სტოსური ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის ღია პირველობაზე გამარჯვების გარდა, ავსტრალიელი ამ სეზონში ბევრით ვერაფრით დაიკვეხნის. ბოლო პერიოდში სტოსურმა მეორე რაუნდი ვერ გადალახა ტოკიოსა და პეკინში.

ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ეს ტურნირი **მარიონ ბარტოლისთვის,** რომელიც წლის შემაჯამებელ ჩემპიონატში მოსახვედრად იბრძვის.

Generali Ladies Linz

ლინცი (ავსტრია). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

მონაწილეები: პეტრა კვიტოვა, ელენა იანკოვიჩი, ანასტასია პავლიუჩენკოვა, საბინ ლისიცკი...

ლინცის ტურნირი 1986 წლიდან ტარდება. მოქმედი ჩემპიონი **ანა ივანოვიჩი** გახლავთ, მაგრამ სერბი ვერ ახერხებს ტიტულის დაცვას.

განთესვის პირველი ნომერი **პეტრა კვიტოვას** ერგო და სწორედ ის განიხილება მთავარ ფავორიტად, მაგრამ უიმბლდონის მოგების შემდეგ ჩეხი არასტაბილურად თამაშობს. ამ დროის განმავლობაში პეტრა ტოკიოს ტურნირის ნახევარფინალში გასვლით თუ დაიკვეხნის, თუმცა ამას მოჰყვა მორიგი ჩავარდნა პეკინში, სადაც კვიტოვამ მეორე რაუნდში **სოფია არვიდსონთან** წააგო.

შანხაის საჩოგბურთო კომპლექსი

ნადალის ახალი ამპლუა

ნადალი ფეხბურთელი გახდა

საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა ესპანურმა ვებგვერდმა futbolbalear.es-მა. მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** კონტრაქტი გააფორმა საფეხბურთო კლუბ „ინტერ მანაკორთან", რომელიც ესპანეთის ჩემპიონატის მესამე რეგიონალურ ლიგაში გამოდის.

futbolbalear.es წერს, რომ ნადალს „შეუნახავენ" მეცხრე ნომერს, რომლითაც ის ჩოგბურთისგან თავისუფალ დროს ითამაშებს.

ცნობილია, რომ ნადალს ძალიან უყვარს ფეხბურთი, რაც გასაკვირი სულაც არ არის, რადგან მისი ბიძა - **მიგელ ანხელ ნადალი** მრავალი წელი „ბარსელონაში" გამოდიოდა და ამ გუნდის რიგებში ესპანეთის ხუთგზის ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა.

რაფა ბავშვობაში აქტიურად თამაშობდა ფეხბურთს და როგორც გაზეთი „მარკა" წერს, სურს დაეხმაროს თავისი მშობლიური ქალაქის საფეხბურთო კლუბს.

ანა ისევ გამოჩნდა

ყოფილი რუსი ჩოგბურთელი **ანა კურნიკოვა** ამერიკული გამოცემა Women's Health-ის ნოემბრის ნომრის მთავარი გმირი გახდა.

პოპულარული ჟურნალის ფურცლებზე რუსი ვარსკვლავი ჯანმრთელი ცხოვრების წესისა და გახდომის ექსპერტის რანგში წარსდგა. გარდა ამისა, კურნიკოვამ ინტერვიუში შთაბეჭდილებები გაუზიარა მკითხველს რეალითი-შოუს - „ყველაზე მსუქანი უიღბლოს" შესახებ, რომლის წამყვანი თავად გახლავთ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა